<u>წ ე რ ი ლ ე ბ ი</u>

ნოე ჩხკივაძე
(1883-1920)

მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას.
ნ. ჩხიკვაძე

საბედისწერო სიტყვებია, წინასწარმეტყველურის სიმტკიცით ნაჭედი! მარად მშფოთავი, დაუცხრომელი, სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილით გაშმაგებული პოეტი უცებ მიადგა გარდაუვალ საზღვარს, სადაც თავდება ყველაფერი, სადაც სიცოცხლეს ეკარგება ყოველგვარი აზრი და მიზანი წინათგრძნობის გაუგებარ ალღოთი, იდუმალის შემეცნებით იგრძნო პოეტმა «ჩრდილთა ღმერთის» მოახლოვება და მისი საშინელი ბრძანების მოლოდინში წინათ მქუხარე სიმებში ჩამოწვა ნისლი უჩვევის სევდისა. ნ. ჩხიკვაძის უკანასკნელ ლექსებში უცნაურის დაჟინებით ისმის შეუწყვეტი შრიალი ახლოს მომდგარ სიკვდილის ფრთებისა. ბრძოლის ცეცხლით დაფერილი სიმები უცებ შემოსა საღამოს ჩრდილმა, და თუ პოეტური შემოქმედება შეუცნობის გამომჟღავნებაა _ ნ. ჩხიკვაძე უსათუოდ უნდა მომკვდარიყო. უნდა მომკვდარიყო იმიტომ, რომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა «ჩრდილთა ღმერთმა» და უნუგეშო დიაგნოზი მიხეილის საავადმყოფოში მხოლოდ განმეორება იყო ამ განაჩენისა.

___

ნ. ჩხიკვაძეს არ დასცალდა თავისი შემოქმედების პოტენციური ძალის ფართოდ გაშლა, მაგრამ ისიც, რაც მან მოასწრო, უთუოდ მატარებელია პროტესტანტული ენერგიის დაუშრეტელი პათოსის და ჭეშმარიტი ტემპერამენტით არის გამთბარი. მისი სიტყვა მკაცრია და შეუპოვარი, ვით ხელით გასროლილი რიყის ქვა, მაგრამ ეს სიმკაცრე ასე ბუნებრივია ამ «მოუხეშავ» პოეტისათვის. სამოქალაქო ჰანგზე მომღერალ მგოსანთა შორის ნ. ჩხიკვაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი არ არის მხოლოდ სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი, მისი ბრძოლის ასპარეზი უფრო ფართოა. სოციალური უსამართლობა ერთი სახეა იმ საერთო მარადიული ბოროტებისა, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთელი ქვეყანა. მას არა სჯერა, რომ სოციალურ უსამართლობის მოსპობასთან ერთად გაჰქრება საერთო სათავე ბოროტებისა. შეიძლება დამყარდეს კაცთა შორის მშვიდობა და თანასწორობა, მაგრამ ადამიანის მოუსვენარ სულის სარკეში მუდამ იქნება ასახული მიუწვდომელ მისწრაფებათა ნანგრევები. სცოცხლობს მსოფლიო მთლიანი, როგორც განუყოფელი ერთეული, და ბუნების ათასგვარ ძალთა საერთო რეზერვუარში სიცოცხლე მარადიულია და დაუსრულებელი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ შეგნებულ პროცესში პიროვნებამ თავისი ადგილის შემოფარგვლა დაიწყო, მას შემდეგ, რაც პიროვნებამ თავი დააღწია მის გარეშე არსებულ ყველა ძალთა საერთო კანონს _ პასივობას, _ და აქტივობა გამოიჩინა, _ პიროვნებისა და მსოფლიოს შორის დაიბადა კონფლიქტი, რომელიც აღწევს მით უფრო ტრაგიკულ სიმწვავეს, რაც უფრო მეტის ენერგიით არის აღჭურვილი მებრძოლი პიროვნება. ეს ბრძოლა აუცილებლად თავდება პიროვნების სრული დამარცხებით. პიროვნება საბოლოოდ ქრება, მსოფლიო კი დაუსრულებლად ვითარდება, აქ არის დაუძლეველი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერავითარი ფილოსოფიური, რელიგიური და სოციალური ხრიკებით ვერ აიცილებს ვერც ერთი

მოაზროვნე ადამიანი. სულით ძლიერი ტრაგიკულის განწირულებით ებრძვის ამ წინააღმდეგობას, სუსტი მორჩილდება ბედისწერას, ხოლო არის ბევრი გულუბრყვილო, რომელიც ახერხებს თავის მოტყუილებას კაცობრიობის მირაჟით. ბოლო ყველას ერთგვარი აქვს: პიროვნება სამუდამოდ, განუმეორებელად ქრება და ვინც არა ზერელედ, მამლაყინწურის გამბედაობით, არამედ ღრმად, ბოლომდის განცდით, ექსტაზური თავდავიწყებით ჩაუკვირდება ამ მოვლენას, შეუძლებელია მან არ განიცადოს ის საშინელი ჟრუანტელი, რომელიც ნაღველით ავსებს სულს.

ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაში არის ერთი მთავარი სიმი, რომელიც უეჭველად ამ ჟრუანტელით არის ათრთოლებული. ამას მე არ ვასაბუთებ ციტატებით, ეს მე არა მსურს, _ იქნება შეუძლებელიც იყოს. მე ვიღებ მხედველობაში არა ცალკე ტაეპებს და სტრიქონებს, არამედ მთლად მისი პოეტური შემოქმედების და პირადი ცხოვრების საერთო შუქს, საერთო მუსიკას, რომელიც ჩემზე ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამას მით უფრო მეტის სითამამით ვამბობ, რომ ამ სტრიქონებს არა აქვს არავითარი პრეტენზიები კრიტიკული წერილისა.

___

ნ. ჩხიკვაძის ბუნტარული სული სავსე იყო დაუსრულებელი ბრძოლის ენერგიით. იგი ყველას ებრძოდა, არა მარტო მტერს, ხშირად მოყვარესაც, და მისმა ახლობელმა მეგობრებმა იციან, რომ მას არ ეძნელებოდა საუკეთესო ამხანაგების წინაშე ჩხირის გატეხა. უაღრეს პატივისცემის გრძნობას იგი უცებ შესცვლიდა უმწვერვალეს მტრობად და პირიქით. ის აღსავსე იყო შურისძიების გრძნობით, მაგრამ მან არ იცოდა ვის წინააღმდეგ მიემართა შხამიანი ისარი, მთელ თავის სიცოცხლეში მას გარშემო მტრები ელანდებოდა, მუდამ მტრების ძებნაში იყო, მაგრამ არასდროს გარკვევით არ ჰქონდა წარმოდგენილი, ვინ და რისთვის მტრობდა მას. გუშინდელი მტერი დღეს უსათუოდ მოყვარედ იქნებოდა მიჩნეული და დღევანდელ მეგობარს არ უნდა ქონოდა იმედი ხვალინდელი დღისა. ის ებრძოდა ვიღაცას, ებრძოდა თავგამოდებით, გაშმაგებით და ეს «ვიღაცა» იყო უნივერსალური მტერი. ეს ადასტურებს ჩემს აზრს, რომ ნ. ჩხიკვაძის ბუნტი არის აჯანყება არა მარტო თანამედროვე გარდამავალი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ ის მიმართულია მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ. და, მართლაც, ძველი რეჟიმის ბატონობის ხანაში ნ. ჩხიკვაძე მებრძოლ პოეტთა რიგში ერთი საუკეთესო მეომართაგანი იყო. დაინგრა ძველი რეჟიმი. გამარჯვებული მეომრები ზეიმით მიეგებნენ სოციალურ სამართლიანობის განთიადს. ნ. ჩხიკვაძემ კი ამ განთიადის შემდეგ მოულოდნელის გაბრაზებით აამეტყველა თავისი ქნარი. და ბოლოს უჩვეულოდ დათალხა იგი. რატომ აკვნესდა მისი ჩანგი საერთო დღესასწაულის დროს ასე გულსაკლავად? პირადი ცხოვრების სიდუხჭირით? მაგრამ პირადი ცხოვრების მოუწყობლობა ხომ მისი განუყრელი თანამგზავრი იყო! საერთო მდგომარეობის სიმწვავით? მაგრამ ამას ხომ მოზეიმენიც გრძნობდნენ! ყოველს შემთხვევაში ბორკილები დამსხვრეული იყო და ის გასაჭირი, რომელსაც ხალხი განიცდიდა, მხოლოდ გამწვავება იყო ბრძოლის პროცესისა და ამას არ შეეძლო გამოეწვია უიმედობა «ბრძოლის ცეცხლად ქცეულ» მგოსანში. პოეტის ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხის ახსნა შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: «ნ. ჩხიკვაძის ისარი მიმართული იყო მსოფლიო ბოროტებისაკენ და სადაც სხვებმა მიზანი მიღწეულად ჩათვალეს, იქ მან დაინახა ახალი ასპარეზი დაუსრულებელის ბრძოლისა და მეტის სიმძაფრით იწყო ყივილი. რაც უფრო წინ, მით უფრო მეტი კონფლიქტი მსოფლიოსთან!

რა თქმა უნდა, პოეტის ასეთი განწყობილება თანამედროვე სოციალურ პრობლემასთან არათუ არ ამცირებს მის მნიშვნელობას საზოგადოების მოწინავე კლასის ბრძოლისათვის, პირიქით, დაუსრულებელი ბრძოლის პათოსით ანთებულ ქნარს მეტი ღირებულება აქვს საზოგადოებრივ გარდაქმნის პროცესში, ვინაიდან უფრო მეტის სიძლიერით აღვივებს შეურიგებელ ბრძოლის ცეცხლს.

___

ნ. ჩხიკვაძის პირადი ცხოვრების გზა ჭეშმარიტად ეკლით იყო მოფენილი. მის ცხოვრებაში არ ყოფილა «ოქროს ხანა», მას არ ჰქონია დრო ცხოვრების დამშვიდებით განჭვრეტისა, იგი მუდამ იბრძოდა არსებობისათვის და ამ ბრძოლას ყოველთვის ჰქონდა ხელჩართული ომის ხასიათი. იგი მუდამ კრიტიკულ მომენტს განიცდიდა, ყოველთვის ბეწვზე ეკიდა მისი ოჯახის კეთილდღეობის ბედი. _ აი მაცალე, ეს კრიტიკული მომენტი რამენაირად თუ გადავიტანე, _ იტყოდა ხშირად იგი, _ მერე არაფერი მიშავს, ცხოვრებას გავუმკლავდები. გაივლიდა ეს დრო, მაგრამ მას დაუყოვნებლივ მოყვებოდა ახალი კრიტიკული მომენტი და ასე დაუსრულებლად. დაუდგრომელი, მოუსვენარი, შეურიგებელი, იგი ვერ ეგუებოდა კერძო სამსახურს და არასდროს არც ყოფილა ერთ თუ ორ თვეზე მეტს რაიმე სამსახურში. უთუოდ უნდა წაჩხუბებოდა ვისმეს და ბრაზმორეული სტოვებდა ადგილს. ძნელი წარმოსადგენიც იყო ნ. ჩხიკვაძე სადმე მოხელედ, რომელსაც აქვს განსაზღვრული ჯამაგირი და სამუშაო დრო, აქვს, მაშასადამე, წინდაწინ შემუშავებული გეგმა, ბიუჯეტი და სხვა. ამ მხრივ, იგი იყო ტიპიური ბოჰემა, რომლისთვისაც ხვალინდელი დღე უთუოდ გამოცანა უნდა ყოფილიყო. იგი ორგანიულად ვერ ეგუებოდა ვერავითარ ყალიბს, გეგმას, ყოველდღე თხზავდა ახალ ცხოვრებას და ყოველ მეორე დღეს ანგრევდა წინათ განზრახულს. მას იტაცებდა მოულოდნელი, ანაზდეული რამ და უყვარდა განსაცდელი და ბედთან შებრძოლება, უყვარდა ქაღალდის თამაში, რომელიც, ჩემის აზრით, იყო გამოწვეული არა მარტო ფულის მოგების სურვილით, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც აცხოველებს შემთხვევითი, მოულოდნელი მოვლენის სიახლოვე და მისი ბუნდოვანება.

___

მე ნ. ჩხიკვაძეს შევხვდი 1905 წელს სარევოლუციო მუშაობის ასპარეზზე. ამ დროიდან იწყება ჩვენი ოჯახური დამოყვრებაც. 1908 წლის დამლევს მან მიატოვა სოფელი და ცოლ-შვილით ფოთს გადასახლდა. მე ახლად დაბრუნებული ვიყავი ჩრდილოეთიდან, როცა ვესტუმრე, დამხვდა სადგურზე.

_ იცი, საშა, მე საკუთარი სახლი ავაშენე აქ! _ მითხრა თავმომწონე ღიმილით მისალმების შემდეგ.

_ აგაშენა ღმერთმა, კარგი საქმე გიქნია, _ ვუპასუხე სიცილით. გამიკვირდა კი, და ცოტა ეჭვიც შემეპარა, ხომ არ მატყუილებს-მეთქი. წავედით. გზაზე სულ თავის ახალ გეგმებზე მეგაასებოდა.

_ ფოთი ჩემი სახლისკენ წამოვა, _ გატაცებით ასაბუთებდა თავის აზრს. სხვა მხრით არა აქვს ქალაქს გასაქანი, ზღვაში ხომ არ გადავარდება, უსათუოდ ჩემსკენ უნდა გაიზარდოს. ფოთს დიდი მომავალი აქვს... ჩემი სახლის ირგვლივ ნახავ მალე ერთი ციდა ადგილი აღარ იშოვებოდეს. მე, თუ გინდა, შენც აგიღებ ერთ ნაჭერ მიწას, გქონდეს, მერე სახლსაც დაგადგმევინებ!

მივდიოდით ჩქარის ნაბიჯით. ღრუბლიანი დღე იყო. სცრიდა. ნოე აღგზნებით მიხატავდა ზღაპრულ მომავალს ფოთისას, რაღაც ათი წლის განმავლობაში ქალაქი საშინლად გაიზრდება, ირგვლივ ჭაობები ამოშრება, გზებს გაიყვანენ, საუცხოოდ გამშვენიერდება, განსაკუთრებით, განაპირა კუთხეები და სხვა.

მე ყურს ვუგდებდი ნოეს დაუცხრომელ ბაასს და დიდი ხანია ველოდი, საცაა შეუხვევს და სახლში შევალთ-მეთქი, მაგრამ არ ჰქონდა დასასრული არც ნოეს ზღაპარს, არც ჩვენს გზას.

_ სადაა, ნოე, შენი სახლი, რომელ ქუჩაზეა, _ გაუბედავად შევეკითხე ბოლოს.

_ აი, ახლავე მივალთ, _ მომიგო სწრაფად, _ ჯერ ქალაქის ქუჩებზე ვართ, აი იმ სიმაღლიდან «სობორო» მოსჩანს. ჩემი ქუჩა ახალია, მგონი სახელიც უწოდეს, ქალაქის გამგეობაში ჩაწერილია...

გავიარეთ ქალაქის განაპირა ქუჩებიც. სრულაიდ მოვცილდით შენობებს და ერთ დიდ მინდორზე გავედით. შევუხვიეთ ვიწრო ტალახიან შუკაში და გავედით მიყრუებულ ადგილას. შორიდან დავინახე «ბუდკასავით» ამართული პატარა ახლად ანაგები სახლი. გამაჟრჟოლა.

_ რა გააჩერებს ერთ ოჯახს ამ უდაბნოში, _ ნაღვლიანად გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს შევნიშნე, რომ ნოე ელის ჩემს აზრს ცოტა დარცხვენით, და მხიარულად წამოვიძახე:

_ ეს არის, ნოე, შენი სახლი, ნამდვილად! კარგ ადგილზეა, ძმაო, რა გინდა მეტი.

შევედით სახლში. ერთი პატარა ოთახი მაღალ ბარჯგებზე. გარშემო ქარი ზუზუნებს. შორით მოსჩანს შუქურას წითელი შუქი. ამ სახლში დიდხანს არ უცხოვრია. აქ მოუკვდა ნოეს პირმშო ვაჟი. მიატოვა ფოთი, სახლი ქარმა წააქცია.

___

ომის დაწყების შემდეგ ნოემ თავის სოფელში დაიდგა მშვენიერი სახლი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაყიდა და თბილისში იყიდა პატარა სახლი. გადმოსახლდა ცოლ-შვილით. რამდენიმე თვის შემდეგ ეს სახლიც გაყიდა და ცოლ-შვილი სამტრედიაში დააბინავა. ამ წლის დამდეგს ხელმეორედ იყიდა თბილისში პატარა სახლი, მაგრამ ვერ ეღირსა მის დაცლას მდგმურთაგან, რომ ცოლ-შვილი ჩამოეყვანა სამტრედიიდან.

თებერვალში ჩამოვიდა თბილისს მტკიცე გადაწყვეტილებით _ რადაც დასჯდომოდა, დაეცალა სახლი, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ გაცივდა და პირველად გახდა ფილტვების ანთებით. რადგანაც თბილი ბინა ავადმყოფს ვერ ვუშოვეთ, ექიმების რჩევით ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში მოვათავსეთ. მეორე დღეს საავადმყოფოდან დამირეკეს; თქვენი ავადმყოფი ექიმს არ უჯერის და წასვლას აპირებსო. გავიქეცი საავადმყოფოში, მაგრამ სანამ მივიდოდი, იგი წამოსულიყო.

_ არაფერი არ გაგვივიდა, არც თხოვნა, არც მუქარა, ძალით მოგვატანია ტანისამოსი და წავიდაო, _ მითხრეს საავადმყოფოში.

იმ საღამოს ნათესავთან გაეთია ღამე. მეორე დილით ჩემთან მოვიდა. ჩაი დალია და სიცხე გაიზომა. 39 ჰქონდა. მაშინვე დავაწვინეთ, მაგრამ ჩემს ბინაში ციოდა და სხვა ოთახს დავუწყეთ ძებნა.

_ საშა, ოღონდ გადამარჩინე ამ ხიფათს და შემდეგისათვის ჭკუას ვისწავლი, _ მითხრა შეშინებული ხმით.

მოვნახეთ თბილი ბინა. ამხ. სილიბისტრო რემონიძეს დავურეკე და თავისი ბინა შემოგვთავაზა. მაშინვე ჩავსვი ეტლში საბანში გახვეული და წავიყვანე.

იქ ბუხარში ცეცხლი დაანთეს და ნოეც მაშინვე კარგ გუნებაზე მოვიდა.

___

მეორე დღეს რომ მივედი, ნოეს უკვე სიცხე არ ჰქონდა და სილიბისტროს გაცხარებით ეკამათებოდა რაღაც წისქვილის შესახებ.

_ რა წისქვილია, კაცო, ხომ არ გაგიჟდი? _ გავიკვირვე მე.

_ გავგიჟდი კი არა, საშა, ეს ისეთი საქმე აღმოვაჩინე, რომ ჩემს დუხჭირ ცხოვრებას ბოლო მოეღო, _ მტკიცე რწმენით მიპასუხა ნოემ. _ ამ საქმეს ჯერჯერობით მე და სილიბისტრო ვაწარმოებთ, მაგრამ არც შენ დარჩები გარეშე მაყურებლად ბოლოს. და ნოემ დალაგებით მიამბო, თუ როგორ მიაგნო ვიღაც ინჟინერს, რომელმაც გამოიგონა მოტორიანი წისქვილი, როგორ გადაწყვიტა აბაშაში წისქვილის დადგმა და მთელი გეგმა გადამიშალა. დღეში ორმოცი ათასი ფუთი სიმინდი უნდა დაფქვას. მეათედი წისქვილს დარჩება. ეს აუარებელ თანხას გააკეთებს. შემოსავლის ნახევარს მოახმარს ადგილობრივ საქველმოქმედო და კულტურულ მიზნებს. მეორე ნახევრით სამუდამოდ უზრუნველყოფს ცოლ-შვილს და ახლობელ-მეგობრებს. დაიწყებს წიგნების გამოცემას. დააარსებს სტიპენდიებს და სხვა და სხვა.

სილიბისტრო საერთოდ ეთანხმებოდა, მაგრამ ორმოცი ათასი ფუთი ცოტა გადამეტებულად მიაჩნდა და ნოეც ამაზე ცხარობდა.

_ ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჯერ კარგად გახდი და ამაზე ფიქრს მერე მოასწრებ, _ დავარიგე წამოსვლისას.

მესამე დღეს ნოე ჩემთან მოვიდა. მეწყინა. შემატყო, რომ მეწყინა. წოლა არ მარგებს, ცოლ-შვილი დაყრილი მყავს სამტრედიაში, უნდა მივხედოო.

ცოტა ხნის შემდეგ სადგურისაკენ წავიდა. არ დაიჯერა ჩვენი რჩევა _ რამდენიმე დღე მოეცადა.

გზაში ავადმყოფობა შეუბრუნდა და სამტრედიაში ხელმეორედ გადაიტანა ფილტვების ანთება.

___

მაისის 22-ს, შაბათს, ერთი ნაცნობის ხელით ნოემ გამოგზავნა თავისი პატარა «საკვოიაჟი» შესანახად და შემდეგი წერილი:

«საშა! მე ჩამოვედი სამშაბათს ღამეს. ოთხშაბათს ბენიასთან ვიყავი და ვთხოვე სახლი დაეცლევინებინა. ბენიამ მყისვე მოახდინა განკარგულება ამის შესახებ და უბრძანა მოხელეს საქმე ახლავე მოეგვარებინა. მოსამსახურემ ვადა პარასკევს დამიდო. მე კი დღესვე გავხდი ანთებით ავად და სიკვდილს ვებრძვი. მე სახლს თუ ვერ დავცლიდი, უნდა გამეყიდა, მაგრამ რაკი დავცალე, აწი... ბენიამ სამსახურიც მომცა... თუ ყველა ოხრათ არ დამრჩა... ერთი კაპიკი ფული არა მაქვს, უწამლოდ ვკვდები.

შენი ნოე ჩხიკვაძე.

P. S. მე ვწევარ კიზლიარის ქ. №3.

წერილის მომტანმა მითხრა, რომ ბარათის დაწერის შემდეგ ის ექიმთან იყო და ექიმის რჩევით თავის ფეხით მიხეილის საავადმყოფოში წავიდა და იქ წევსო.

იმ საღამოსვე მწერალთა საბჭოს სხდომამ გადასდო ცოტაოდენი თანხა ავადმყოფ პეოტისათვის. მეორე დილით წავედი საავადმყოფოში. წამომყვნენ ვ. რუხაძე და ობოლი მუშა.

შევედი თუ არა საავადმყოფოში, შემოგვეგება ექიმი ვირსალაძე და ალ. ნიკიტინი. ნიკიტინს ხელში კონვერტი ეჭირა.

ექიმმა მიგვიწვია კაბინეტში.

_ აი, ეს არის, წერილის გამოგზავნა გვინდოდა თქვენთვის, _ მითხრა მან. _ კარგია, რომ შემოხვედით.

და მიამბო, თუ რა მდგომარეობაში იყო ავადმყოფი. _ ფილტვების ანთებით არის ავად, მდგომარეობა გართულებულია ნერვების აშლით.

დილიდანვე სიცხე მომატებოდა. ეთხოვა: აბაშელს შეატყობინეთო. ამ დროს შემოსულა ექიმი შ. მიქელაძე, შეხვეწნია _ წამიყვანე და მე თვითონ მოველაპარაკები ტელეფონითო.

შ. მიქელაძეს ჩაუსვამს ავადმყოფი პოეტი თვლებიან სავარძელში და ჩამოუყვანია ტელეფონთან, მაგრამ ტელეფონი გაფუჭებული ყოფილა. სიცხით გაბრუებულ გონებას მეტი აღარ უნდოდა.

_ გამიშვით, _ შეჰყვირა თურმე ავადმყოფმა და წამოვარდა გასაქცევად. თქვენ განზრახ დაჰკეტეთ ტელეფონი და გინდათ მომწამლოთ ისე, რომ არავინ გაიგოს ჩემი სიკვდილი.

თხუთმეტ კაცს ძლივს დაუმაგრებია და პალატაში შეუყვანიათ.

_ იძულებულნი შევიქენით დამამშვიდებელი ხალათი ჩაგვეცმია. ახლა მორფი შევუშხაპუნეთ დასაძინებლად და წევს საწოლზე მიკრული, _ გაათავა ექიმმა.

_ არ შეიძლება ახლა მისი ნახვა? _ შევეკითხე ექიმს.

_ კი, ახლავე, თუ არ სძინავს.

წავედით პალატაში. ჯერ ექიმი შევიდა. არ სძინებოდა. ყველა ერთად ნუ შეხვალთ, ჯერ მარტო თქვენ შედითო, მითხრა.

შევედი. ნოე იწვა გულზე ხელებდაკრეფილი. თვალები გაჰფართოვებოდა და გაბრაზებული გამოიყურებოდა.

_ საშა, რაშია საქმე, რა უნდათ, კაცო, ჩემგან? _ მომმართა, დამინახა თუ არა. _ რა დავაშავე ისეთი, რომ სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს? მართალია ცოტა ავღელდი, მაგრამ განა ამისათვის უნდა მომწამლონ?

_ რას ამბობ, ნოე, დამშვიდდი, ვინა გწამლავს, ვინ გკლავს, არა გრცხვენია? _ ვცადე დამშვიდება და ახლოს მივუჯექი, შუბლზე ხელი გადავუსვი. დიდი სიცხე ჰქონდა.

_ ხომ იცნობ შენს ექიმს? ვირსალაძე არ არის? და რაფერ მოგივიდა აზრად, რომ ამან უნდა მოგწამლოს? პირიქით, გივლის კარგად, რომ რაც შეიძლება მალე მორჩე.

_ საწამლავი შემიშხაპუნეს, საშა, მორფი, ჯერ დამაკრეს საწოლზე, ხელ-ფეხი შემიბორკეს, მერე მომწამლეს.

_ ეგ საწამლავი კი არ იყო, _ მიუბრუნდა ავადმყოფს ექიმი, _ დასაძინებელი წამალია. თქვენ მდგომარეობაში დამშვიდებაა საჭირო, თქვენ კი თხუთმეტი კაცი გაანიავეთ, ძლივს დაგაკავეს.

_ სად მიდიოდი, ნოე, რატომ გააჯავრე ექიმი?

_ შენთვის მინდოდა დამერეკა და გული მომაყვანიეს, _ ცოტა მოლბა ავადმყოფი.

_ მე გუშინ მივიღე შენი წერილი. და აი, ვარლამი და სოლომონიც აქ არიან მოსულნი შენს სანახავად.

შემოვიდნენ და მიესალმნენ. ნოემ ასწია ხელი ჩამოსართმევად, მაგრამ მიკრული ჰქონდა.

_ საშა, _ სრულიად დამშვიდებული კილოთი მომმართა, _ სთხოვე ექიმს შემიხსნან ხელები. ახლა მე დამშვიდებული ვარ და ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. ბოდიშს ვიხდი.

ექიმმა უარი განაცხადა. არა უშავს, იწვეს ისე, მისთვისაც უკეთესია, დაიძინებს და მერე შევუხსნითო.

_ ბ-ნო ექიმო, _ მიმართა ნოემ ექიმს, _ მე უკვე გამოვერკვიე, გონს მოვედი. ვნახე ჩემი მეგობრები, ახლა კმაყოფილი ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს. შემიხსენით ხელები, არ არის საჭირო. გარწმუნებთ, რომ ყოველს თქვენს დარიგებას უსიტყვოდ დავემორჩილები.

მე ვგრძნობდი, რომ მართლაც საჭირო აღარ იყო ხალათი, მაგრამ ექიმმა მანიშნა _ არ შეიძლებაო.

_ კარგი, ნოე, _ დავუწყე ისევ დამშვიდება, _ ცოტა ხნის შემდეგ მე თითონ გაგიხსნი, ეხლა ეცადე დაწყნარდე და დაიძინო.

ექიმი გავიდა.

მე მაშინვე შევუხსენი ფეხები. ხელები არ დამანება მოწყალების დამ, ექიმის ბრძანება არისო. წყალი მოითხოვა. დამშვიდდა. ბევრს ლაპარაკობდა. იცინოდა: მორფი საწამლავი მეგონაო. მოწყალების დასთან ბოდიში მოიხადა, დიდხანს ვილაპარაკეთ. მორიგე ექიმმა გამიწვია განზე და მთხოვა წავსულიყავით, რომ ავადმყოფს დასძინებოდა.

გამოვემშვიდობეთ. დავპირდით საღამოს განახავთო. შენი ბავშვი მომიყვანეო, _ დამიბარა.

ნასადილევს ავადმყოფისაკენ გავეშურე. ცოლი და ბავშვი წამოვიყვანე, რომ მივედით ეძინა. კარგა ხანს ვუცადეთ დერეფანში. მორიგე ექიმს გამოვკითხე, როგორ მიმდინარეობდა ავადმყოფობა. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ შეიძლება გადაიტანოსო.

ამასობაში გამოღვიძებოდა. შევედით.

_ რა ტკბილად მეძინა, _ მითხრა მხიარულად და ბავშვს დაუძახა. გაეხარდა ბავშვის ნახვა.

_ საშა, ჩემი ბავშვები უნდა ჩამომიყვანო, _ ფული გაუგზავნე რამდენიმე ათასი მანეთი და ჩამოვლენ. მანამდის აქ სახლი დააცლევინე.

ნოე სრულიად გამოცვლილი დამხვდა. დილინდელ აჯანყებისაგან არაფერი დარჩენილიყო. ხელები უკვე შეეხსნათ.

სიცხე გაუზომეს. 38 ჰქონდა.

კარგ გუნებაზე დადგა. ხუმრობდა, თითონ მოჰყვა დილის თავგადასავალს და დასცინოდა თავის სიშმაგეს.

წამოსვლისას მთხოვა მეორე დილით ბენია ჩხიკვიშვილი მენახა და სახლის დაცლის ამბავი გამეგო. თან ფული უნდა მეშოვნა სოფლიდან ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად.

საავადმყოფოდან წამოვედი სრულიად დარწმუნებული, რომ ნოეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

დილით ვნახე ბენია, ფულიც ვიშოვე.

სახლში რომ მივედი, ცუდად შევიქენი. სიცხე მომცა. დავწექი და საავადმყოფოში ცოლი გავგზავნე.

დავაბარე ნოესთვის ეთქვა, რომ ფული უკვე გაგზავნიალია.

ცოლი დიდხანს არ დაბრუნდა, ბოლოს მოვიდა, თან ახლდა ჩემი და ნოეს რამდენიმე ნათესავი.

_ როგორ არის ავადმყოფი, რად დაგაგვიანდა? _ შევეკითხე ცოლს ცუდის წინათგრძნობით გამსჭვალულმა.

_ ძალიან ავად არის, _ მიპასუხა.

_ ნახე?

_ არა... არ მაჩვენეს.

საბრალო, ნოე! დილით გარდაცვლილიყო. შუაღამემდის კარგად სძინებოდა, შემდეგ უცებ წამოვარდნილიყო და დარეოდა მოსამსახურეთ. ისევ ჩაეცმიათ ხალათი და მიეკრათ საწოლზე. დილამდის ებრძოლნა გიჟურის სასოწარკვეთილებით და დილის 10 საათზე სული დაელია.

სამი თვის განმავლობაში მესამეჯერ გახდა ფილტვების ანთებით ავად. ვეღარ გადიტანა ბოლოს.

მუდამ სახლსა და ბინის ძებნას გადაყოლილმა უკანასკნელად საავადმყოფოში ჰპოვა თავშესაფარი და იქ მოწყვეტილმა ცოლ-შვილს და მეგობრებს გიჟის ხალათით შეკრულმა განიცადა საშინელი სიმარტოვე საბედისწერო ბრძოლაში. ვინ იცის, მომაკვდავ პოეტის ანთებულ გონების ეკრანზე რამდენი საშინელი სურათი აღბეჭდა წყვდიადის ღმერთმა ამ ტრაგიკულ შებრძოლების დროს.

მეორე დღეს მიცვალებულის ხელნაწერებში, სხვათაშორის, ამოვიკითხეთ დაუმთავრებელი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

«ლოცვით ვერ დავსძლევ მწუხარების შავსა ზმანებას,
ცრემლთა ჩანჩქერით ჭმუნვა ჩემი არ განელდება.
მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას...»

1920 წ.

ყვითელი ფოთოლი
(გ. ტაბიძის პოეზია)

დღეს ჩვენში ბევრს აღონებს პოეტთა განსაცვიფრებელი სიმრავლე: ბევრი ჰფიქრობს, რომ მოლექსეთა ასეთი გამრავლება მომასწავებელია პოეზიის დაქვეითებისა, _ «ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად». ხელოვნების საიდუმლო ტაძარს, მომაკვდავთათვის მიუწვდომელ პარნასზე აგებულს, ჩამოეცალა ვარსკვლავებით მოჭედილი ფარდა და იგი ყველასათვის მისაწვდომი გახდა: ყველას შეუძლიან ქვის განიერ კიბეზე აირბინოს და მშვენიერების საკურთხეველში უდარდელად ააღიღინოს სტვირი.

ასე ჰფიქრობს ბევრი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

ქართველ მგოსანთა სიმრავლე უბრალო ილუზიაა და აიხსნება ორი გარემოებით: ქართველი ერის სიმცირით და ჩვენი მხატვრულ ლიტერატურის შესაფერ კრიტიკული მწერლობის უქონლობით.

ჩვენი ერი მეტად მცირერიცხოვანია: ჩვენს მწერლებს თითქმის ყველას პირადად ვიცნობთ. ყველა ისინი თავმოყრილია ჩვენს რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში. ქართველი მკითხველი ყველა ქართულ გამოცემას იცნობს. საკმარისია რომელიმე ავტორმა დაჰბეჭდოს ორი-სამი ლექსი, რომ ის მკითხველმა საზოგადოებამ პოეტთა რიცხვში მოათავსოს. არც ერთი ახალი მწერალი, რა ღირსებისაც უნდა იყოს იგი, არ ეკარგება საზოგადოებას და ყოველი ბედის მაძიებელი ჩვენს მწერლობაში პირველ კალმის ცდისთანავე ცნობილი ხდება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მწერალთა რიცხვი გაიზრდება. მრავალრიცხოვან ერში კი მწერლობას არა აქვს ასეთი ოჯახური, ინტიმური ხასიათი, მაგალითად, რუსეთის დიდსა და მცირე ქალაქებში აუარებელი ჟურნალ-გაზეთები გამოდის და ყოველ მათგანს ჰყავს მთელი რიგი მწერლებისა.

რუსეთის ზღვა პროვინციას რომ თავი გაანებოთ და სატახტო ქალაქების უკანასკნელ ათი წლის ჟურნალ-გაზეთები გადაათვალიეროთ, თქვენ აღმოაჩენთ მრავალ მოლექსეთ, რომელთაც არავინ იცნობს რუსეთის ლიტერატურაში. იქ მხოლოდ ძლიერთ უსმენს მთელი ერი და დიდი უმრავლესობა კალმის მოთამაშეთა ისევე შეუმჩნევლად იხოცება, როგორც იბადება. ჩვენში კი შემთხვევით რომ კალამი აიღო ხელში, ძალაუნებურად მთელს ერს უნდა გამოეჭიმო წინ.

ასეთ პირობებში მყოფს ლიტერატურას დიდს დახმარებას გაუწევდა კრიტიკა, რომელიც მკითხველ საზოგადოებას გზას გაუკაფავდა და მისცემდა საშუალებას მრავალრიცხოვან მწერალთა სიიდან ამოეკრიფა რამდენიმე პირი და დანარჩენი წაეშალა. მაგრამ ჩვენში კრიტიკული მწერლობა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს და ჯერ ამ დარგში თვალსაჩინო არაფერი გაკეთებულა. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ მიუხედავად ჩვენი მხატვრული ლიტერატურის საკმაო სიმდიდრისა, ჩვენში არ არის განვითარებული ესთეტიკური გემოვნება და ხშირად «ვეფხისტყაოსნის» მკითხველი არ გაურბის მდაბალ ღირსების მწერლობასაც. და რა გასაკვირია, რომ ჩვენში პოეტებს ასობით სთვლიდენ.

პოეტი! ვინ არ არის დღეს პოეტი! ყველას, ვისაც შეუძლია სტრიქონებში ხმოვანი ასოები დასთვალოს და «ლევანს» «მტევანი» მოუნახოს _ პოეტად მოაქვს თავი. და ვინ არის გამრჩევი? ჩვენი გაზეთები უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხთა სფეროში ტრიალებენ და პოეზიას დიდს ყურადღებას არ აქცევენ. პოლიტიკური გაზეთების საქმე არც არის პოეზიის ხელმძღვანელობა და ამას ისინი ვერც იკისრებენ. ჩვენში არ არსებობს სპეციალური სალიტერატურო-სამხატვრო ორგანოები, რომელთა გარშემო შეეძლო თავი მოეყარა ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის მესვეურთ და გზა გაეკვლია სამშობლო ხელოვნებისათვის. და სანამ მდგომარეობა არ შეიცვლება, ჩვენში სიტყვა «პოეტი» დარჩება საგინებელ სიტყვად, როგორც ეს დღეს არის.

ნამდვილ პოეტთა რიცხვი, მიუხედავად მოლექსეთა საშინელ გამრავლებისა, ძლიერ ცოტაა, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი.

«მრავალ არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ»...

და ამ რჩეულთა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა გ. ტაბიძემ. მე არა ვარ კრიტიკოსი და არცა მაქვს აზრად ამ მგოსნის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა. მე მინდა მხოლოდ მკითხველებს გავუზიარო ჩემი პირადი შთაბეჭდილება, თუ როგორ წავიკითხე მე გ. ტაბიძის ლექსთა კრებული.

რა არის პოეზია, როგორ უნდა გაარჩიოს კაცმა კარგი და ცუდი ლექსი?

ამ კითხვაზე რუსის გამოჩენილ კრიტიკოსს ბელინსკის აქვს შესანიშნავი პასუხი: «ნამდვილს პოეზიასა და უნიჭოდ შეთხზულ ნაწარმოებთა შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც არსებობს ცოცხალ ადამიანსა და მკვდარს შორის». და მართლაც, რა ანსხვავებს მკვდარს ცოცხალისაგან? ერთი შეხედვით, გარეგნულად, მკვდარი ადამიანის სახე ისეთივეა, როგორც ცოცხალის: ყველაფერი თავის რიგზეა, ცხვირი, თვალები, შუბლი, ტუჩები და სხვა. მაგრამ ერთი თვალის გადავლებაა საჭირო, რომ გიჟიც კი მიხვდეს იმ საშინელ განსხვავებას, რომელიც ღრმა უფსკრულსა სთხრის ცოცხალსა და მკვდარს შორის. აი, სწორედ ის, რაც ახასიათებს სიცოცხლეს და რისი გამოთქმაც შეუძლებელია, შეადგენს პოეზიის თვისებას. პოეზია ის არაჩვეულებრივი, უცნაური ცეცხლია, რომელიც მომჯადოებელ შუქად არის ანთებული ცოცხალ ადამიანის თვალებში. წყარო ამ შუქისა, ამ ციურის ცეცხლისა არის სული, რომლის საიდუმლოებასაც მგოსანი ფარდასა ჰხდის თავის

შემოქმედებაში. ათასნარი სხივით ათამაშებული გრძნობათა ზღვა, როცა მას დაჰბერავს ქარი შთაგონებისა, გადმოისვრის სულის იდუმალ წიაღით რამდენიმე შუქმფენ ტალღას, რომლის შხეფები-ღა თუ მიაღწევენ ხილულ ნაპირს, _ სულის შინაგან ღელვას არა აქვს გამოსავალი და მის ცხადსაყოფლად საჭიროა სასწაულებრივი ძალა შემოქმედებისა, ლექსის გარეგანი ფორმა მხოლოდ საშუალებაა გრძნობათა სფეროში დატყვევებულ შუქის გადმოსაცემად. თუ ლექსში არ არის დაფარული სუნთქვა ცოცხალის არსებისა, თუ მისი სტრიქონები არ არის აკინძული უხილავ ცეცხლის სხივებით, რაც უნდა ლამაზი იყოს მისი ხილული გამოხატულება _ იგი მკვდარია. ლექსი ჰგავს სარკეს. როგორც სარკე უარყოფს თავის თავს და გამოსახავს იმას, რაც თითონ არ არის, არამედ მასში შეუქმნია სხივთა უცნაურ ძალას, ისე ლექსი, თავისი ხილულ სტრიქონებით ღაღადებს სადღაც, ამ სტრიქონთა შორის მიმალულს სულის საიდუმლოებაზე და უმთავრესი ლექსში სწორედ ეს მიმალული შუქია. თუ ეს ლექსს აღარ ახლავს _ ის არ არის პოეტური ნაწარმოები, მაგრამ ამ შუქის დანახვა არ შეიძლება, ის უნდა იგრძნოს ადამიანმა, ამიტომ არის ძნელი და უნაყოფო კამათი იმაზე, თუ რა არის მშვენიერება. თუ ადამიანმა ვერ იგრძნო ცხოველმყოფელი ძალა პოეზიისა, მშვენიერებისა, მისთვის მიუწვდომელია აღტაცება ესთეტიურის ტკბობისა. როგორც სიყვარული, მშვენიერების გრძნობაც თავისუფლად და ძალდაუტანებლად იღვიძებს ადამიანის გულში.

გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით. მისი სულის სევდა, მისი ნაღველი იმდენად წარმტაცი, იმდენად მრავალფეროვანია, რომ გავიწყდება ამ სევდაში ჩაქსოვილი არარაობა სოფლისა და მშვენიერების გრძნობით აღტაცებული, მზადა ხარ მუხლმოდრეკით თაყვანი სცე პოეზიის აღმაფრენ ძალას და თავდავიწყებით შესძახო: «რა კარგია, რა მშვენიერია სიცოცხლე!» მისი სევდა არ არის გამოწვეული რაიმე შემთხვევითი მიზეზით, ის უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა. ამიტომ არის, რომ ეს სევდა არ აჩლუნგებს სიცოცხლის გრძნობას, პირიქით, უფრო აღრმავებს და აკეთილშობილებს მას.

პოეტის გრძნობა გამსჭვალულია შემოდგომის ნაზი სიმფონიით. «ყვითელი ფოთოლი», აი, ემბლემა მისი ლირიკისა. შესანიშნავის ხელოვნებით აქვს მგოსანს გადმოცემული გრძნობა სიცოცხლის წარმავალობისა. იგი ისე მძლავრად გრძნობს «ყვითელ ფოთლის» ნაღველს, რომ იკარგება განსხვავება ბუნებასა და ადამიანს შორის და მომხიბვლელი კაეშანი ოქროდ მოსილის შემოდგომისა საკუთარ სევდის ჰანგად ქვითინებს მგოსნის გულში. რაოდენი გრძნობაა აღბეჭდილი შემოდგომის «ყვითელ ფოთოლზე»? გაზაფხულის მატყვევებელი შრიალი, ზაფხულის სხივთა სიუხვე და სილაღე სრულყოფისა, ალერსი სიცხისაგან მინაზებული სიოსი და აღტყინება ფრთაგაშლილ ქარისა... და ყველაფერი ეს გაჰქრა, წავიდა... ცივი შემოდგომა აქრობს სიცოცხლეს და ძალა-მილეული «ყვითელი ფოთლები» წყნარად სცვივა ხიდან, სცვივა და მათს სევდიან ჩურჩულში მეტყველებს კაეშნიანი ჰანგი სოფლის ცვალებადობისა, სიცოცხლის წარმავლობისა... და მგოსანი დასტირის მათ:

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა,
და როცა დილით გამომეღვიძა,
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს
მიმოეფარათ ყამირი მიწა.
ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე
დაცვენილიყო ფოთოლი რბილი,
და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი

წარსულ სიზმრებში გადაფრენილი...

მგოსანი გრძნობს სულიერ ნათესაობას მჭკნარ ფოთოლთან:

_ შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჭკნება ფოთოლი;
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებში დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული _
და სიყმაწვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება...

და გულის ტკივილით ჰგოდებს:

ოჰ, მტკივა გული! ყვითელ ფოთლებით
კვალ _ ბილიკები მიმოიფარა,
ფოთლები სცვივა ჩემს გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა!..

და მგოსანი თავის გულისტკივილს შლის საუცხოვო ჰანგებში. ყოველი მისი სიტყვა სისხლის წვეთია, მაგრამ მის გრძნობაში იმდენი ცეცხლია, რომ მას ვერ აკმაყოფილებს სიტყვა:

_ არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება,
სიმართლის ალი, როგორც ბურუსი
ისე ირღვევა და იფანტება...
მე ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს
გამოუთქმელი და მწარე ალი,
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?..

და ზეშთაგონების ცეცხლით იწვის გრძნობა მგოსნისა. ამიტომ არის, რომ მის «შავ წიგნში» აღარ არის რამ ისეთი,

რომ არ აჩნდეს მწარე გესლი,
რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი...

და სწორედ ეს «სისხლის წვეთია», რომ ახდენს სასწაულს და მის ლექსებს მოსავს მშვენიერების შუქით. აბა, წაიკითხეთ ლექსი «კორდზე», თუ გსურთ, რომ «მისმა სიმღერამ დაგწყვიტოთ გული», წაიკითხეთ «უდაბნო» და თქვენ იგრძნობთ, თუ რა არის «მარტოობა სულისა», წაიკითხეთ შესანიშნავის ძლიერებით დაწერილი ლექსი «ორი ზარი», სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ერთიმეორეს ეძახის და მოუწოდებს და თქვენ მოისმენთ არაჩვეულებრივ ზარის ხმას ქვესკნელიდან, _ «კუბოს ფიცარზე ძვლების რახუნსა», რომელიც ეძახის მათ, ვინც აქ დარჩა,

რომელთაც სწამთ «ყოფნის ზღაპარი». და რამდენი ჩამოვთვალო! ლექსები: «მესაფლავე», «გურიის მთები», «მე და ღამე», «მუსიკა», «მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა», «რა მშვენიერი იყო ნამი», «სარკმელთან», «სარკესთან», «დუმილი», «გზაზე» _ ისეთის ხელოვნებით არის დაწერილი, რომ ჩვენი ახალი პოეზიის მარგალიტებად უნდა ჩაითვალოს. არ შემიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე ლექსი მთლიანად.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ტყის ფართო გზაზე მახსოვს ეტლი მიგვაქროლებდა,
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.
მე გიამბობდი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,
სიყმაწვილეზე გიამბობდი შთენილი ობლად.
საღამო იყო... მზე დასავლით ესვენებოდა,
ტყეს ედებოდა გამჭვირვალე და ლურჯი ბინდი.
ამ დროს ვიგრძენ რომ შენ სრულიად ყურს არ მიგდებდი, _
ეტლის სიღრმეში გადავემხე და ავქვითინდი.
წამოვიწიე და მათრახი გადავკარ ცხენებს,
ელვის სისწრაფით გზას გაეკრა ბუქ-ბუქად მტვერი.
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.
ტყე გზას გვიცლიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებდით
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან, როგორ რჩებოდა,
ისე მწყუროდა ამ დროს ლტოლვა განუსაზღვრელი,
ისე მომნატრდა, რომ გზას ბოლო არ ჰქონებოდა.
და ერთად-ერთი ცის ღრუბელი ვრცელ უდაბნოში
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი,
თან მიგვყვებოდა განუყრელად განუშორებლად,
მსუბუქი, როგორც განვლილ დღეთა შორი სიზმარი.
მეჩვენებოდა _ თითქო ტყეში ვიღაც კვნესოდა,
და მე ეგ კვნესა უსასოო გულში მწვდებოდა,
ცრემლი მდიოდა _ რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

ეს ლექსი კი არ არის, ეს მთელი პოემაა, ექვს ტაეპში მოთავსებული. იშვიათია ასე მოკლედ, ასე შემკულად ზღვა გრძნობის გადმოშლა. რა დიდი მანძილია ლექსის დასაწყისსა და ბოლოს შუა?

შენს სუნთქვას ვგრძნობდი, ბედნიერი შენსა მახლობლად...

აქ მხოლოდ ფრთებსა ჰშლის სიცოცხლის გაზაფხული, აქ სიყვარულის მეჯლისია.

ცრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი,
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

აქ კი დამსხვრეული სიყვარულისაგან მხოლოდ მწუხარე მოგონება-ღა დარჩა. და მთელი ეს გზა ბედშავის სიყვარულისა, სიცოცხლის დასრულებული რგოლის ყველა წერტილი, მთელი გამმა სათუთ გრძნობათა ამოწურულია ოც სტრიქონში.

აი, მეორე ლექსი, რომლის ყოველი სტრიქონი უსაზღვრო სევდის ცრემლით არის ამოქარგული.

ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე

ნიავი დაჰქრის... სასაფლაოზე
ღამე ეშვება წყნარად, ბინდდება.
შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე,
და მწარედ, მწარედ აქვითინდება.

ქვითინი თვითონ კუბოს ჩასწვდება,
ცრემლები კიდევ _ ყვავილთა ძირებს...
გამოიგლოვებს პირველ სიყვარულს
და სიცოცხლესაც გამოიტირებს.

ვინ მისცემს ნუგეშს ობლადა შთენილს?
თვითონაც იცის _ რისთვისაც კვდება:
არ განახლდება წარსული ჟამი,
ბედნიერება არ დაბრუნდება!

აქ შესანიშნავია არა გარეგანი ფორმა ლექსისა, არა მისი ხილული სახე, არამედ ის ციური შუქი, რომელიც ამოჰყვა გრძნობათა აფერადებულ ტალღას და ააკაშკაშა ყოველი სიტყვა ლექსისა.

საზოგადოდ, გ. ტაბიძის ლექსთა წყობა სადაა და უბრალო, რაც უფრო მეტის სინათლით ჰმოსავს გულწრფელ გრძნობათა სათუთ სიმებს:

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი,
განთიადის შუქით ძლეულს,
მოსწყენია საწყალს ცაზე,
უიმედოს, ფერმილეულს.
არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს,
ცას რომ ფარავს ფრთა-ტივტივა,
ატკივდება ხოლმე გული
და ცრემლები სცვივა, სცვივა...

მშვენიერია გ. ტაბიძის პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და ნაზი, როგორც ძილში მონასმენი სტვენა ბულბულისა; იგი ისე მოევლინა ჩვენს მწერლობას, «როგორც სიმღერა მოულოდნელი».

_ ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში,
გრგვინვა-ქუხილში, კვნესა-წუხილში,
ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა,
ნაზად, ნარნარად, ისე ვით ძილში.

ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,
როცა ქვითინებს და კვნესის ყველა,
როგორც ჩვენება გასაკვირველი,
ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა...
ასე, ნუგეშო, ჩემს მშფოთარ ყოფნას
შენ მიუვლინე სხივი პირველი,
როგორც სიმღერა მოულოდნელი,
როგორც პეპელა გასაკვირველი...

ვუსურვებ მგოსანს არ ჩამქრალიყოს მასში ის ღვთიური ცეცხლი, რომლითაც ასე წარმტაცად არის დაფერილი მისი აცრემლებული სტრიქონები.

უკანასკნელი მგზავრობა

(სიმონ ხუნდაძის გარდაცვალების წლისთავისათვის)

ცდების და ცდების, სიკვდილსა
ვინ არ მოელის წამისად.
შ. რუსთაველი

რაც უნდა სტოიკური სიმტკიცით იყოს შეჭურვილი ადამიანი სიკვდილის აუცილებლობის მიმართ, მაინც ყოველთვის თავზარდამცემია ჯან-ღონით სავსე, მეგობრისა და ახლობლის მოულოდნელი სიკვდილი. არასოდეს არ დამავიწყდება ის ამაზრზენი შეშფოთება, რაც განვიცადე იმ წუთს, როცა შემატყობინეს სიმონ ხუნდაძის უეცარი გარდაცვალება. მით უფრო შემზარავი იყო ეს ამბავი ჩემთვის, რომ ორი დღის წინ ერთად ჩამოვედით თბილისში ქვიშხეთიდან და რამდენიმე დღეში ერთადვე ვაპირებდით უკან დაბრუნებას და სწორედ იმ დღეს უნდა შევხვედროდი მას, რომ შევთანხმებულიყავით, თუ რა დღისთვის აგვეღო ბილეთები.

მე მინდა მოვიგონო ზოგი რამ ამ მოკლე მგზავრობიდან, ვინაიდან ეს მგზავრობა უკანასკნელი შეიქნა ჩემი უდროოდ დაღუპულ თანამგზავრისათვის.

მე ქვიშხეთში დასვენების დღეებში ჩავდიოდი, რადგან იმჟამად თბლისში სამუშაო მქონდა. ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დღე იყო 17 აგვისტო. სიმონი თავის ოჯახით იქ იყო. მეორე დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ, ჩვენი დასასვენებელი სახლის ეზოში ფიჭვების ჩრდილში შევიყარენით. ვიდრე ოთახიდან გამოვიდოდი, მე უკვე მესმოდა ეზოდან ალერსიანი წყრომა სიმონისა, მის ორ პატარა გოგონასადმი მიმართული: «ჟუჟუნა! ნანა!» იშვიათად მინახავს ბავშვების ისე მოყვარული მამა, როგორიც სიმონი იყო. არა მარტო საკუთარი ბავშვების სიყვარულით იყო ანთებული, გულგრილად ვერ გაუვლიდა უცნობ ბავშვებსაც და სადაც უნდა შეხვედროდა მათ, უთუოდ მოახერხებდა მათთან დალაპარაკებას. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ იგი.

რომ დამინახა ეზოში გამოსული, შორიდან სალამი მომაძახა და შემომანათა ღიმილშეფენილი სახე. ყველა მის მეგობარსა და ნაცნობს ახსოვს, ალბათ, სიმონის ნათელი სალამი: სიხარულით გაბრწყინვებული თვალები და მთელ სახეზე დაუფარავი ზეიმით გაშლილი ღიმილი. თითქოს ეს არის დიდი ხნის უნახავ მეგობარს მოულოდნელად შეხვდაო. და ეს იყო არა მოჩვენებითი თავაზიანობის ჟესტი, არამედ გულწრფელი სიხარული, ბავშვური მიამიტობით გამოსახული, რადგან მას ყოველთვის ადამიანურად უხაროდა სხვათა სულიერ სფეროში ჩაჭვრეტა,

ისევე, როგორც თვითონ მუდამ საამოდ მიაჩნდა საკუთარი აზრებისა და გრძნობების სხვისთვის გაზიარება: ვისაუბრეთ დიდხანს, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ლიტერატურის საკითხებზე. უყვარდა თავის კვლევა-ძიების შესახებ საუბარი, თუ რა აღმოაჩინა, რა საინტერესო დეტალები გამოარკვია ზოგიერთ ლიტერატურულ მოვლენისა. ხშირად ისე აღფრთოვანებული შემხვედრია მუშაობის მოულოდნელი შედეგებით, რომ საკვირვლად აუღელვებივარ მის ჭაბუკურ გატაცებს. აწყობდა მომავალი მუშაობის გეგმებს, უამრავი მასალა ჰქონდა შესწავლილი და ისე ზუსტად ჰქონდა მოხაზული და დალაგებული ეს მასალა, რომ თითქმის თვალებითა სჭვრეტდა დამზადებულ წიგნებს. მხოლოდ სწუხდა ხშირად, რომ მთელ მის დროს ვერ აძლევდა ამ მუშაობას, მისთვის განუზომელად საყვარელს, რადგან სხვა სამუშაოცა ჰქონდა დაკისრებული.

მე ქვიშხეთიდან იმ დღეს უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში. როცა ეს სიმონმა გაიგო, მთხოვა დამეცადა დილამდის და ერთად წამოვსულიყავით. სულ ერთია, ხვალ ადრე ჩავალთ და ზედმეტი არ იქნება ერთი ღამეც ამ სუფთა ჰაერზე გაატაროო.

დილით წასვლას მეც ვიყავი ჩვეული, მაგრამ შარშან ერთმა პატარა ინცინდენტმა გადამაჩვია-მეთქი _ ვუპასუხე მის თხოვნაზე. მაშინვე მოვუყევი, თუ რა შემემთხვა, და ნაამბობმაც ბევრი აცინა.

შარშან ზაფხულსაც თითო-ოროლა დღეობით ჩავდიოდი ქვიშხეთში და ყოველთვის ვბრუნდებოდი სადგურ ლიხიდან დილის ჩქარი მატარებლით. მაგრამ, რომ ამ მატარებლისთვის მომესწრო, შინიდან გაუთენარზე უნდა წამოვსულიყავი. ლიხთან ახლოს, ღელესთან, ერთ ეზოში დაბმული იყო უზარმაზარი, ხარის ოდენა ჯოგის ძაღლი, რომელსაც პატრონი ღამე უშვებდა და ერთხელ გავლისას ღრენითა და ყეფით ძალიან შემაშინა. მეორეჯერ უარს ვამბობდი ამ გზით ღამე გავლაზე, მაგრამ ერთი ხერხი მასწავლეს: რომ წამოვა ყეფით აღრენილი ძაღლი შენსკენ, შენ იმ წამსვე უნდა ჩაჯდეო. ძაღლი ჩამჯდარს რომ დაგინახავს, ერთ ორს დაიყეფს და დამშვიდებული უკან დაბრუნდება, შენ კი, შენს გზას გაუდგებიო. მეც დავუჯერე ამ ხერხს და ჩემი პატარა ჩემოდნით გავუდექი გზას სავსებით დაიმედებული. როცა საშიშ ადგილს მივუახლოვდი, კი მინდოდა არ დამჭირებოდა ამ ხერხის გამოცდა, მაგრამ, საუბედუროდ, ძაღლი თითქოს მე მიცდიდაო, შუა გზაზე შემომხვდა. დამინახა თუ არა, შემომყეფა ისეთი სიმძლავრით, რომ გასაკვირი იყო ძაღლისაგან ამხელა ხმა. ყეფით ჩემსკენ წამოვიდა აძუნძულებული. მეც იმ წამსვე დავდე მიწაზე ჩემოდანი და ჩამოვჯექ. ძაღლი გააფთრებით მომვარდა, ხერხმა მართლა გასჭრა და ძაღლი შესდგა. მაგრამ ყეფა არ შეუწყვეტია და ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ სახეში მისი ნაყეფი ნამიანი ორთქლი მცემდა და რომ არ დავენერწყვე, პირზე ქუდი ავიფარე. კარგა ხანს ვიყავით ასე: მე ჩემოდანზე ვიჯექ, სახეზე ქუდაფარებული ის კი თავზე მადგა გაანჩხლებული და შეუსვენებლივ მიყეფდა. საცაა, მატარებელს უნდა ჩაევლო და ასე ჯდომა ჩემთვის უვარგისი იყო. ვიკადრე დაძახება: _ ძაღლის პატრონო, გამოდი კარში-მეთქი! იმ წამსვე გამოვარდა ეზოდან პერანგსამარა გლეხი და შეუძახა ძაღლს. რომ დამინახა ასეთ მდგომარეობაში, ბოდიშით მომმართა: ნახევარი საათი არ იქნება, რაც ავუშვი ეგ რჯულძაღლიო.

_ რად გინდა, შე ოჯახაშენებულო, ეგ ვეშაპივით ძაღლი, _ მივახალე გულმოსულმა ძაღლის პატრონს. _ რა გაქვს იმდენი, რომ დარაჯად მგელი დაგიყენებია?

_ ამის ჯილაგიც გაწყდეს, ამაწიოკა ამ ოხერმა, _ განაგრძობდა გლეხი ბოდიშს და ძაღლს თავზე ხელს უსვამდა _ რა მაქვს, შენი ჭირიმე, სადარაჯო, ქურდს ჩემს ოჯახში რა უნდა, რას ნახავს წასაღებს?! სხვისია, შენი ჭირიმე, მობარებულია!

მე სალაპარაკოდ სად მეცალა, ამდენი ხნის იძულებით დასვენებულმა სირბილით მივაშურე აღმართს ლიხისაკენ, მაგრამ არ გადამიდგამს ორიოდ ნაბიჯი, რომ ჩქარმა მატარებელმა ჩაიგრიალა... საათნახევარი ვუცადე მერე ლიხში მეორე მატარებელს...

_ ძალიან არ დაუფეთებიხარ იმ ქოფაკს! _ სიცილით მითხრა სიმონმა. _ ხვალ ნურაფრის შიში გექნება რევოლვერი თანა მაქვს.

_ რას ამბობ, _ შევუტიე მე, _ მაგისთანა ძაღლი რომ მოკლა, მერე არ გინდა აქედან გასვლა? ალბათ, ერთ ცხენად უღირს მის პატრონს.

შევთანხმდით დილის მატარებელზე.

მეორე დილით ადრე გამაღვიძეს, გათენება რომ საათი აკლდა. სიმონი სწორედ ჩემი ოთახის ზემოთ ცხოვრობდა და, დათქმისამებრ, ჭერზე ჯოხი დავაკაკუნე ფრთხილად, რომ ბავშვებსაც არ გაჰღვიძებოდათ. იმავ წუთს მომესმა ჭერზემოდან პატარა რბილი ფეხების ჩქარი ნაბიჯები. _ ბავშვმაც გაიღვიძა, _ გავიფიქრე და საჩქაროდ ჩავიცვი და მოვემზადე. მაგრამ სიმონი ჩამოსვლას აგვიანებდა. ეზოში გავედი და აივანზე ავძახე. რამდენიმე წამის შემდეგ ოთახის კარი გაიღო, სიმონი აივანზე გამოვიდა და გადმომძახა დაწეული ხმით: _ ახლავე ჩამოვალ!

ნელი ნაბიჯით შემოვუარე სახლს და გავემართე კიბისაკენ, სიმონის შესახვედრად. ჯერ კიდევ ღამე იყო, ზაფხულის საამური სიგრილითა და მყუდროებით მოცული. ეზოში წყაროს შეუნელებელი ჩხრიალი არღვევდა მხოლოდ ღამის მშვიდობიან ძილს. აქაც კარგა ხანს ვუცადე. ბოლოს ზემო სართულიდან ჩამოსასვლელ კიბესთან მომესმა სიმონისა და მისი ცოლის თამარის ხმადაწეული საუბარი.

_ სიმონ, ნუ იგვიანებ! _ გავეხმაურე უკვე წამოსულს.

_ მოვდივარ!

თამარი შორიდან მომესალმა და მშვიდობის მგზავრობა გვისურვა.

ბნელოდა, მაგრამ თვალები თანდათან შეეჩვია ვარსკვლავების სინათლეს. სიმონს ერთ ხელში ჩემოდანი ეჭირა და მეორეში რაღაც თეთრი გახვეული.

_ შენ რა გაქვს ხელში? _ მკითხა, როცა ეზოდან ქუჩაში გავედით.

_ ჩემი პორტფელი მომაქვს და ჯოხი.

_ აბა, ესეც შენ წამოიღე, _ და გამიწოდა თეთრში გამოკრული რომ მოჰქონდა. _ ხაჭაპურებია, გზაში გამოგვადგება!

_ უსათუოდ გამოგვადგება, _ ვუპასუხე და ჩამოვართვი.

_ რატომ დაგაგვიანდა? კარგა ხანს მალოდინე ეზოში. ალბათ, ბავშვებმა არ გამოგიშვეს.

_ როდის დავიგვიანე? ათი წუთიც არ იქნება, რაც დამიძახე. ბავშვებს სძინავთ, თორემ ადვილად თავს ვერ დავაღწევდი.

_ უფრო ადრე რომ დაგიკაკუნე? _ ვკითხე მე.

_ კაკუნი მე არ გამიგია.

_ როგორ არა, მე მესმოდა ბავშვის ფეხის ხმა.

_ ის ნანა იყო, _ თქვა სიმონმა ალერსიანი კილოთი, _ გაეღვიძა და ჩემთან მოირბინა, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა. განა შენ დააკაკუნე? ჩვენ ეს არ გაგვიგია!

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, შევნიშნე, რომ სიმონის ჩემოდანი მძიმედ ჭრაჭუნებდა და ისიც ხშირად ხელს ინაცვლებდა და ბოლოს მხარზეც შემოიდო.

_ რა მოგაქვს, კაცო, მაგ ჩემოდნით? მძიმე ჩანს!

_ ჩემი წიგნები მომაქვს, _ მიპასუხა. _ მეტს აღარ დავბრუნდები აქ. უნივერსიტეტში მუშაობა იწყება და ჩემი შვებულებაც გათავდა.

_ დადევი შენ ერთი მაგ ჩემოდანი ძირს და მე ფიზიკის ერთი კანონის დემონსტრაციას გავაკეთებ ახლავე და თან დავამტკიცებ კოლექტიური შრომის უპირატესობას.

სიმონი მიხვდა, რასაც ვაპირებდი.

_ შენ გგონია, მიმძიმს? არა, ძალიან ადვილად მიმაქვს. _ მე მაინც არ მოვეშვი და დავიყაბულე. ჩემოდნის სახელურს ჩემი შინდის ჯოხი გავუყარე და ორთავემ მსუბუქად ავწიეთ ტვირთი.

_ სად არის შენი შემშინებელი ძაღლი? _ მკითხა სიმონმა, როცა დაბლა ჩამოვედით და გავივაკეთ.

_ აი, ამ შარაგზის ბოლოს, ღელესთან. მაგრამ როცა ორნი ვართ, არ მეშინია. ძაღლს ორი კაცისა ყოველთვის მეტი შიში აქვს, _ შევნიშნე მე.

გავიარეთ ის ადგილიც და ძაღლის ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

_ აკი გითხარ, ყეფასაც ვერა ბედავს, რადგან ორი საუბარი ესმის.

_ შენ გინდა ახლა სამაგიერო გადაუხადო და მშიშარად გამოიყვანო ძაღლი! _ მითხრა ხუმრობით სიმონმა. _ ალბათ, არ არის აქ, თორემ ვაჟკაცობის გამოჩენას არ მოერიდებოდა.

როცა ლიხის აღმართს შევუდექით, დაგვცხა.

_ მოდი, აქ შევისვენოთ ცოტა, _ მივმართე მე.

_ კი, მაგრამ, რომ დაგვაგვიანდეს? აი, იმ ბექობზე ავიდეთ და იქ შევისვენოთ, _ მითხრა მან. იქ მატარებლის შემოსვლას რომ გავიგონებთ, მერეც მოვასწრებთ არბენას.

მეც დავთანხმდი, ავედით ბექობზე, ჩემოდანი დავდევით და ზედ დავსხედით.

სიმონმა ხელსახოცით შეოფლიანებული შუბლი შეიმშრალა და ცას აჰხედა.

_ უჰ, ეს რა ამბავია, საშა შეხედე ცას, _ გაკვირვებით მომმართა თავამართულმა. _ ამდენი ვარსკვლავი ერთად ჩემს დღეში არ მინახავს?!

მეც თვალი მოვავლე ცას. მართლაც გასაოცარი სანახავი იყო. ცის უზარმაზარი გუმბათი დაუტევნელად სავსე იყო გაკრიალებულ-დარეცხილ ვარსკვლავებით. ალბათ, აგვისტოს უნისლო და უმტვერო ჰაერი, მთელი ღამის მყუდროებით დაწმენდილი, იმდენად გამჭვირვალე იყო ალიონის მოახლოების ჟამს, რომ უბრალო თვალები ტელესკოპივით სწვდებოდა ცის იდუმალ სიღრმეს. ვარსკვლავები ჩვეულებრივად კი არ ჩანდნენ ერთ სიბრტყეზე, არამედ გასაკვირვლად მკაფიოდ ისახებოდა ცის შორეული სიღრმის თვალისმომჭრელი პერსპექტივა. პირველი სიდიდის ვარსკვლავები, რომლებიც ამჟამად გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე საღამოს ცაზეა ხოლმე, ისე ახლოს ჩანდნენ, თითქოს მთის მწვერვალებს ეხებოდნენ, ხოლო მომცრო ვარსკვლავები უფრო ღრმად იყვნენ გაბნეულნი, იმათ იქით-კი, ცის უფსკრულებში, თოვლის კორიანტელივით ირეოდა ნათელ წერტილების მთელი ზღვა, რაც თანდათან ცის დაუსრულებელ სივრცეში თეთრ ნისლად გუბდებოდა.

_ ჩემს დღეში ამდენი ვარსკვლავები არ მინახავს, _ იმეორებდა განცვიფრებული სიმონი და ცას ზომავდა თვალებით, _ ყოველი ეს დიდი თუ პატარა წერტილი ხომ ისეთივე მზეა, როგორც ჩვენი დღის მნათობი?

_ მათ შორის ბევრია ისეთიც, _ დავუდასტურე მე, _ რომ ჩვენი მზე წვეთადაც არ ეყოფა. ჩვენი მზის სიდიდე ხომ თითქმის მიუწვდომელია ჩვენთვივს! მის

ცენტრში რომ მოათავსო დედამიწა, მთვარე იტრიალებს მიწის გარშემო მზის სფეროს შიგნით და მის ზედაპირამდე კიდევ დარჩება რამდენიმე ათასი კილომეტრი. ჰო და არის იმ ზომის ვარსკვლავი, როგორც წამიკითხავს, რომ ჩვენი მზე მასთან სახსენებელიც არ არის: რომ წარმოვიდგინოთ მთელი ჩვენ მზე ერთ ვეება წვეთად და ასეთი წვეთი ყოველ წუთს ეცემოდეს ერთიმეორეს, საჭირო იქნება რამდენიმე ათასი საუკუნე, რომ ერთი დიდი ვარსკვლავის მოცულობა მივიღოთ.

_ ამის წარმოდგენა ძნელია, _ თქვა სიმონმა, _ მაგრამ ეს საკმაო მჭევრმეტყველებით ამტკიცებს მსოფლიოს განუსაზღვრელ სიდიდეს. ამდენ მზეს ხომ ყველას თავისი საკუთარი პლანეტების სისტემა აქვს. რამდენი სხვადასხვა ასაკისა და აღნაგობის პლანეტა ტრიალებს ახლა ამ ურიცხვ ვარსკვლავებში. უეჭველია, სადმე, შეიძლება ბევრგანაც არის ჩვენსავით გონიერი არსება, ვინ იცის, იქნება ახლა, აი ამ წუთს, ცის აი იმ კუთხეში, რომელიმე პლანეტაზე, პატარა ბექობზე სხედან ორნი, ჩვენსავით აკვირდებიან ვარსკვლავებით მოფენილ ცას და სწორედ ჩვენს მზეს შესცქერიან და ოცნებობენ.

_ იქნება ისინიც წიგნებით გატენილ ჩემოდანზე სხედან, _ გავეხუმრე მე.

ამ დროს სადგურ ლიხზე ორთქლმავალმა მოულოდნელად დაიღრიალა და გვირაბისაკენ რახრახით დაიძრა ნავთის მატარებელი.

_ ხედავ, საით მიდის მატარებელი? _ წამოიძახა სიმონმა.

_ ვხედავ და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიოცნებოთ და დავტკბეთ ამ ღამის მშვენიერებით კიდევ ორმოცი წუთი, ვიდრე წიფიდან ჩვენი მატარებელი მოვიდოდეს.

_ გამოდის, რომ ამეღამ შენ უნდა დაასრულო შენი «ქალი სარკეში» და მე უნდა გიშველო ამ საქმეში. _ დასძინა სიმონმა.

_ მე ხომ გშველი ჩემოდნის ზიდვაში? _ ვუპასუხე მე.

სიმონმა ჩემოდნის ძგიდეს ხელი შეავლო.

_ მართლაც ჩვენი საუბრის შესაფერისია ეს ტვირთი. ამ ჩემოდანში, რომელზედაც ჩვენი რამდენი მაღალი აზრი და ღრმა განცდებია წიგნებში კონსერვირებული, ისე მაღალი და ღრმა, როგორც ჩვენს ზემოთ გაშლილი ვარსკვლავებით აყვავებული ცა. მაგრამ ეს ცა მაინც ყველაზე ღრმააზროვნი წიგნია, ვარსკვლავების ასოებით დაშიფრული, რომლის ნაწილობრივი ამოკითხვაც განუსაზღვრელად გაამდიდრებს ადამიანის გონებას... მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერ ამ წიგნის ანბანიც არა აქვს შესწავლილი. ამისათვის მას არა სცალია. დღევანდლამდე კაცობრიობის ისტორია იყო მიწაზე ჯაჭვით დაკრული მონების ისტორია. კაცობრობა ჯერ კიდევ ოთხფეხზეა დამდგარი და მას ცისკენ ჯერ თვალები არ აუმართავს. თითო-ოროლა მეცნიერი სათვალავში ჩასაგდები არ არის. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში დადგა ხალხი ორ ფეხზე და თვალები ცას გაუსწორა. შენ, შენს რომანში უსათუოდ უნდა აღნიშნო, ჩემის აზრით, ეს მხარე. ადამიანმა თანამედროობის უღელი უნდა მოიშოროს კისრიდან, რომ შესძლოს თავისუფლად შეხედოს და შესცინოს ვარსკვლავებს. მანამდე კი ზეცა, თავის ვარსკვალვებით, შესანიშნავი წიგნია, წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანის წინ გადაშლილი...

სიმონი წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა. უკვე ალიონის თეთრი ფრთა სცემდა ცის კიდეს და ზევით ერეკებოდა ვარსკვალვებს.

_ მე პირდაპირ ჟრუანტელი მივლის ტანში, _ განაგრძობდა სიმონი, _ როცა წარმოვიდგენ, რა პერსპექტივები გაიშლება თავისუფალი კაცობრიობის წინაშე, რამდენი გონების წარმატაცი პრობლემა და რამდენი «საიდუმლოებით» მოცული უფსკრული განათდება ძლევამოსილი ინტელექტის შუქით. ეს იმდენად დიდი და

ბრწყინვალე მომავალია, რომ ამისათვის ღირს თავდადება. მთელი ის ენერგია, რაც დღევანდელი კაცობრიობის შინაგან ძალთა ჭიდილს ხმარდება, ათასჯერ გადიდებულის ძალით, კლასთა ბრძოლის ბოღმის და შხამისაგან განწმენდილი, კაცობრიობის ამაღლების ახალ გზაზე რომ გაექანება, შენ შეგიძლია თუ არა წარმოიდგინო, რა განსაცვიფრებელ სიმაღლეზე ააგდებს ადამიანთა მოდგმას? მაგრამ ამ გზაზე დღეს, ჩვენი ზღაპრებიდან რომ ვიხმარო შედარება, გაწოლილია საზიზღარი ვეშაპი, კაპიტალისტური ვეშაპი, რომელიც ნთქავს, ვინც ამ მიმართულებით სვლას გაბედავს...

სიმონი ლაპარაკობდა დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ გატაცებით და შთაგონებულად. მე ჩემოდანზე ვიჯექ, ყურს ვუგდებდი და ვიცქირებოდი ხაშურისაკენ, სადაც ელექტრონის უხვი შუქი ეჯიბრებოდა განთიადის თეთრ ზოლს.

_ ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი, _ თქვა მან და ისევ ჩამოჯდა ჩემს გვერდით ჩემოდანზე. _ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შეუსაბამობა მის წინაშე დასმულ ამოცანებისათვის საჭირო დროსთან. ცნობილია, რომ ყოველი ჯურის ცხოველი და მცენარე ცოცხლობს იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი ჯიშის მომრავლებისათვის. ამ მხრივ, ბუნებაში არსებობს სრული წონასწორობა. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც ბუნებითვეა განსაზღვრული. საშუალოდ 60-100 წელიწადი სრულიად საკმარისია პირველყოფილ ადამიანისათვის. 15-16 წლისა ის უკვე სავსებით შეიარაღებულია არსებობისათვის საბრძოლველად და მთელი მისი დანარჩენი სიცოცხლე ინტერესთა ერთსა და იმავე პრიმიტიულ წრეში ტრიალებს. სულ სხვაა ჩვენი საუკუნის ადამიანი, მით უმეტეს, მომავალი ადამიანი. მის წინაშე იმდენი ამოცანაა დასმული, მისი ინტელექტი იმდენად რთულ და ღრმა საკითხებს არკვევს, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სრულიად არ შეეფერება მისთვის დაკისრებულ სამუშაოს. რა თქმა უნდა, მომავალში ადამიანს დაუბრუნდება სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა, რასაც ჩვენ დღეს მოკლებულნი ვართ, მაგრამ ეს საკმაო არ იქნება. მომავალი თავისუფალი კაცობრიობა იბრძოლებს და გამონახავს კიდეც საშუალებას ადამიანის...

_ უკვდავებისათვის, _ შევაწყვეტინე მე!

_ არა, პირადი უკვდავება მისტიკაა.

_ ხუთას წელზე ნაკელბ მაინც არ იკმარებს.

_ არა, მე არ ვაპირებ წელთა რაოდენობის განსაზღვრას, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა დამაყრდეს საჭირო მინიმუმი და აღდგეს დარღვეული წონასწრობა. ადამიანის გული უნდა გაძღეს სიცოცხლით...

_ გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი! _ გავაწყვეტინე ისევ სიტყვა.

_ არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვევა ადამიანს, იგი მზად არის დასვენებისათვის...

ვიჯექით წიგნებით სავსე ჩემოდანზე, ლიხის აღმართის ერთ ბექობზე, ორი ქართველი მწერალი, გარს გვერტყა აგვისტოს ღამის გრილი მყუდროება და თავს დაგვნათოდა ალიონით შეფერილი ვარსკვლავებიანი ცა. ხაშურის თავზე ციმციმებდა შეუდარებლად ბრწყინვალე დილის ვარსკვლავი. ნელ-ნელა ამოვიდა წვრილი ვერცხლის ძაფივით გალეული ნამგალა მთვარე. ერთიღა მზე აკლდა ცის მნათობთა სრულ პარადს და იგიც მალე უნდა ამოსულიყო. ცისქვეშ, აღმოსავლეთის ნაპირზე, ენთებოდა გედის ფრთასავით თეთრი ღრუბელი, ცა ემზადებოდა მზის შესახვედრად... ტაშისკარის ხეობიდან ნიავმა დაჰბერა და ქვიშხეთში მამლებმა

იყივლეს. ამ დროს მოულოდნელად ლიხის სადგურიდან მოგვესმა ზარის ხმა: მატარებელი გამოვიდა წიფიდან.

ჩვენც ავდექით და ნელ-ნელა წამოვედით სადგურისაკენ. თითქოს გული გვწყდებოდა, რომ ამ მშვენიერ სანახაობას ვტოვებდით. მალე ვარსკვლავებით დახურულ ოცნების კარავიდან გამოსულნი ბნელ სადგურის მხრჩოლავ ლამპით დაბოლილ დარბაზში შევედით. სიმონმა უსაყვედურა სადგურის უფროსს, რომ ამ ელექტრონით გაჩირაღდნებულ უბანში, სადაც მატარებლებსაც ელდენი ამოძრავებს, სადგური ასე საცოდავად ბჟუტავს ნავთის სანათით გაჭვარტლული.

სალაროში რბილი და პლაცკარტიანი ადგილი არ იყო. ვიყიდეთ ბილეთები საერთო ვაგონში და მატარებელიც მოგრიალდა.

როგორც იყო მოვთავსდით მგზავრებით გატენილ ვაგონში. სიმონი მაშინვე დაუმეგობრდა ერთ პატარა 5-6 წლის ბიჭიკოს და გააბა მასთან საუბარი.

კარგა გათენებული იყო, როცა ხაშურს გავცდით. სიმონის გვერდით იჯდა ერთი ხნიერი მეგრელი ქალი, რომელსაც ახლდა სულ ახალგაზრდა ქალი, როგორც ჩანდა, მისი ქალიშვილი.

როცა გორი გავიარეთ, კონდუქტორმა ჩვენს კუპეში ბარგი დაათვალიერა. მეგრელ ქალს აღმოაჩნდა ორი ფუთი სიმინდის ფქვილი ტომრით.

_ ნებართვა გაქვთ? _ ჰკითხა კონდუქტორმა.

_ რას ამბობს? შვილო, უპასუხე, _ მიმართა ქალმა თავის ქალიშვილს.

გამოირკვა, რომ ნებართვა არ ჰქონდათ.

_ კონტროლი ჩამოივლის და დაგაჯარიმებს, _ დაემუქრა კონდუქტორი.

_ რათა, შვილო? _ სწუხდა შეშინებული ქალი, _ აბაშაში მითხრეს ორი ფუთის ნება არისო.

_ ნება არის, თუ ნებართვის ქაღალდი გექნება, ისე კი 10 კილოს წამოიღებ, მეტს ვერა.

ქალმა შვილს მეგრულად ტუქსვა დაუწყო: ხომ გთხოვე, გაგეგო ყველაფერი, ნებართვას ვინ დაგვიკავებდა, ხომ იციან, რომ შენ მოსწავლე ხარ და შენთვის მომაქვს ფქვილი.

სიმონი ჩაერია მათ დავაში.

_ ამხანაგო, ხომ ხედავთ, რომ ეს ქალი სპეკულიანტი არ არის. აი, მისი ქალიშვილი, სტუდენტი ქალია და ფქვილიც მისთვის მოაქვს, _ მიმართა მან კონდუქტორს.

_ ვხედავ, განა ვერ ვხედავ, ამხანაგო, _ უპასუხა კონდუქტორმა, _ მაგრამ კანონია და რას იზამ? წამოეღო ნებართვა, ვინ დაუშლიდა? კონტროლმაც რომ ნება მისცეს, სულ ერთია სადგურიდან აღარ გაატანინებენ.

დედა-შვილი სასოწარკვეთილებამ მოიცვეს. აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

_ ცარიელი ტომარი, ან პარკი რამე არა გაქვთ? _ ჰკითხა სიმონმა ქალებს.

_ არა გვაქვს, _ უპასუხა ქალმა.

_ ბალიშისპირი?

_ ბალიშისპირი კი გვაქვს.

_ მოიტათ ორი ბალიშისპირი და გამოათრიეთ აქეთ თქვენი ფქვილიანი ტომარა.

ქალმა მხოლოდ ერთი ბალიშისპირი მონახა ბოხჩაში.

_ პერანგი არ მოგაქვთ? _ ჰკითხა სიმონმა.

_ კი, ბატონო, _ მიუგო ქალმა და ერთი ქალის პერანგიც მორცხვად ამოაძრო ბოხჩიდან.

_ გახსენით ტომარი და ჩაყარეთ ფქვილი ერთი მესამედი ბალიშისპირში, მეორე მესამე გამოკრულ პერანგში. ტომარაში დარჩება იმდენივე. დაახლოებით გამოვა ათ-ათი კილო თითოში. ორს თქვენ წაიღებთ, ერთს ჩვენ წამოგიღებთ, სადგურიდან გაგატანიებთ და მერე შინ წაიღეთ. ფქვილიც თქვენ დაგრჩებათ და კანონიც შესრულდება.

ქალებს უზომოდ გაეხარდათ სიმონის ხერხი და საჩქაროდ შეუდგნენ საქმეს. სიმონი შველოდა დედაბერს ფქვილის განაწილებაში და ფქვილით ისვრიდა ხელებს და პლაშჩს.

_ თქვენ ნუ დაისვრებით, ბატონო, _ წუწუნებდა მოხუცი, _ რაკი ასეთი ღვთისნიერი აღმოგვიჩნდით, ამას ჩვენ ვიზამთ! _ და თან მეგრულად ეკითხებოდა თავის ქალიშვილს:

_ ვინ არის, გოგო, ნეტავ, ეს ქრისტიანი ადამიანი, ღმერთს ჩვენდა მხსნელად შემოუყვანია ამ ვაგონში?!

თბილისში დედა-შვილი სამშვიდობოს გავიყვანეთ და ჩვენც ტრამვაიში ჩავსხედით...

მეორე დღეს სიმონს შევხვდი მწერალთა სასახლეში. ძალიან ფერმკრთალი იყო. მითხრა, რომ ახერხებს ორი-სამი დღით ქვიშხეთში წამოსვლას და მთხოვა ერთად წავსულიყავით. ხვალ თუ არა, ზეგ უსათუოდ მეცოდინება რა დღისათვის ავიღოთ ბილეთებიო. 20 აგვისტოს შუადღით უნივერსიტეტის წინ ტრამვაის ვაგონიდან დავინახე _ გამიცინა და ხელებით მანიშნა, გვეტაძისათვის ფული გავაგზავნე ბორჯომშიო. 22 აგვისტოს ვერსად შევხვდი. მეორე დღეს უნდა მენახა, რომ გამომერკვია, როდის მივდიოდით ქვიშხეთში.

მაგრამ, ულმობელ ბედისწერას მისთვის უკვე სხვა გზა აერჩია.

ახლა ხშირად მაგონდება მისი სიტყვები:

_ «არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვევა ადამიანს, იგი მზად არის დასვენებისთვის...»

სიმონის შემოქმედებითი ძალა ზენიტს უახლოვდებოდა, როცა უაზრო სიკვდილმა შეწყვიტა მისი გულისცემა და საფლავში ჩამარხა დაუხარჯავი ძალების უდიდესი მარაგი.

1934 _ 24/X
თბილისი

მართალი კალამი

ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნას

ქართველ მწერალთა უფროს თაობას გამოაკლდა მხატვრული პროზის შესანიშნავი ოსტატი, შემოქმედების მაღალი კულტურით აღჭურვილი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.

რა ტკბილად მოუბარი ბაგე დადუმდა, რა მართალი კალამი გადატყდა, რა ნათელი სანთელი ჩაქრა!

როგორი სიცხადით და თვალისმომჭრელი ფერადოვნებით შლის ჩვენს წინაშე იგი ჩვენი წარსულის დაუვიწყარ სურათებს. როგორ ახლო მივყავართ მას ადამიანთა სულის აფორიაქებულ ზღვასთან, როგორი დარბაისლური აუჩქარებლობით ფურცლავს იგი ვნებათა ქარიშხლით აბორგებულ გულისთქმას!

მის ყოველ სტრიქონში უდიდესი ფანტაზია მეტყველებს, მაგრამ მკითხველს ყოველთვის სჯერა მისი ნათქვამის ეჭვმიუტანელი სიმართლე, რადგან მისი შემოქმედებითი ფანტაზია არის ნაყოფი არა ცხოვრებისაგან გამდგარი გონების ვარჯიშობის, არამედ ის არის მისი უტყუარი დაკვირვების აყვავება, ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომის უნარის განსახიერება.

ნიკო ლორთქიფანიძე სწერდა მის მიერ შეთხზულ ისტორიულ სიტუაციებს, მაგრამ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალმა მას უამბო საკუთარი თავგადასავალი. საკუთრად მის მიერ განცდილი ცხოვრების ვითარება. ავტორი თითქო იგონებს მის მეხსიერებაში ნათლად შენახულ განცდებს, თითქო, ან თვითონ აქვს გავლილი ამ დრამების შფოთიანი სამყარო, ან გულისხმიერი და თანაზიარი მოწმე იყო იგი მისი გმირების იმ სულიერთ ძვრათა, რომელიც დაგვიხატა მან უდიდესი ოსტატობით და მხატვრული სიმართლით.

აი, ეს დიდი მხატვარი დაგვშორდა დღეს სამუდამოდ.

რა ტკბილად მოუბარი ბაგე დადუმდა, რა მართალი კალამი გადატყდა, რა ნათელი სანთელი ჩაქრა!

მაგრამ, არა! სანთელი არ ჩამქრალა! ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ჩაუქრობელ სინათლედ რჩება ქართულ მწერლობას, საქართველოს.

დაუვიწყარი იქნება მისი ხსენება.

ალექსანდრე აბაშელი

ალ. აბაშელი ეკუთვნის თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლების იმ თაობას, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. მან, როგორც პოეტმა, განვლო შემოქმედებითი განვითარების საკმაოდ გრძელი გზა. თუ თავისი პოეტური მუშაობის პირველ პერიოდში, ეს იყო რეაქციის და იმპერიალისტური ომის წლები, იგი განიცდიდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას და თავის ლექსებში გამოხატავდა სიმბოლისტურ და მისტიურ განწყობილებებს, თუ შემდეგ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების პირველ წლებში, იგი აშკარად უნდობლობით და ეჭვის თვალით შეჰყურებდა მუშათა კლასის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ დიად სოციალისტურ მშენებლობას, რასაც გამოხატავდა კიდეც თავისი იმდროინდელ ლექსებში, დღეს, იგი სოციალიზმის გამარჯვებით აღფრთოვანებული სტრიქონებით უმღერის თავის განახლებულ ქვეყანას და სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშორმელ ხალხს.

ალ. აბაშელი დაიბადა 1884 წელს, სენაკის მაზრის სოფელ საჩოჩიოში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ ხუთი წლისამ დედისაგან ისწავლა ქართული წერა-კითხვა. ექვსი წლისამ დაკარგა მამა. მისი ოჯახი, ისედაც ღარიბი, სრულიად უმწეო დარჩა. ავადმყოფ დედას სარჩენად დააწვა ორი პატარა ბავშვი. ასეთ სიღარიბეშიც, ცხადია, მას არ შეეძლო ეზრუნა ბავშვბის განათლებაზე. მომავალი პოეტი მიბარებული იქნა სოფლის ორკლასიან სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ 12 წლის ბავშვი დაუბრუნდა ისევ თავის ძველ ქოხს და ერთ მტკაველ მიწას, რომელიც მისი ოჯახის მთელ ავლადიდებას შეადგენდა. დედის სიკვდილის შემდეგ 17 წლის ყმაწვილი ალ. აბაშელი მიდის ფოთს ბედის საძებნელად.

ზღვის პირველმა ნახვამ განუსაზღვრელი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ პოეტზე. ბუნების სტიქიონის ამ დიდმა განცდამ შემდეგში საკმაოდ იჩინა თავი მის შემოქმედებაში. ფოთში მას ერთი ამბავი შეემთხვა, მეტად დამახასიათებელი მისი ახალგაზრდული გატაცებისათვის. ზღვის უსაზღვროებით მოხიბლულმა მეოცნებე ჭაბუკმა გადასწყვიტა შორი ქვეყნების, უცნობი მხარეების სტუმარი გამხდარიყო. ამისათვის მან მოისურვა გემის კაპიტნობის ‘‘სწავლა’‘. პოეტის ბიოგრაფი მოგვითხრობს, თუ როგორ იდგა ყმაწვილი ნავსადგურზე და ყოველ გემის უფროსს ემუდარებოდა წაეყვანა თან და ‘‘კაპიტნად’‘ მოემზადებინა. ბოლოს აღმოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი, გვარად პლეშჩენკო, რომელმაც იკისრა მისი წაყვანა ქ. ხერსონში საზღვაო სკოლაში შესაყვანად. ყმაწვილმა მოაგროვა ათი მანეთი და გაჰყვა იმ კაცს. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის კაცი გზაში, ნოვოროსისკის ნავსადგურს რომ გასცდნენ, უეცრად გარდაიცვალა. ათი მანეთიც მას ჰქონდა მიბარებული. დარჩა ახალგაზრდა ყმაწვილი გემში უფულოდ და უპატრონოდ. გემის უფროსის თანაშემწეებმა რომ გაიგეს მისი მდგომარეობა, მისცეს ათი მანეთი, მიიყვანეს ოდესაში და ხუთი დღის შემდეგ უკან დააბრუნეს ბათუმში. ამნაირად აბაშელს გაუცრუვდა იმედი. დასახლდა სოფელში. კითხულობდა ქართულ წიგნებს, რაც შეხვდებოდა.

მაგრამ სოფელში დიდხანს აღარ დარჩენილა ახალგაზრდა აბაშელი. იგი წამოვიდა იქიდან სამუშაოს საძებნელად. აქედან იწყება აბაშელის მძიმე და ხშირად მწარე ცხოვრების გრძელი გზა. მან რამდენიმე ხელობა და საქმე გამოიცვალა: მას უმუშავნია აბაშაში, ბორჯომში, ბათუმში, თბილისში ხან ფოსტის მოსამსახურედ, ხან გაზეთების დამტარებლად, სტამბაში კორექტორად და სხვა.

1905 წლის რევოლოციას ახალგაზრდა აბაშელი გულგრილად არ შეხვედრია. მისი გული და არსება ბარიკადებზე მებრძოლ მუშათა კლასის მხარეზე იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წელს მას აპატიმრებენ და ასახლებენ ჯერ ოლონეცის, ხოლო შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში, 1908 წელს კი გადაჰყავთ ასტრახანის გუბერნიაში. ამ წელსვე იგი ბრუნდება სამშობლოში.

ალ. აბაშელის პოეტური შემოქმედება იწყება 1910 წლიდან.

ამ წელს იგი ბეჭდავს თავის პირველ ლექსს სათაურით ‘‘შავი აჩრდილი’‘ ჟურნალ ‘‘თეატრი და ცხოვრების’‘ ფურცლებზე. თავისი ლექსებით მან ჩქარა მოიპოვა ფართო მკითხველი საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება. უკვე სამი წლის შემდეგ, 1913 წ. იგი სცემს ლექსების პირველ კრებულს ‘‘მზის სიცილის’‘ სახელწოდებით.

ალ. აბაშელმა თავისი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის პროდუქცია გამოაქვეყნა კრებულებში: “ანთებული ხეივანი”, სადაც მოთავსებულია 1913-1920 წწ. დაწერილი ლექსები და ‘‘გაბზარული სარკე’‘, სადაც შედის ლირიკული ნაწარმოებნი, დათარიღებულნი უმთავრესად 1920-1929 წლებით. ამის შემდეგ დაწერილი ლექსები აბაშელს დაბეჭდილი აქვს სხვადასხვა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთში.

*

ალ. აბაშელის შემოქმედება, მისი იდეური და მხატვრული შინაარსის მიხედვით, შეიძლება სამ მთავარ პერიოდად დავყოთ. პირველი პერიოდი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, შეიცავს ალ. აბაშელის წინარევოლუციური ეპოქის შემოქმედებითს მუშაობას (წიგნები: ‘‘მზის სიცილი’‘, ‘‘ანთებული ხეივანი’‘). მეორე პერიოდი მოდის 1921 წლიდან 1929 წლამდე (ლექსების კრებული ‘‘გაბზარული სარკე’‘), ხოლო მესამე პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს დრო 1923

წლიდან უკანასკნელ ხანებამდე, როდესაც პოეტი განაგრძობს აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას.

ალ. აბაშელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც აღვნშნეთ, 1910 წელს. ეს იყო მეფის რეაქციის შავბნელი ხანა, რომელსაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში; მეფის სტრაპებმa ხალხს ამ დროს უფრო მძიმედ დაადგეს სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის ორმაგი უღელი. მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის საუკეთესო შვილები, მეფის თვითმპყრობბელობის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები, ვინც კი გადაურჩა ჩამოხრჩობას და დახვრეტას, გაგზავნილ იქნენ კატორღასა და შორეულ ციმბირის გადასახლებაში. გამეფდა უსაშინლესი ტერორი. მეფის სისხლიანმა ჯალათმა მინისტრმა სტოლიპინმა სახრჩობელებით აავსო ქვეყანა.

განსაკუთრებით გამხრწნელი გავლენა მოახდინა რეაქციის მძივნვარებამ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე, რომელიც რევოლუციის აღმავლობის წლებში თითქო თანაუგრძნობდა მუშათა კლასის ბრძოლას თვითმპყრობელობასთან, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი ჩამოსცილდა მუშათა კლასის რიგებს და ზურგი შეაქცია მის დიად ამოცანებს. ინტელიგენციის ამ ფენების სულიერი განწყობილებები განსაკუთრებით რელიეფურად გამომჟღავნდა იმ დროის ლიტერატურაში. ამ ხანებს ეკუთვნის რუსეთში სიმბოლისტური პოეზიის გაფურჩქვნა, მისტიციზმის, რელიგიური სულისკვეთების, სქესობრივი და პორნოგრაფიული თავაშვებულობის განმტკიცება ბურჟუაზიულ-დეკადენტურ მწერლობაში. დაცემულობის გრძნობა, პესიმიზმი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ანტისაზოგადოებრივი ტენდენციები, სრული გაქცევა ‘‘ამქვეყნიური‘‘ ინტერესებიდან - აი ის უმთავრესი ტენდენციები, რომელიც ახასიათებდა რეაქციის ხანებში გაბატონებულ სიმბოლისტურ მწერლობას და საერთოდ ბურჟუაზიული ხელოვნების ყველა სფეროს რუსეთის სინამდვილეში.

ანალოგიურ განწყობილებებთან გვაქვს საქმე ქართული ლიტერატურული ინტელიგენციის წრეებშიც. ევროპული და რუსული სიმბოლიზმის დეკადენტური გავლენის სფეროში მოექცა იმ დროის ბევრი ქართული ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ახლად გამოდიოდა სალიტერატურო მოღვაწეობის ასპარეზზე.

ამ ახალგაზრდობას ეკუთვნოდა ალ. აბაშელიც. თავისი შემოქმედების ამ პირველ ეტაპზე მან განიცადა უდიდესი გავლენა რუსული დეკადენტური მწერლობისა, განსაკუთრებით ბალმონტისა და ბრიუსოვისა. მის შემოქმედებაში ამ დროს ვხვდებით იმავა დაცემულობის განწყობილებებს, რეალური სინამდვილისაგან გაქცევას, ლტოლვას ცის უსაზღვროებისაკენ. საინტერესოა, რომ იმდროინდელი ბურჟუაზიული კრიტიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ახალგაზრდა პოეტში ეს დაცემულობის განწყობილებანი ეს ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ტენდენციები მის პოეზიაში. ერთი მათგანი ალ. აბაშელის ლექსების პირველი კრებულის, ‘‘მზის სიცილის‘‘ წინასიტყვაობაში წერდა კიდეც: “ჩვენს ცხოვრებას ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა თავს; მიუხედავად ამისა, ჩვენი დღევანდელი პოეზია შაბლონს ვერ გასცილდა: ზამთარი დაგვიდგა, ირგვლივ ტანჯულთა კვნესა ისმის, გამხნევდით, გულს ნუ გაიტეხთ, ზამთარს ისევ გაზაფხული მოჰყვებაო, აი რა გაისმის სხვადასხვა კილოზე. აბაშელის პოეზია სასიამოვნო და საიმედო გამონაკლისს შეადგენს’‘.

ბურჟუაზიული კრიტიკოსი შაბლონს უწოდებდა ქართული ხალხის საუკეთესო პოეტების შემოქმედებას, რომლითაც ისინი მოუწოდებდნენ მეფის რეაქციის ჩექმის ქვეშ გათელილ ქართველ მშრომელ ხალსს მხნეობისა და მომავლისათვის

ბრძოლისაკენ, ხოლო ახალგაზრდა პოეტი აბაშელის ზოგიერთ ლექსებში გამოხატული დეკადენტურ, მისტიურ და ანტისოციალურ განწყობილებებს ‘‘სასიამოვნო და საიმედო გამონაკლისად‘‘ სთვლიდა. უნდა ითქვას, რომ, მისდა სასახელოდ, ალ. აბაშელმა ამ თავისი შემოქმედებით მუშაობის პირველ ეტაპზე სავსებით არ დაუჯერა ასეთი ტიპის არამკითხე ‘‘კრიტიკოსებს‘‘. მას სიმბოლიზმის გავლენით დაწერილ ლექსებთან ერთად მოიეპოვება ისეთი ლექსებიც, სადაც იგი, როგორც პოეტი-მოქალაქე, გამოხატავდა ხალხის საუკეთესო მისწრაფებებსა და რწმენას უკეთესი მომავლისადმი. ამ პერიოდის ერთ ლექსში - ‘‘სევდის ჰანგი‘‘ - პოეტი გვიამბობს, რომ ნაზ ოცნებით ანაფრენი - იგი ერთხელ დაბინავებულა ‘‘ცის ეთერში’‘. ამ დროს, - წერს იგი, -

ხან ცის მნათობთ ვუგალობდი,
ხან ვარსკვლავთა გვირგვინს ვწნავდი,
ხან უცოდველ ძილში მყოფი
ტკბილ სიზმრების ზღაპარს ვთხზავდი.

მაგრამ ოცნების სფეროში მარტოდმარტო მყოფს, რალური ცხოვრების სინამდვილეს დაშორებულ პოეტს ვერ გაუძლია შორეულ ცის სამყაროში და დაბრუნებია მიწას, სადაც ‘‘ცრემლის გუბე‘‘ იყო დამდგარი და მშრომელებს მონობის ხუნდები ედოთ:

მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში
ვერ გავუძელ მარტოობას.
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა,
ისევ ავყევ მიწის გრძნობას;
მომაგონდა ცრემლის გუბე,
მომაგონდა მონის ხუნდი,
და ცხოვრებით გულნატკენი
ისევ მიწას დავუბრუნდი.

ცხოვრების სინამდვილეში დაბრუნებული პოეტი ამჩნევს სოციალურ უსამართლობას, მშრომელთა ჩაგვრას გაბატონებული კლასების მხრივ, უიმედო განწყობილებებს, რომელსაც მოუცავს ხალხი. იგი გამამხნევებელი მოწოდებით მიმართავს ჩაგრულთ და უხატავს მათ მომავალი გამარჯვების სურათებს. ასეთი შინაარსი აქვს, მაგალითად, მის საუცხოო ლექსს ‘‘აღდგომა’‘. აი, როგორი სიტყვებით მოუწოდებს იგი მშრომელებს:

მომავლის შვილნო, ამქუხრდეს დღეს ჩვენი დაფი, ნაღარა,
ვაქოთ, ვინც ჩაგრულთ სახსნელად უმანკო სისხლი დაღვარა.

დეე, ბნელოდეს გარშემო, სვავნი, ყორანნი ყიოდნენ,
სერაბიმთ ნაცვლად ალ-ქაჯნი სამოთხის ბჭებზე ჰკიოდნენ!

გულში მოზღვავდეს წარსულის უმწიკვლო მსხვერპლთა გოდება, -
ტანჯვით განვილილი ეკლის გზა სულს შხამად მოაგონდება, -

დრო მოვა, ღამეს ჩაისრავს შუქურ ვარსკვლავის ციალი,
ცის ეთერს ააკაშკაშებს მზის ცხოველ სხივთა სრიალი.

ვიხილავთ ჩვენსა გოლგოთას, ჩვენივე სისხლით მორწყულსა,
დიდების შუქით შემოსილს, უჭკნობ ყვავილით მორთულსა.

ასეთი ლექსები, სამწუხაროდ, გამონაკლისს შეადგენდა ალ. აბაშელის ადრინდელ შემოქმედებაში. უმეტესი ნაწილი მისი პოეტური ნაწარმოებებისა გამოხატავდნენ ოცნების უნაყოფო სივრცეში მონავარდე, ცის რომანტიული უსაზღვროებისაკენ მლოტოლველი პოეტის გრძნობებსა და განცდებს. ამგვარად იგი პოეზიაში წარმომადგენელი იყო ჩვენი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელიც რეოვოლუციის დამარცხების შემდეგ შავი რეაქციის სისასტიკით დაშინებული, ცდილობდა მორიდებოდა მწვავე საზოგადოებრივ საკითხებს, ხალხის ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ოცნების სფეროში ეპოვა თავისი ობივატელური სულის მყუდროება.

‘‘მზის სიცილის’‘ ლექსების იდეურ-თემატიური ხაზის გაგრძელებას ვხედავთ ალ. აბაშელის მეორე წიგნშიც - ‘‘ანთებული ხეივანის’‘ სახელწოდებით. ეს წიგნი, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იქნა გამოცემული 1923 წ. , მაგრამ შეიცავს მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წინ დაწერილ ლექსებს. აქაც ჩვენ ვხედებით განყენებულ ოცნებას, ბუნების სურათებს, პოეტის ბუნდოვან და უსაგნო ჩვენებებს. გამონაკლისს ამ წიგნში შეადგენს 1915-1920 წლების მანძილზე დაწერილი ლექსები, გაერთიანებული ერთ ციკლად - ‘‘ჩირაღდნები ჰაერში’‘. ერთ ლექსში, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს, 1915 წელს არის დაწერილი, ალ. აბაშელი მიმართავს მუშებს შემდეგი სტრიქონებით:

ჟამი გაივლის, გზა უვალი გაითელება,
გაუჭირდება დაღლილ ღრუბელს მზის დაბნელება.
მუდამ უკუღმა ეგ სოფელი ვერ იტრიალებს,
და როცა ზეცა განთიადით შეიღებება,
და თქვენი რაზმი მზის ამოსვლას მიეგებება,
თქვენს სიმღერაში ჩემი ქნარიც დაიწკრიალებს.

უდნა ითქვას, რომ ალ. აბაშელს, როგორც პოეტს და ადამიანს, საკმაო ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ მას საბოლოოდ გადაესინჯა თავისი შემოქმედებითი გზა და განთავისუფლებული მუშათა კლასის სიმღერებში თავისი ქნარიც ‘‘დაეწკრიალებინა’‘, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ შევჩერდებით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, როდესაც თვითმპყრობელობის ტახტი დაემხო, ალ. აბაშელი აღტაცებით შეხვდა ლექსში, რომელსაც ეწოდა ‘‘სიხარულის ცრემლები’‘, იგი წერს, რომ მუშათა კლასის გამარჯვებით აღფრთოვანებულს სურდა შესაფერი ლექსებით შეემკო რევოლუციური დღეები, მაგრამ:

ისე გამიტაცა
წითლად მორთულ ფიქრთ სამყარომ,
რომ დაახრჩო ჩემი სიტყვა
სიხარულის ცრემლის წყარომ.

სხვა ლექსში (‘‘მებრძოლს’‘) იგი მოუწოდებს რევოლუციის მომხდენ მუშათა კლასს ბოლომდე გაანადგუროს კლასობრივი მტერი, არ დაინდოს იგი, მხნედ და გაბედულად გასწიოს წინ საბოლოო გამარჯვებისაკენ:

შუაგზაზე არ შეფერხდე,
გზას შორიდან გადახედე,
გადალახე შავი ქედი
არ შეუშვა უროს ხელი,
სანამ ქშინავს ქურა ცხელი,
და გამხნევდი, და გაჰბედე!
და ბოლომდის შენი ბედი
სჭედე!
და თუ დარჩა სადმე კიდევ
ძველი ქვეყნის გადამკიდე,
და მზეს მტრულად დაეტაკე, -
არ დაინდო ღამის შვილი,
და მზის ორგულს მზის მახვილი
დაჰკა!

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში ინტელიგენციის ერთი ნაწილი მტრული და ეჭვის თვალით შეხვდა. ამ უნდობლობის განწყობილებამ თავი იჩინა ალ. აბაშელის ლექსებშიც. თუ წინათ ალ. აბაშელი მუშათა კლასს მოუწოდებდა ‘‘შუაგზაზე არ შეფერხდე, გზას შორიდან გადახედე, გადალახე შავი ქედი’‘, 1921 წელს, როდესაც საქართველოს მშრომელებმა საბოლოოოდ დაამხეს ბურჟუაზიისა და მისი ერთგული ლაქიების - მეწშევიკების ბატონობა, როდესაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი მუშები და გლეხები შეუდგნენ დიად სოციალისტურ აღმშენებლობას, ბედნიერი და საამური ცხოვრების აგებას, პოეტმა დროებით დაჰკარგა ორიენტაცია და შეშინებულმა უდიდესი სოციალური ძვრებით ისევ უკან, წარსულისაკენ დაიწყო ყურება. ამ განწყობილებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ალ. აბაშელის იმ ზოგიერთ ლექსში, რომელიც კრებულ ‘‘გაბზარულ სარკეშია’‘ მოთავსებული.

პოეტის იმ იდეურ-შემოქმედებითს კრიზისს, რომელიც შემცდარ, ყალბ მსოფლმხედველობითს საფუძველზე იყო აშენებული, ხელი შეუწყო მაშინ არსებულმა ეგრეთ წოდებულმა რაპპულმა ვულგარულმა კრიტიკამ ნაცვლად ამხანაგური დახმარებისა, ნაცვლად იდეურ-აღმზრდებლობითი მუშაობისა პოეტის ჯანსაღ შემოქმედებით პოზიციებზე გადასაყვანად - რაპპული კრიტიკის ხელმძღვანელობამ, მათი ოფიციალური - ‘‘კრიტიკოსების’‘ პირით განგაშით დასცეს ყიჟგნა და რაღაც არაჩვეულებრივი ქედმაღლური კმაყოფილებით დაიწყეს მტკიცება, რომ ‘‘ახლად გამოსული ლექსების წიგნით ‘‘გაბზარული სარკით’‘ აბაშელმა ‘‘დაასრულა თავისი პოეტური განვითარების გრძელი გზა’‘, რომ მისი ‘‘ფორმალური გამორკვევა და ზრდა დიდი ხანია დასრულებულია. . . რომ მას შემდგომი განვითარება აღარ ეტყობა’‘ და სხვა. ალ. აბაშელი მონათლული იქნა, როგორც გაუსწორებელი რეაქციონერი, კლასობრივი მტერი, რომელსაც უფრლებაც კი არ აქვს წეროს თანამედროვე თემებზე, რადგან თითქოს ეს არ იქნებოდა გულწრფელი და დამაჯერებელი, გამოხმაურება პოეტისა სოციალისტური სინამდვილის მიმართ. და

ეს იწერებოდა იმ დროს, როდესაც ‘‘გაბზარულ სარკეში’‘ ალ. აბაშელს ჰქონდა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც იგი შეხაროდა დიად სოციალისტურ თანამედროვეობას, ხალხის ბედნიერ აწმყოს და მომავალს:

მოგვცა ეპოქამ გადამწყვეტი ბრძოლის ნიშანი,
გვაქვს გული გმირის და ხალისი თვალღია ბავშვის, -

წერდა იგი ლექსში ‘‘დედამიწა’‘.

მეორე ლექსში , რომელიც მან უძღვნა პოეტებს, ალ. აბაშელი აღიარებდა:

მოწამეა ძვრათა უდიდესთა ჩვენი თაობა.
და მონაწილე განუზომელ აღორძინების.

ამავე ლექსში იგი მოუწოდებს ახალგაზრდა პოეტებს:

ნუ იხმართ სიტყვებს: სევდას, ქვითინს, ნიავს და სიოს,
როცა გრიგალი განახლების გრგვინავს გარშემო!

რაპპის ვულგარიზატორებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს პოეტის გულწრფელი შემობრუნების ეს ცდები და ბოლოს სრულიად დააჩუმეს იგი.

მაგრამ რაპპის ამგვარ საქმიანობას ლიტერატურის დარგში ბოლო მოუღო პარტიის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. პარტიის ამ ბრძნულმა გადაწყვეტილებამ ახალი შემოქმედებითი ენთუზიაზმით გამსჭვალა საბჭოთა მწერლობის ყველა საუკეთესო ძალა, პარტიის გარშემო შემოიკრიბა ყველა ის მწერალი, რომელიც გულწრფელად ემსახურებოდა მუშათა კლასის დიად საქმეს. პარტიამ მზრუნველი დახმარებით ხელი გაუწოდა ყველა იმ მწერალს ძველი, წინარევოლუციური თაობიდან, რომელსაც სურდა თავისი შემოქმედებით აქტიური მონაწილეობა მიეღო დიადი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში. ამ ისტორიულმა დადგენილებამ აქტიურ შემოქმედებითს მუშაობაში ჩააბა ის მწერლებიც, რომლებიც მანამდე ასე დიდი ზეიმითა და რიხით იყვნენ რაპპის ხელმძღვანელობის მიერ აღიარებული ‘‘უიმედო’‘ და ‘‘გზადასრულებულ’‘ მწერლებად. მათ რიცხვში იყო პოეტი ალ. აბაშელიც.

რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება შემოქმედებით მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარების საქმეში. ეს არის მესამე პერიოდი მისი შემოქმედებითი განვითარებისა, ყველაზე უფრო ნაყოფიერი, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი, აქტუალური თავისი შინაარსით და მიზანდასახულობით.

სოციალისტური სინამდვილის მდიდარმა მრავალფეროვნებამ, საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ და შემოქმედებამ ალ. აბაშელს მისცა უდიდესი სტიმული ახალი, უფრო ნათელი პოეტური საღებავების და ფერადების მომარჯვებისა ცხოვრების რეალურ სინამდვილის ასასახავად. ლექსში ‘‘ჩვენი დღეები’‘ იგი, აღფრთოვანებულია ჩვენი ქვეყნის აღმავლობით, უდიდესი გულწრფელობით უმღერს ‘‘გასაოცარ ადამიანებს’‘ - მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებს, რომლებიც რწმენით აღსავსენი აშენებენ ახალ ქვეყანას:

მესმის გუგუნი დაუცხრომელი
მზითა და ქარით სავსე დღეების,
ამღერდა გული, წინათ მწყრომელი.
ირგვლივ მღერიან თითქო ხეებიც.
სად იყო დღემდე გმირი ამდენი?
ნეტავ, სად იყვნენ ეგ სახელები?
განსაცვიფრებელ საქმეთ ჩამდენი
რწმენით აღსავსე მუშის ხელები?
გული სიმღერით აახმიანებს,
როგორც ბავშვობის ოქროს ზმანებას.
ამ გასაოცარ ადამიანებს,
ამ გასაკვირველ აღფრთოვანებას.

მეორე ლექსში სათაურით ‘‘ვეფხის ნახტომი’‘ პოეტი იგონებს საბჭოთა ხალხის მიერ განვლილ ოცი წლის მანძილს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეებს, როდესაც ‘‘ამობრწყინდა დილის მზესავით ლენინის დროშა’‘ და ახალი ისტორიული პერსპექტივები გადაუშალა წინ მშრომელ ხალხს:

თითქოს მილიონ წელთა წყვდიადის
აენთო ერთად ყველა ატომი,
მოგვესმა გრგვინვა და განთიადის
მოვარდა ელვა გასაკვირველი,
ეს იყო ქვეყნის დილა პირველი
და ისტორიის ვეფხის ნახტომი.

ლექსში ‘‘ფოლადური’‘ ალ. აბაშელი მიმართავს საქართველოს მთებს, იმ მხარეს, რომელიც გენიალურად ასახა თავის ნაწარმოებში ვაჟა ფშაველამ და უხარია, რომ ამ მთებმა, მისმა მცხოვრებლებმა თავის კერაზე ‘‘ახალი ცხოვრების ალი’‘ გააჩაღეს, და აღარ სურთ, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ‘‘წარსულით მომავალი ცხოვრების დაძაბუნება’‘

იცით, დრო დადგა ახალი,
ძველი დაეშვა კისრითა,
წაიღო ბნელ სამარეში
კუბო შეკრული ფიცრითა;
ჩვენს დროს ვერ გამოადგებით
მამაპაპეულ ისრითა, -
ახალს ბახტრიონს იშენებთ,
ახალის წესით იბრძვითა.

ალ. აბაშელის უკანასკნელი დროის ლექსებს ახასიათებს თემატიკის მრავალფეროვნება. არ არის ჩვენ ცხოვრებაში არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომ იგი არ ეხმაურებოდეს თავისი მაღალმხატვრული სტრიქონებით. მის ნაწარმოებთა შორის აღსანისნავია მაგალითად, ლექსი ‘‘ბრწყინვალე თარიღი’‘, დაწერილი უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამო.

ალ. აბაშელი თავის ლექსებში უმღერის ძლევამოსილ წითელ არმიას, რომელიც გმირულად იცავს თავისი ქვეყნის საზღვრებს და მხრისხანე ძალას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყველა მტრისათვის. სასიმღერო ლექსში ‘‘ლაშქრული’‘ გამოხატულია ჩვენი სამშობლოს ფხიზელი დარაჯის, წითელი არმიის საბრძოლო განწყობილება:

და თუ მტერმა გაბედა
ჩვენი მიჯნის: გარღვევა, -
ვინღა გაგვიტოლდება
ჩვენს სამშობლოს დაცვაში.
საზღვარს გადავეჭდობით
ჩვენ ფოლადის ძარღვებად
და ბრძოლის ცეცხლს დავანთებთ
ხმელზე, ზღვაზე და ცაში.

ალ. აბაშელის შემოქმედებაში მხატვრული გამოვლინება ჰპოვა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისეთმა უდიდესმა უბანმაც, როგორიც არის კოლხიდა. შესანიშნავ ლექსში, რომელსაც ეწოდება ‘‘ოქროს საწმისი’‘, პოეტმა ოსტატურად დაუპირისპირა ერთმანეთს ძველი კოლხიდის ბინადარის ბნელი ცხოვრება და მისი დღევანდელი ნათელი, მზიური და საამო ყოფა.

ავტორი ჯერ აგვიწერს კოლხეთის ბუნებას და იქაურ მცხოვრებთა მწარე ბედს ძველად, შემდეგ პოეტურ ფერადებში გვიხატავს ამ კუთხის დღევანდელ სურათებს.

ნისლი ამოდიოდა დამპალი წყლის ორმოდან
და კოღოებს არწევდა შხამიანი ყვავილი.
ხშირად მღვრიე რიონი ცოფიანი მორბოდა,
არემარეს იკლებდა შემზარავი ბღავილით. . .
. . . გუთნისდედა იბრძოდა კენტად, მარტოხმიანი,
წყლის და მიწის ჭიდილში გონივრული ჩარევით,
მაგრამ თხრილში იცდიდა ბარი ტალახიანი,
ვიდრე თოვლის კარავში კაცი ეგდო ჩვარივით.
კაცი ეგდო მოწყვეტით, დაალხული შმორითა,
ანთებიან გონებით ბურანში გადასული. . .
. . . . ახლა ნახეთ ეს მხარე თუ რა სანახავია:
მას ვერა სჯობს მშვენება ვერც ზღვისა და ვერც ცისა.
დღეს კოლხიდის მიდამო თითქოს ერთი ტყავია
ოქროს ბეწვით შემოსილ ლეგენდარულ ვერძისა.

ალ. აბაშელისათვის ჩვენი სოციალისტური სინამდვილე წარმოადგენს პოეტური შთაგონების დაუშრეტელ წყაროს. იგი თავის ლექსებში ასახავს ამ სინამდვილეს საბჭოთა პოეტისა და მოქალაქის გულწრფელი სიყვარულით და უდიდესი პატრიოტული სიამაყით. ყველგან, მისი ლექსის ყოველ სტრიქონში, რა თემაზეც არ უნდა წერდეს იგი, რასაც არ უნდა აპყრობდეს თავის პოეტურ მზერას, სინამდვილის რომელ მხარესაც არ უნდა აშუქებდეს იგი, პოეტი ყველგან ხედავს დიადი კომუნისტური პარტიის ბრძნული აზრის გამოვლინებას, მის უდიდეს შემოქმედებითს შთაგონებას, მისი საქმის განხორციელებას. ალ. აბაშელის ერთი

უკანასკნელი ლექსთაგანი ‘‘ლენინის ხსოვნას’‘, დაწერილი ლენინის გარდაცვალებიდან თოთხმეტი წლისთავზე, საუკეთესოდ გამოხატავს პოეტისა და მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის უდიდეს სიყვარულს თავისი გენიალური ბელადის - ლენინისადმი. ეს ლექსი ერთი საუკეთესო ლექსთაგანია თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში. მოგვყავს ადგილები:

. . . თოთხმეტი წელი უკვე გავიდა, -
შრომის და ბრძოლის საფეხურები,
შენს სახელს უფრო მაღლა ავიტანთ
და ზედ ლაჟვარდად დავეხურებით.
. . . და შენი სახე, მშრომელთ ლაშქარის
გულის ძგერასთან განუყოველი,
მუდამ წინ გვიძღვის, მუდამ აქ არის,
ასე ძვირფასი და ახლობელი.

ასეთია საერთო მიმოხილვით ალ. აბაშელის უკანასკნელი პერიოდის პოეტური შემოქმედება. აღსანიშნავია მისი ნაყოფილერება და ამავე დროს მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე.

ალ. აბაშელი უმთავრესად ლირიკული ჟანრის პოეტია. მან მოგვცა ნიმუშები პოლიტიკური ლირიკისა, რომელიც დარჩება ჩვენი საბჭოთა პოეზიის იდეურ-მხატვრული ზრდის საუკეთესო მაჩვენებლად. საკმარისია შედარება მისი დღევანდელი ლექსებისა თუნდაც ‘‘მზის სიცილის’‘ ლექსებთან, რომ მკითხველი დარწმუნდეს იმ უდიდეს ევოლუციაში, რომელიც მსოფლმხედველობითი გადამუშავების შედეგად მოხდა პოეტის შემოქმედებაში.

თუ წინათ ალ. აბაშელს ახასიათებდა ბუნდოვანი და განყენებული თემატიკა, დღეს მისი ლექსების შინაარსი გარკვეული და კონკრეტულია. თუ მის გონებას და გრძნობებს ჰფლობდნენ მისტიური ზმანებები, დღეს მისი იდეური სამყაროს მასაზრდოებელია მუშათა კლასის მსოფლმხედველობა. დღეს ალ. აბაშელი ხალხის გრძნობებსა და განცდებს გამოხატავს, იგი საბჭოთა ხალხის მოწინავე პოეტების რიგში დგას. მართალია, ძველი პოეტური მუშაობის რეციდივები ზოგჯერ დღესაც იჩენენ თავს მის ლექსებში - ვგულისხმობ აქა-იქ საგრძნობ რაციონალიზმს და მსჯელობითი ფორმების სიჭარბეს ლექსებში, მაგრამ საერთოდ ალ. აბაშელი სამართლიანად ითვლება ლექსის გამოცდილ და დახელოვნებულ ოსტატად. გულწრფელი იდეურობა და ოსტატობა საუკეთესო საწინდარია მისი შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისა.

1938 წ .
‘‘ქართული მწერლობა’‘ ლ. ასათიანი

კონსტანტინე გამსახურდია

ოდიშური მუხის ჭიშკარს ახალი მთვარისდარი თვალი ჰქონდა დატანებული. როცა ცხენოსანი ვინმე ჭიშკარს მოადგებოდა და დაიძახებდა, ყველაზე ადრე მე გავრბოდი სტუმრის შესახვედრად, მაგრამ ვიდრე კარს გავუღებდი მას, ფრთხილად გავხედავდი ახალმოსულს მზვერავი თვალით, რადგან სოფელში შიშიანობა იყო.

ერთ საღამოს ასწლოვანი კაკლების ქვეშ ვთამაშობდი.

ჰეიჲ, მასპინძელო!

შემომესმა ანაზდად.

გავიხედე: უზარმაზარი კოპიტების ჩრდილის ქვეშ ერთი შეიარაღებული, ჩოხიანი ვაჟკაცი იდგა მდუმარე.

ეს იყო პირველი რევოლჲუციის ხანა. სოფელში ათასგვარი ლეგენდა დადიოდა ‘‘ერთობის-მოქადაგებთა’‘ გამო. ჩემს ყმაწვილურ ფანტაზიაში მდევრური ანაგობითა და შეუმუსვრელი ძალმოსილებით იყვნენ იგინი შემკულნი.

ვნატრობდი: მალე, სულ მალე დავაჟკაცებას, თოფის მოხმარებასა და ბრძოლის უნარს.

მთელი საღამო გამალებული თვალს ვადევნებდი ჩვენს ოჯახში დასამალავად მოსულ შავგვრემან ჭაბუკს, რომელიც მოკრძალებულად ესაუბრებოდა ბუხრის წინ მამაჩემს, ხანაც თავის მშვენიერ თეთრ კბილებს მიანათებდა ხოლმე ჩემს უფრო ძმას, მის თანამებრძოლსა და მეგობარს, ალექსანდრეს.

ბევრს ლაპარაკობდა თავისი ამხანაგების ვაჟკაცობისა და სიჩაუქის გამო, ხოლო საკუთარი მიღწევებისათვის, გამოკითხვის დროსაც სდუმდა.

ლიმონისფერი გადასდიოდა სახეზე სტუმარს, საუბრის დროს ცხვირსახოცს იცაცუნებდა წარამარა მიმინოს ჭანგებივით დახრილ ნესტოებზე.

ტკბილი, საამური ხმა ჰქონდა უცნობს, სწორი ცხვირი, ნათელი შუბლი, კეთილშობილი ანაგობა.

უცნაურად თეთრსა და გრძელთითებიან ხელებს თავზე გადაისვამდა ხანდახან, როცა მისი შავი კულულები შუბლზე დაუწყებნენ ცაცუნს.

საერთოდ უფლისწულს ჰგავდა ჩვენი სტუმარი, გვიანი საუკუნეების ტაძრების კედლებზე გამოსახულს.

ვუთვალთვალებდი ამ მშვენიერ ვაჟკაცს უიარაღოდ ბუხრის პირად მჯდარს, გაოცებული ვიყავი: აგეთი ‘‘ნაზი ტერორისტის’‘ ვის შეეშინდება მეთქი.

ფრიად გავვოცდი, როცა გავიგე გვიან, რომ ამ კაცს თავი ესახელებინა გენერალ ალიხანოვის კაზაკებთან და რეაქციის დროს გამრავლებულ ბანდიტებთან შეტაკებისას უკვე იმ წლებში, როცა მეფისეული დამსჯელი რაზმები გამძვინვარებულნი შეესივნენ დასავლეთ საქართველოს.

ამ პირმშვენიერი უცნობის მაგალითმა პირველად დამარწმუნა ჩემს სიცოცხლეში, რომ ხშირად ვაჟკაცური სული ბუდობს ხოლმე ფაქიზ სხეულშიც.

* * *

ათიოდე წლის შემდეგ ამ ჩვენი სტუმრის ლექსები გამოჩდნენ პრესაში, მათ ხელს აწერდა ალექსანდრე აბაშელი.

როგორ წარმოვიდგენდი, თუ ეგ, ჭიშკრის თვალიდან დანახული უცნობი ოდესმე გახდებოდა ჩემი უერთგულესი მეგობარი.

ამგვარი, უაღრესად ჰარმონიული და ფაქიზი ბუნების ადამიანთა გამო უთქვამს, ალბათ, რუსთაველს: სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო.

მე არამგონია არსებობდეს ქვეყნად უფრო დიდი ბედნიერება, გყავდეს ისეთი მეგობარი, რომელშიაც დიდი ტალანტი ბუნებრივად შერწყმულია დიად კეთილშობილ ადამიანობასთან.

მწერლობა სხვა არაფერია, თუ არა ემანაცია კეთილშობილებისა, სხვა შემთხვევაში იგი ქაღალდის ხარჯვაა ამაო და პროფესიული მანჭვა, რომელი ვერც თანამედროვეებს მოსჭრის თვალს და ვერც მომდევნო თაობებს.

აბაშელი უმღერის კიდევაც ამ კეთილშობილებას.

‘‘ვინ დაჩრდილავს პოეტის გულის პატიოსნებას’’.

მე ვამტკიცებ: ლექსების, დრამების, გინდ რომანების წერას ყოველი წიგნიერი ადამიანი შესძლებს, უკეთუ მან ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების ტექნიკაში ხერლი გაივარჯიშა.

ისეთ მუსიკალურ ენებში, როგორიცაა ქართული, იტალიური, რუსული, ყოველი სანახევროდ ინტელიგენტიც მოაცოდვილებს ბოლორითმოვან ლექსს, რომელსაც ძლივს ჩაათავებ ერთხელ.

მაგრამ გაივლიან ათეული წლები და საუკუნის მიწურულს, ნამდვილად ოქროს მაძიებელთა სიაში დარჩება სულ რამდენიმე სახელი, ოქროსებრ რჩეული და უზადო.

* * *

გასული საუკუნის ქართული მწერლობის კორიფეებს მრავალი ამოცანა ჰქონდათ დასახული, მათ შორის უმთავრესთაგანი ერთი: ჩვენი ლიტერატურის ორღობის ორწოხებიდან თავის დასაღწევად საჭირო იყო უნივერსალიზმის რანგზე მისი აყვანა, საამისოდ აუცილებელი გახდა ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების მოდერნიზირება.

აზიური უფორმობის დამღა ეტყობოდა მე-17-18 საუკუნეების ქართულ მწერლობას.

აზიური უფორმობის მეთქი, ვამბობ.

ცნობილია: აზიაში იშვა თითქმის ყოველი ჟანრი მწერლობისა: შაირი, ოდა, პოემა, ნოველა, დრამა და რომანი, მაგრამ არც ინდოელებს, არც არაბებს, არც ირანელებს, არ შეუქმნიათ ისეთი სრულქმნილი ფორმები მეტყველებისა, როგორიც შექმნეს ძველმა ბერძნებმა და უფრო გვიან რუსთაველმა, შექსპირმა და პუშკინმა.

ნ. ბარათაშვილი და იოანე ბატონიშვილი, გრიგოლ ორბელიანი და აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა იღვწოდნენ ამისათვის დიდი კეთილშობილი იდეებით, დიადი პატრიოტული პათოსით.

დევკაცური სულის სიდიადით მოსილი იყო მათი ნაამაგარი, მათ ხელახლა საძირკველი ჩაუყარეს თითქმის ყოველ დარგს მეტყველებისას, მოთხრობას, ლექსს, დრამას და პოემას, მაგრამ ამ ჟანრის კულმინაციურ ზენიტში აყვანა უანდერძეს მეოცე საუკუნის სარდლებს ლიტერატურისას.

უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი ზ მ ი დ ა ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი ფ ო რ მ ა ე ს ი ყ ო დ ა ა რ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ი ლ ო ზ უ ნ გ ი ჩ ვ ე ნ ი ე პ ო ქ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს

ა. ამ საუკუნის მიწურულში, ალბათ, შვიდიოდე სახელი მოიხვეჭს ახალ ელვარებას, მათ შორის პირველთაგანი იქნება უთუოდ ალექსანდრე აბაშელისა.

ფორმათა სრულყოფისათვის ბრძოლას ნურავინ აურევს ფორმალიზმში. დიდი და იდეური მწერლობა ფორმალიზმის ნაჭუჭში არაოდეს დატეულა. საამისოდ აბაშელს არც პატრიოტიზმი ჰკლებია ოდესმე, არც მოქალაქური გრძნობა.

მას კარგად ესმოდა, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის მწერლობა გაცილებით მეტი იყო მუდამ, ვიდრე პროფესიული სკრიპტომანია, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მოშაირეთა იწილ-ბიწილო.

ალექსანდრე აბაშელი მოვიდა პოეზიაში, როგორც ოსტატი. მისმა ლექსებმა მოულოდნელად გაიშრიალეს და მორთეს თვალისმომჭრელი კაშკაში უცნაური კალეიდესკოპის ფერთა სიმრავლით აციმციმებულთა.

ჩვეს ეპოქაში უკვე აღარავის სჯერა სერიოზულად პრიმიტიული და ინსტიქტური მწერლობის ამბავი. მოდერნისტობის გამო როდი მოგახსენებთ, მაგრამ არსებობს ერთი შეუცვლელი და გადაუთარგმნელი ფრანგული სიტყვა ‘‘მოდერნ’‘, რაც უეჭველი

თუ ადამიანი თავისი თანადროული ინტელექტისა და სიტყვიერი კულტურის შესატყვისია ნამდვილი თანადროული მწერლობისა. დონესთან არაა გათანაბრებული, იგი თანადროულ ეპოქას ვეღარ დაამშვენებს.

საამისოდ ორი რამ არის აიუცილებელი:

ერთია ინტელექტუალური სიმწიფე, ხოლო მეორე - ოსტატობა.

აბაშელი შემოვიდა მწერლობაში, როგორც ოსტატი, და გაგვაოცა არა მარტო ხელოვნებით, არამედ ინტელექტუალური სიმწიფითაც.

უპოვარი გლეხის გაჭირვებული ოჯახიდან გამოსულმა ჭაბუკმა საკუთარი ენერგიით გაიკაფა საკმაოდ მძიმე ცხოვრების სარბიელი და მსოფლიო მოვლილ, მაღალი განათლებით აღჭურვილ ოსტატებს ამოუდგა გვერდით.

მის ოსტატობას ხშირად თან ახლავს ოდნავი სიგრილე, რადგან პრიმიტიულობა, როგორც პროდუქტი გონებრივი უმწიფარობისა, მუდამ უშუალოა, ძალზე გულახდილი და ბანალურია.

იგიც ცნობილია, რომ უნიჭო მომღერლები, ბღავიან და ხავიან, ხოლო მომღერალთა შორის ისეთნი, რომელთაც ბულბულისმიერი ყელი აქვთ, პიანისიმოს მღერიან.

აბაშელის ნათელი ლანდშაფტები, მზეების სიცილი და მთვარის კაეშანი ნელი სევდით არიან მოვარაყებულნი; მისი წკრიალა ლექსები ფოლადისებური სიმტკიცით არიან ნაჭედნი, მათ თან სდევთ უტყუარი ელვარება ხალასი ოქროსი, ხალისიანი ციმციმი გუთნის შვიდეულისა და ფოიერვერკული ელვა მოულოდნელი ბოლო რითმებისა და სახეებისა, პარაბოლური მეტყველების დაწურული სიბრძნე.

იგი ხანდახან ეროტიულიც არის, მაგრამ ოდნავ დარცხვენილი მისი ლირიკა ბერძნული ლეკიფივით გამსჭვირვალეა და რხეული.

აბაშელი ერთის შეხედვით სიცოცხლეს დახარბებულია თითქოს, მზის ამოსვლათა და ღამეული ფერების მოტრფიალე, დაუცხრომელი მოთვალთვალე ამ პლანეტების ფერადოვანი კალეიდოსკოპისა, ხანაც დაფიქრებული სიკვდილისა და შობის გარდაუვალ კანონთა გამო, ხან მეოცნებე და გარინდებული ამ საწუთროის უცნაურობათაგან. მიუხედავად ამისა, მის მსოფლმხედველობას საფუძვლად უძევს ხალისიანი რწმენა ჯანმაგარი ქართველი ხალხისადმი, რომელმაც ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე გაუძლო ისტორიის უწყალო ქარბორბალას.

გათენებათა და შეღამებათა, ნაჩრდილევისა და ნაშუქარის უებრო მხატვარი, იგი ზომიერია და მშვიდი, ჩუმი და ჩუმად დამტკბარი, დაუცხრომელი მჭვრეტელი ამ სამყაროს ფერთა სიუხვისა.

იგი როდი გაღელვებს, არამედ გამშვიდებს, როდი გასწავლის, არამედ გაოცებს, როდი გაშფოთებს, არამედ გარიგებს ბუნებისა და საწუთროს უცნაურობასთან, ხანაც დარდიანად იღიმება, გარდაუვალ კანონთა რკინის ლოგიკის შემცნები.

იგი უდრტვინველად შერიგებულია სიკდილთან და გარდავლენასთან, რომელთა ელემენტები წინასწარ მოცემულია როგორც ქარვის შემოდგომათა სინაზეში, ისე მზეზე აღბეჭდილ ტალებში, გაზაფხულის ფოთლების ყუნწში, გინდ ყვავილების ფაქიზ ჯამებში.

აბაშელი დიდის სიყვარულით უმღერის მზესა და მის ასაბია ცთომილებს, გაოცებული შესცქერის ასტრალურ ბუნებას ზესკნელისას, მაინც რიჟრაჟების მოტრფიალეა და ამომავალ მზეთა მეხოტბე:

‘‘ჩემი სიტყვა ცეცხლის ფრთაა, უხილავი ანგელოსის,
ჩემი ენა მუსიკაა, ტკბილი ქნარი ეოლოსის’’.

მართლაც, დიდი მუსიკალობითაა აღბეჭდილი მისი ლექსი. ოდიშის ნისლიანი ალიონები, შავი ზღვისპირა ჭაობების ისლის შრიალი, ტფილისური შემოღამებათ მშვენება, ქართული ბარის ლანდშაფტები, ჩვენი მთიანეთის, ჩვენი მდინარეებისა და ტყეების შხუილი ისეთი დონეზეა შექებული - რუსის, ფრანგის, გინდ ინგლისელის გულსაც მოხვდება.

აბაშელი უნივერსალურია არა მარტო მაშინ, როცა პლანეტების კადრილს აგვიწერს ხოლმე, არამედ მაშინაც, როცა საკუთარი მამულის ლანდშაფტებსა და ფერადებს ხატავს მინანქარული ფერწერით.

მე ჯერ არ წამიკითხავს არც ერთი კარგი თარგმანი მისი ლექსებისა, მაგრამ თუ ოდესმე არა ქართულად მეტყველმა პოეტებმა შესძლეს მისი სათუთი ფერადებისა და ბგერების სხვა ენებზე გადატანა, ალექსანდრე აბაშელი ისევე ასახელებს ჩვენს პოეზიას, ჩვენი ქვეყნის გარეშეც, როგორც ეს უქნიათ მის დიდ წინაპრებს: შოთას, გურამიშვილს, აკაკის და ვაჟას.

მრავალი შედევრით გაამდიდრა მან ჩვენი პოეზია. მათ შორის, ჩემი აზრით, უბრწყინვალესია ‘‘ქვის ირემი’’, რომელიც თავისი ღრმა ემოციურობით და ვირტუოზული კომპოზიციით თამამად გვერდით ამოუდგება მსოფლიო პოეზიის უსაჩინოესს შედევრებს.

* * *

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჩვენს მწერლობაში სავსებით მართებულად ჩატარებული ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ ისე გაიგეს ზოგიერთა, როგორც ჟანრების აღრევა, აბსოლუტური უფორმობის დამკვიდრება როგორც ლექსსა და პროზაში, ისე კრიტიკულ მტყველებაში, როგორც მოშვებული და დეფორმირებული ჯღაბნა, სრული იგნორაცია ჟანრისმიერი, გინდ ფორმისმიერი კანონზომიერებისა.

ამან წარმოშვა ‘‘ერზაცლიტერატურა’’, მოკლედ: ისეთი, საქმიანობა, როცა მწერალი გაცვეთილი რითმებისა და გადაცოხნილი აზრების კორიანტელს აჭყვება და მესტვირული მონოტონობით წერს ლექსს, ან არა და დასვამს გმირს მოთხრობისა, ან დრამისას და ისე აჭარტალებინებს ენას, როგორც გამოუცდელი თავმჯდომარე კრებისა ენა გალექსარებულ, ცრუ ორატორებს.

ასეთი კატეგორიის მწერლებმა არც კი იციან, რომ ხელოვნება არის კანონიერ სიმეტრიულობაში მოქცეული მხატვრული მეტყველება, რომელშიაც მათემატიკური სიზუსტით უნდა იყოს მოცემული ყოველი ელემენტი სათქმელისა და საუწყებელისა, მათ არ იციან, ხელოვნება კანონზომიერების სალტეებში მოქცეული თავისუფლება რომ არის.

მათ არ იციან, რომ ვინც პირველად იხმარა ბოლორითმები: ‘‘ალვა’‘, ‘‘მალვა’‘ და ‘‘კრძალვა’‘, იგი გენიოსია, მაგრამ ვინც ეს რითმები თუნდაც ერთხელ განიმეორა, იგი უდიდესი პროფანია, რადგან აზრების, იდეების, გინდ მოტივების სესხება ხელოვნებაში ასე თუ ისე დასაშვებია, მაგრამ განმეორება რითმისა, შედარებისა, სახისა, ეპიგონობაა და უმწეობა.

ალექსანდრე აბაშელისაგან ამ მხრივადაც ბევრი უნდა ისწავლოს ჩვენმა თანადროულობამ. იგი თავადაა გადამტანი იმ ბრძოლისა, რომელიც ჩაატარეს საშუალო და უფროსი თაობების ზოგზოგმა ოსტატებმა ტექნიკური ხელოვნების და ფორმათა სრულყოფის დასაუფლებლად. მან აქაც უცნაური ვაჟკაცობა და სტოიციზმი გამოიჩინა.

ალექსანდრე აბაშელი უდრტვინველად მოკვდა. გასაოცარი იყო მისი უდრტვინველობა და თავმდაბლობა. მის სიცოცხლეშიც ის არაფრით ჰგავდა იმ ყოყოჩა პოეტებს, რომელნიც ორიოდე ახალი რითმიული წყვილის გამოგონებას ამერიკის აღმოჩენად სთვლიან.

სიკვდილის კვირაძალში მას საჩუქრად მოუყვანეს ერთი ნაზამთრალი მწყერი. თავის ოთახში ჰყავდა და გულისხმიერად უვლიდა. როცა მას ვინახულებდი, განგებ არ ვკითხავდი ხოლმე ჯანმრთელობის ამბავს, როგორაა მეთქი შენი მწყერი?

მას თვალები გაუბრწყინდებოდა ხოლმე და თავის შეუდარებელ ღიმილს შემომანათებდა.

ერთ დღეს ის მწყერი გაფრინდა და დასტოვა თავისი ერთგული მეგობარი. უცნაურად შეაწუხა ავადმყოფი ამ უმნიშვნელოო ამბავმა. ათ დღესაც არ გაუვლია, ალექსანდრე საავადმყოფოში გადავიყვანეთ და იგი შინ არ მობრუნებულა.

ასე ნაზამთრალ მწყერსავით გაგვეპარა იგი. საოცარი მწუხარება და სიცარიელე დაგვიტოვა ამ ბრწყინვალე ადამიანმა ჩვენ, მის მეგობრებს, და ქართულ პოეზიაშიც საკმაოდ დიდი ხარვეზი დარჩა მისი უდროოდ დაკარგვის მეოხებით.

1957 წ.
კოსტანტინე გამსახურდია.

იოსებ გრიშაშვილი

აბაშელს

მე ხუთ ათეულ წელიწადს გავცდი,
შენ დაეუფლე წელიწადს სამოცს.
ჩვენ კიდევ ვუმღერთ ახალის განცდით
დიად სამშობლოს - ტკბილსა და ამოს.

ჩვენ გავიარეთ გზა უძნელესი,
ჩვენს გულში იდეო მტრის მჭრელი ტყვია.
ვიბრძოდით კალმით, ვიბრძოდით ლექსით,

სიტყვა ხურჯინში არ ჩაგვიწყვია!

და როცა მტერი ურცხვად ლამობდა,
გადმოელახა ჩვენი მთა-ბარი, -
შენი ნაწერი ამას ამბობდა:
‘‘არ შემოუშვა, დასცხე, დაჰკარი!’‘

მწამხარ! მიყვარხარ, რომ მშობელ არეს
ასე გულწრფელად უვლი, გუშაგობ,
ჩვენო პოეტო, უნარნარესო,
ნამუსიანი ხალხის მუშაკო!

მე მაგონდება განვლილი წლები,
ორივეს გვქონდა ტუჩზე ხავერდი,
ეხლა გვამშვენებს თოვლის ეკლები -
შემომაბერდი. . . შემომაბერდი. . .

მაგრამ ლექსებში ხომ ვართ ყმაწვილი!
წინაპართ მცნებას მივდიოთ მტკიცედ:
ერთი გული გვაქვს და ეს ნაწილიც
ხალხის სამსახურს ერთგულად მივცეთ.

1944 წ. 23 ოქტომბერი
იოსებ გრიშაშვილი

სიმონ ჩიქოვანი

ალექსანდრე აბაშელის გახსენება

ქართული ლექსის შესანიშნავი ოსტატის, ჩემი უფროსი მეგობრის ლექსანდრე აბაშელის გარდაცვალება მისი დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულების თარიღის დაემთხვა. ორი თვით ადრე ავად გახდა, საავადმყოფოში დაწვა და განზრახულ საიუბილეო საღამომდის ვერ მიაღწია. გატარებული სიცოცხლის სამოცდაათი წელი საკმაოდ გრძელი მანძილია, ამ ხნის განმავლობაში დაბერებაც და დაუძლურებაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ალექსანდრე აბაშელმა სიცოცხლის მიწურულშიც უნაკლოდ შეინარჩუნა გონების სიჯანსაღე და ცხოვრების ხალისი, საზოგადო საქმეებში მუყაითობა, შთაგონებული შრომის უნარი და მის პოეტურ ხმას დაბერება არ დასტყობია.

‘‘მზის სიცილის’‘ ავტორი თითქო მუდამ თავისი ქვეყნისთვის ზრუნავდა და ჩვენი ხალხის ცხოვრებაში რაც ხდებოდა, ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა. იგი მუდამ მიმინოსავით ფეთქავდა და თვალები სიამით უციმციმებდა. მუდამ ძალზე გახარებული, ან ძალზე შეშფოთებული ჩანდა. მის ხასიათში შუალედი განწყობილება არ შეინიშნებოდა. შეშფოთება ხშირად იცოდა, მაგრამ ეს შეშფოთება ზოგჯერ უსაფუძლო გვეჩვენებოდა და იგი უპირველეს ყოვლისა სიხარულის მოციქულად მიგვაჩნდა. გვიყვარდა მასთან ერთად სარედაქციო სამუშაოში ჩაბმა და

ხალისიან მუსაიფში დავალების შესრულება. ალექსანდრე აბაშელის განშორება ნაადრევი და საოცრად გულის დამწველი აღმოჩნდა.

ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილს გულწრფელად უყვარდა ალექსანდრე აბაშელი. იგი ყველას ხიბლავდა თავისი ღრმაადამიანური თვისებებით, მომხიბლავი გარეგნობით. ვინმეს თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა. ყველა სიხარულით ხვდებოდა მას და თვითეულ ჩვენგანს იგი თავის უახლოეს მეგობრად მიაჩნდა. ალექსანდრე აბაშელი იყო ქართული მწერლობის სინდისი, მისი ზნეობრივი სიმაღლის მაჩვენებელი. იგი იყო უმწიკვლო და სპეტაკი პიროვნება. ეს ორი სიტყვა – უმწიკვლო და სპეტაკი ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავდა ჩვენი პოეტის შინაგან არსებას და გარეგნულ იერს. გვალვიან დღეს ისე გაივლიდა ქუჩაში, ფიორი მტვერიც არ მიედებოდა. წვიმაში ატალახებულ გზაზე თითქო წვეთი არ მიეშხეფებოდა, არც შემოდგომის ქარით მოწყვეტილი ფოთოლი და ზაფხულის ჰაერში მფრინავი ირმის დორბლი მის არსებას არ ეკარებოდა.

ხან იგი საიდუმლო სერობაში მონაწილე ქრისტეს იერს ატარებდა. ქუჩაში გაკვირვებული გამომეტყველებით დადიოდა, ხელთ მუდამ პორტფელი ეჭირა და ჩქარობდა, თითქო შორეულ მხარეში გამგზავრებას აპირებდა. მას მიმზიდველი ხანდაზმულობა და ქართული სილამაზე ამშვენებდა. ნაზი სახიერება მამაკაცური იერით ჰქონდა შეფერილი და პოეტის სახე შინაგანი ჭაღით განათებულს ჰგავდა. როდესაც იგი მწერალთა კავშირში შემოდიოდა, გეგონებოდათ, სულის სანთელი თან შემოჰქონდა და კეთილი ღიმილით წინ მიუძღოდა. უაღრესად ჭკვიანი, მკვირცხლი გონების ადამიანი იყო. ერთობ გონებამახვილი, ვნებიანი საუბარი იცოდა და ხელების გადამეტებული ჟესტიკულაციით ნათქვამის სიმართლეში გვაჯერებდა. საერთოდ მოხდენილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა. საუბარი უყვარდა ყოფაცხოვრებითს მოვლენებზე, ბუნების წყობაზე, მეტაფიზიკურ საკითხებზე. პოეზიაზე იშვიათად მსჯელობდა, ღვინოს არ სვამდა, თამბაქოს არ ეწეოდა და ღამეებს არასოდეს არ ათევდა. თითქო ზღვარის დარღვევა და ცხოვრების ნაპირების გადალახვა არ უყვარდა. მართალია, საუბარში მისი გონება გამჭრიახობით და სიმკვირცხლით გამოირჩეოდა, მაგრამ საოცარი მიამიტური წამოძახილებიც იცოდა, ბავშვურ გაკვირვებას მოულოდნელი აღტაცება ცვლიდა. მისი იმედიანი პირმცინარე სახე საქართველოს მზეს ეთამაშებოდა. მაგრამ ხშირად ავადმყოფობდა და სიკვდილის მოახლოებას ქვეცნობიერად გრძნობდა. დავით გურამიშვილის დარად, სიკვდილის მოახლოების საოცრად ეშინოდა და ავადმყოფობის დროს ლოგინში ვერ ისვენებდა. მაინც ლექსებში სიკვდილზე ხმას არ იღებდა და პოეზიაში წუწუნი და ზედმეტი ნაღვლიანობა არ უყვარდა.

ალექსანდრე აბაშელი არ იყო ადვილად შესაცნობი პიროვნება. კეთილი გული ჰქონდა, ერთგული მეოჯახე და თავისებურად მოფუსფუსე ადამიანი იყო. ბავშვები ძლიერ უყვარდა და თავის შვილიშვილებზე ჭკუას კარგავდა. მუდამ მეგობრებზე და ნათესავებზე ზრუნავდა. არავისადმი შურისა და უკმაყოფილების გრძნობა არ გააჩნდა. იშვიათად შემხვედრია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სხვისი ბედნიერებით ან სხვისი გამარჯვებით ასე გახარებული ადამიანი. მას ახარებდა არა მარტო თავისი თაობიდან გამოსული მწერლის წარმატება, არამედ უმცროსი თაობის მწერალთა გამარჯვებაც მის კმაყოფილებას და გულწრფელ სიხარულს იწვევდა. სხვისი გამარჯვებით გამოწვეულ აღტაცებას არ მალავდა. იგი იყო თავდადებული საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის ყველა გამარჯვება საკუთარ გამარჯვებად მიაჩნდა. ჟურნალში ან გაზეთში თუ რაიმე გამოქვეყნებული მასალა მოეწონებოდა, ტელეფონით დაურეკავდა ავტორს და წარმატებას მიულოცავდა,

თვითოეული ახალი ტალანტის გამოჩენას იგი სიხარულით ხვდებოდა. მაგონდება, როდესაც პოეტი ანა კალანდაძე მწერალთა სახლში პირველად ლექსებს კითხულობდა, ალექსანდრე აბაშელი მსმენელთა შორის იმყოფებოდა, სიხარულით ცას ეწეოდა, ადგილზე ვერ ისვენებდა და აღტაცებას საჯაროდ გამოხატავდა.

ერთხელ ზაფხულში ლადო ასათიანი და მე რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდით და წვიმა წამოგვეწია. თავი შევაფარეთ ‘‘ზარია ვასტოკას’‘ შენობას. შესასვლელში ალექსანდრე აბაშელი დაგვიხვდა, ისიც წვიმის გადაღებას ელოდა. შევატყვე, რომ ლადოს პირადად არ იცნობდა და არც ენახა იგი. მე გავაცანი, ‘‘ახ, კაცო, შენ ხარ ლადო ასათიანი?’‘ აღტაცებით წამოიყვირა ალექსანდრემ და აციმციმებული თვალები შეანათა. ასე უბრალო შემთხვევებშიც მისი მოსიყვარულე ბუნება ნათლად მჟღავნდებოდა. იგი ასე აღტაცებული შესცქეროდა ვარაზისხევთან შეჯგუფულ სტუდენტებს, ქართველი ხალხის მომავალს, საქართველოს ლაჟვარდოვან ცას და თბილისის შეყვითლებულ მთაგორებს. განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა და ერთ ლექსში გვეუბნება კიდეც: წვერის შეღებვა მომინდა, რადგან ჭაბუკებთან ასეთი ჭაღარა წვერით შეერთება მეუხერხულებაო.

პოეტი ალექსანდრე აბაშელი მთოხნელი გლეხკაცის ოჯახში დაიბადა და ღარიბი სოფლის წიაღიდან გამოვიდა. მალე თავისი ნიჭის მეშვეობით დაწინაურდა და ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი სულიერი მესაიდუმლე გახდა. ქართველი ხალხის გულის სიღრმეში ჩაიხედა და ერის სულის სალაროში მრავალი პოეტური მარგალიტი შეიტანა. რომენ როლანი ერთ წერილში ამტკიცებდა, რომ დემოკრეტიის წრიდან გამოსულ მოღვაწეებს კეთილშობილება და სულიერი არისტოკრატიზმი უფრო მეტი გააჩნიათ, ვიდრე არისტოკრატიული წრიდან გამოსულ ადამიანებსო. ამ მოსაზრების საუკეთესო დადასტურებაა ალექსანდრე აბაშელის პიროვნება. მის პოეტურ ბუნებაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა დახვეწილი გემოვნება, თავშეკავებული ვნებები და ცხოვრების სუსხში გამომუშავებული სულიერი წესრიგი. იგი იყო კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი, გრძნობის გაიაფება და მისი იოლად გაფლანგვა არ უყვარდა.

განსხვავებით ზოგიერთი თანამედროვე ქართველი პოეტისაგან, ალექსანდრე აბაშელს საკუთარ ლექსებზე მსჯელობა ტრიბუნაზე თუ კერძო საუბარში ძლიერ ეუხერხულებოდა. იგი არ იყო თავის თავზე შეყვარებული პოეტი. უაღრესად კდემამოსილი და მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა და სხვისათვის თავისი შემოქმედების დაძალება არ შეეძლო. შინაგანი თავმოყვარეობა მას უფლებას არ აძლევდა მკითხველზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. ყოველგვარი ხაზგასმული პირადულობა მისთვის უცხო იყო და პოეტური პოზის შერჩევაც საშინლად ეჩოთირებოდა.

შეიძლება ამის შედეგია, რომ აბაშელის პოეზიაში წმინდა რომანტიკული ნაკადი უფრო ნაკლებია, ვიდრე ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის ან იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში. ალექსანდრე აბაშელი ლექსს საოცრად ადვილად თხზავდა, მგონია, რომ მას ლექსების ვარიანტები არ დარჩენია. ლექსებს მოყვითალო იტალიურ ქაღალდზე წერდა. პოეტის ხელნაწერს ნერვიულობა არ ეტყობოდა და ქაღალდზე მრგვალი ქართული ასოები ჩუქურთმებივით ჰქონდა გამოკვეთილი. საერთოდ მას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა მოყვანილი და საქმისადმი დაუდევარი მოპყრობა არ იცოდა. პოეტურ სიჭაბუკეში იგი გატაცებული იყო განყენებული ფილოსოფიური თემებით, უყვარდა ვარსკვლავების წყობაზე და ვარსკვლავთმრიცხველებზე საუბარი. წიგნში ,,მზის სიცილი’‘ გამოვლინდა სამყაროს საიდუმლო ჩაწვდომის სურვილი და პოეტური მსჯელობის მეშვეობით ამ ფილოსოფიური საკითხების გარკვევის ცდა.

,,მზის სიცილში'' მზე, მთვარე და ვარსკვლავები არამარტო მეტაფორებია და ლექსის გარეგნული სამკაული, არამედ ეს მნათობები პოეტური ხილვის საგნებია და პოეტური შთაგონების სათავე. იგი ცდილობდა მათი მეშვეობით სიცოცხლის რაობაც განეჭვრიტა და სამყაროს მშვენიერებაზე დაუბერებელი სიმღერა ეთქვა. მაინც წიგნში ,,მზის სიცილი'' ბევრი სიტყვიერი მასალაა ჩახერგილი, ახლა ამ წიგნში ბევრი ლექსი გაყვითლებულია, ბევრს აკლია კონკრეტულობა და ლირიკული უშუალობა.

ალექსანდრე აბაშელი საოცრად დაუფლებული იყო ლექსის ტექნიკურ მხარეს და შეეძლო ქართულ პოეზიაში ბრწყინვალე ვირტუოზი გამხდარიყო, მაგრამ ჩვენი პოეტი ამ ცდუნებას არ გაჰყოლია. მან კარგად იცოდა, რომ პოეზიაში მთავარია სახალხო ზრახვათა გამოთქმა, ამიტომ მალე მიატოვა ბალმონტისებური ლექსის თვითმიზნური ორკესტრირება და ვირტუოზობისაკენ შემჩნეული მიდრეკილება დასძლია. მისი გულისყური ქართველი ხალხის დრამატულმა ცხოვრებამ მიიპყრო და პოეტიც ქართველი ხალხის ადრინდელი ტკივილების მემატიანე გახდა. ჯერ კიდევ ,,მზის სიცილში'' გაეხმიანა იგი ვახტანგ ორბელიანის ''იმედს'' და წამოიძახა: ''შავი ფიქრი, მწარე ფიქრი, მშობელ ერის მომავალზე, უნუგეშო ცრემლის მძივად დაემსხვრევა ღია თვალზეო''. ამ ეროვნულმა ტკივილმა შეიტანა პოეტის შემოქმედებაში მძლავრი დრამატული ნაკადი და გადააჩვია იგი განყენებულ პოეტურ აზროვნებას, დააშორა არაეროვნულ თემატიკას, იგი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის, მისი ბედნიერი დღევანდელობის და მომავლის მომღერალი გახდა. ქართული კლასიკური პოეზიიდან ნაანდერძევ ზრახვებს მიუბრუნდა და პოეზიაში აკაკი წერეთლის მიერ გაკვალულ სამწერლო გზას დაადგა. ალექსანდრე აბაშელს, ისევე, როგორც გალაქტიონ ტაბიძეს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტებში ყველაზე მეტად აკაკი წერეთელი ხიბლავდა. არის გადმოცემა, რომ აკაკი წერეთლის ოქროს კალამი გაზეთ ''თემის'' რედაქციამ პრემიად ''მზის სიცილში'' ავტორს მიანიჭა. ასე იყო თუ ისე, 1915 წელს საჩხერეში აკაკის ცხედარს ახალგაზრდა პოეტების სახელით ალექსანდრე აბაშელი გამოეთხოვა თავისი ცნობილი ლექსით: ''ჩვენ ბევრი ვართ შენს კალთაში, შენი ჩანგით გამოზრდილიო'', ხოლო 1935 წელს აკაკი წერეთელს მანვე მიმართა ბრწყინვალე სტრიქონებით: ''დგას საქართველო ოქროს თასივით, შენი ლექსების ნექტარით სავსე''.

თავისი ხალხის ბედი პოეტს დიდხანს აწვალებდა, და თუ ადრე შეშფოთებით წამოუძახია, ''ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა სანთელიო'', ეს წუთიერი შეშფოთება გულწრფელ ხელოვანს დანაშაულად არ ჩაეთვლება, იგი უანგარო პატრიოტი იყო და მისი მუზა, დიდი ქართველი პოეტის ლექსების ნექტარით სავსე საქართველოს ფარვანასავით თავს დასტრიალებდა. ალექსანდრე აბაშელი იყო ზუსტი, მკაფიო პოეტური აზრის ოსტატი. იგი ხშირად ქრესტომათიული სიზუსტით წერდა ლექსებს და პოეზიაში მაღალ სისადავეს ამკვიდრებდა. უყვარდა ლექსის კლასიკური ფორმა და ძალზე გარანდული სტრიქონი.

პოეტმა უბადლო სულიერი ენერგია, ლირიკული სიმძფრე და ტკივილი სრულყოფილად ე.წ. საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილ ლექსებში გამოამჟღავნა. ეს ლექსებია: ''მამის სიკვდილი'', ''პაპაჩემი'', ''ბებია'' და ''წერილი ნოე ჩხიკვაძეს''. ამ ნაწარმოებებში შეულამაზებლად შეჭრილია ავტორის მიერ პირად ცხოვრებაში ადრე გამოვლილი სიდუხჭირე, ეს პირადული თავგადასავალი ამ ლექსებში მწვავე დრამატიზმის საფუძველია, გაბზარული გულის დუღილია და გულდამწვარი სიმღერის საფანელი. ავტორის პირადული განწყობილება, როგორც მთავარი მოქმედი პირი დატრიალებულია ამ ლექსებში და იგი დიდი ლირიკული სიმძაფრით ვლინდება თვითეულ სტრიქონში. ყველა სურათი ტიპიურია, ზოგადი და ხალხური,

ლირიკულ განცდათა კლასიკურობა შერწყმულია მკაფიო პოეტურ ფორმასთან. მამისა და პაპის ტრაგიკული სახეები, მათი ცოცხალი ნაკვთები გამოძერწილია უბადლო მძერწავის მარჯვენით. წისქვილიდან შინ მობრუნებული ურემი, რომელზედაც აწყვია ფქვილით სავსე ტომრები და ტომრებზე მწოლიარე, ნაბადწახურული, ანთების ალში გახვეული მომაკვდავი მამის ჩვენება, თავისებური პოეტური საოცრებაა. იგი სინამდვილის ზუსტი ანარეკლია და განუმეორებელი პოეტური ხილვის ნაყოფია. ეს მართლაც დაუვიწყარი სურათია, ხოლო ჭიშკართან ურემში გაბმული ხარების უბედურების მაუწყებელი ბღავილი ჟრუანტელის მომგვრელი ხმაა და ეს ხმა სიკვდილის უჩვეულო გზით გამოცხადების მანიშნებელია.

არანაკლებ მძაფრია და შთამბეჭდავი ღმერთზე გამწყრალი პაპა, რომელმაც ზიარება არ მიიღო, ქრისტეს სისხლი გადაღვარა და უფალზე წყრომა საფლავში ჩაიტანა. ამ ლექსების ციკლში თითქოს გაიღვიძა ალექსანდრე აბაშელის პოეტურ სტიქიაში დროებით მიძინებულმა, ქართველი გლეხის გაუტეხელმა ბუნებამ და პოეზიაში აღმოცენდა მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა ფესვმაგარი ხასიათები. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი კაფანდარა, გამხდარი ადამიანის ფიზიკურ არსებაში ასეთი ქარიშხალი ტრიალებდა. ‘‘მამის სიკვდილი‘‘ და ‘‘პაპაჩემი‘‘ პატარა მოცულობის, მაგრამ ღრმა შინაარსის მქონე პოემებია. ამ ნაწარმოებებში არა მარტო დიდი ლირიკული სიმძაფრეა გადმოღვრილი, არამედ მათში პოეტურად აღბეჭდილია რევოლუციამდელი ქართული სოფლის ასეთი ტრაგიკული სურათები.

გარეგნულად სულ სხვაგვარია ლექსი ‘‘წერილი ნოე ჩხიკვაძეს‘‘, მაგრამ სულიერი სიმტკიცით, ოჯახური გრძნობებით თუ ყოფაცხოვრებითი თვისებების გაპოეტურებით ეს ლექსიც ‘‘მამის სიკვდილის‘‘ და ‘‘პაპაჩემის‘‘ რკალს მიეკუთვნება. როგორც ცნობილია პოეტი ნოე ჩხიკვაძე ალექსანდრე აბაშელის მოყვარე და უახლოესი მეგობარი იყო. იგი ფართოდ აღიარებული პოეტი იყო არა მარტო დემოკრატიულ პოეტების წრეში, არამედ ამ ფრთის მოწინააღმდეგე ‘‘ცისფერყანწელებიც‘‘ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ ნოე ჩხიკვაძისადმი განმსჭვალულნი. ნოე ჩხიკვაძე მრავალი წრფელი პათოსითა და მოწოდებითი ინტონაციით დაწერილი ლექსის ავტორია. მაინც მას დარჩა ერთი, განსაკუთრებით ბრწყინვალე ლექსი: ‘‘ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს‘‘. ეს ლექსი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ანთოლოგიის კუთვნილებაა. მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ბევრია ამ ლექსზე უფრო არტისტულად და უფრო გარეგნული ელვარებით დაწერილი პოეტური ნაწარმიები, მაგრამ ასეთი ადამიანური, ასეთი უშუალო და გულის სიღრმეში ჩამწვდომი პოეტური ქმნილება იშვიათია. ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობდა, ‘‘ისეთი ლექსი დავწერო მინდა, რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერაო‘‘. ნოე ჩხიკვაძემ თითქოს მართლაც დაწერა ისეთი ლექსი, რომელშიაც თავისი გრძნობები მთლიანად ჩაღვარა და პოეზიაში საკუთარი უკვდავება დაამკვიდრა. ლექსი ‘‘ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს‘‘ განუმეორებელია. იგი მიულოდნელად არის გულიდან ამოფრენილი და თვითეული ჩვენთაგანის ხანდაზმული სულის თავისებური აღსარებაა. რაც ხანი გვემატება, უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენი სიყვარული ამ ლექსისადმი.

ნოე ჩხიკვაძე, როგორც ვთქვი, ალესანდრე აბაშელის ახლობელი ადამიანი იყო. იგი შესანიშნავად იცნობდა ‘‘მონა ქალის‘‘ ავტორის პოეტურ ბუნებას და გულისტკივილით დასტიროდა უდროოდ დაღუპულ მეგობარს. ნოე ჩხიკვაძის პოეტური ხატი დიდხანს არ მოშორებია ‘‘გაბზარული სარკის‘‘ ავტორს და 1926 წელს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა მას. ამ ლექსში ვლინდება ვაჟა_ფშაველას პოეტური

სტიქიის გავლენა, ვაჟასებური სიმძაფრე და შეუდრეკელობა: ‘‘ქვესკნელს დათხრიდნენ შენი ფესვები, მიწას პოეტად რომ არ ეშობე’‘, ეუბნება იგი ნოე ჩხიკვაძეს და ამ სტრიქონების ავტორზე თავისუფლად შეიძლება ამავე სიტყვების განმეორება. ამ ლექსში ალექსანდრე აბაშელმა თავი დააღწია განყენებულ პოეტურ აზროვნებას და თავისი გრძნობების ცხოველმყოფელობაში დაგვაჯერა. მან მწვავე ოჯახური ტკივილი და მაღალი მხატვრული აზრის შერწყმა შესანიშნავად მოახერხა და პირადული გრძნობა მაღალი პოეზიის ხარისხში აიყვანა. დიდი ლირიკული პოეზია არის პირადი სამყაროს გატიპიურება და ზოგადის პიროვნულად გადაქცევა. ამ ქმნილებაში ეს თვისება სრულყოფილად გამოავლინა და ეს ნაწარმოები ორი შთაგონებული პოეტის მეგობრობის ძეგლი გახდა.

უკანასკნელ წლებში ალექსანდრე აბაშელბა რამდენიმე რიტორიკული, უფერული ლექსი გამოაქვეყნა და ადრინდელი ორგანული თემა მიივიწყა, მაგრამ ამ პუბლიცისტური ხასიათის ლექსებშიც ჰქონდა ავტორს პოეტური გამარჯვება. პოემა ‘‘გერმანიაში’‘ უთუოდ ქართული პუბლიცისტური პოეზიის მნიშვნელოვანი მიღწევაა. სამამულო ომის გმირულ დღეებში ალექსანდრე აბაშელი შეუნელებელი მონდომებით მუშაობდა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, აქვეყნებდა შესანიშნავ პოეტურ მოწოდებებს და თავისი პოეზიით საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეს ემსახურებოდა.

როგორც ადრე აღვნიშნე, ალექსანდრე აბაშელი კდემამოსილი, თავისებურად მოკრძალებული ხელოვანი იყო. ერთხელ მითხრა: ‘‘როგორც ფრინველი გრძნობს ჰაერში თავის ტანის წონას, ისე ჩემი ნიჭის შესაძლებლობა დიდი ხანია აწონილი მაქვსო’‘. მაინც არ მეგონა, თუ იგი თავის შთაგონებაში დაეჭვებული იყო, ან თავისი მაღალი ნიჭის ნაყოფით არ იყო კმაყოფილი. როდესაც ‘‘ანთებული ხეივნის’‘ ავტორი საავადმყოფოში იწვა და სიკვდილი უჩინარად უახლოვდებოდა, იგი თურმე პოეზიაში თავის ნაამაგარს გონების თვალით სინჯავდა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ლექსად გამოხატავდა. პოეტის სულში შემოჭრილ იჭვს ასე გამოთქვამდა:

ხანდახან ფიქრი დამბურავს,
ვწევარ და არ მეძინება,
ვიტყვი ცხოვრების სამდურავს
და ცრემლი დამედინება.

გზას რომ გავხედავ ნისლიანს,
ჩავქრები, ჩავიშრიტები:
გზაზე რომ ყრია, ვისია
ფრთამოტეხილი ჩიტები?

ნუთუ ეს ჩემი ლექსების
მწარე ხვედრია ასეთი?
ამაოდ ვეალერსები,
არ აფრინდება არც ერთი!

მე ამ გზას რისთვის გავყევი,
ჯადოქარ ხმათა მძებნელი?
დავალ და ლექსებს გავყივი,
არვინ მყავს ყურისმგდებელი.

ან ვყოფილიყავ მეურმე,
ან შავი მიწის მბარველი,
მე არ მყოლია მეურვე,
არც ანგელოზი მფარველი.

ვერაფერს გავხდი მზისაკენ
მუდამ ხელების აშვერით,
რაც გულს უნდოდა, ისე ვქმენ,
მაგრამ ამაოდ დავშვერი.

შემოქმედებითი იჭვი თვითეული ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, იჭვი შთაგონების თანდაყოლილი თვისებაა, მას შეუძლია ნამდვილი პოეტი მუდამ ფხიზლად და მობილიზებულად იყოლიოს. ალექსანდრე აბაშელის ზემოთ მოყვანილი ლექსიც მოწმობს, რომ არ ჩამქრალა, არც შენელებულა მისი პოეზიის მოპარპალე წმინდა სანთელი. მას კიდევ შეეძლო ქართულ პოეზიაში მრავალი შედევრი შეექმნა. მაინს საკუთარ თავზე ასე პირდაპირ გამოთქმული იჭვი გაზვიადებულია და უსაფუძვლო, მაგრამ ეს ლექსი უთუოდ მეტყველებს ავტორის მოკრძალებულ და თავმდაბალ ხასიათზე.

სიმონ ჩიქოვანი
1959 წელი.
თბილისი.

“ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი 1963

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელის მიმართ სავსებით მართლდება ბიუფონის თქმა ადამიანისა და სტილის ერთიანობაზე. ჩვენთვის ცნობილია არა მარტო ლექსებში აღბეჭდილი ფიქრები და გრძნობები პოეტისა, არამედ ყოველდღიური საქმიანობა და ისეთი წვრილმანიც კი, როგორიცაა მისი ხელრთვა. ვისაც ალექსანდრე აბაშელის ავტოგრაფები უნახავს, უეჭველია ყურადღებას მიაქცევდა სუფთად გამოყვანილ ასოებს და სტრიქონთა სიმეტრიულობას. პოეტი პასუხისმგებელი იყო ავტოგრაფის გარეგნული სიწმინდის გამოც და, ვფიქრობთ იგი არასოდეს არ წერდა ფანქრით და არასოდეს არ გადასცემდა სხვას ხელნაწერს, რომელიც კალმის შეცდომებით იქნებოდა აჭრელებული.

ალექსანდრე აბაშელს თითქოს არ უყვარს მღელვარე რიტმები, რომელნიც ლექსის ჩარჩოების გაფართოებას მოითხოვენ და ძალზე ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ერთი თავისუფალი ლექსი აქვს დაწერილი (იხ. “წითელი ფრინველები“ კრებულში “ანთებული ხეივანი“). სიტყვები ტაეპში, ტაეპები სტროფში და სტროფები ლექსში მიედინებიან ისე, როგორც მდინარე გრანტიან კალაპოტში და მათ არ გააჩნიათ საშუალება კიდეების სრული გადალახვისა.

ასეთი იყო ალექსანდრე აბაშელი ცხოვრებაშიაც.

რომ არაფერი ვთქვათ შესანიშნავ ტაქტზე და იმ შინაგან კეთილშობილებაზე, რომლითაც აღბეჭდილი იყო პოეტის დამოკიდებულება მეგობრებთან და

ნაცნობებთან, საკმარისია მოვიგონოთ ყოველდღიურის შთაბეჭდილება, ჩვეულებრივი საუბრის დროს მისგან მიღებული: მასში არ მოიპოვებოდა ნატამალიც კი რეზონერობისა და პოზისა,თვითკმაყოფილებისა და ნაძალადევი პათოსისა და თუმცა უფრო ისმენდა, ვიდრე ჭირვეულად ამტკიცებდა რასმე,_იცოდა ვნებიანი პაექრობაც და არასოდეს მიდიოდა კომპრომისზე, თუ საკუთარი რწმენის დაცვის აუცილებლობა უკარნახებდა მას.

ალექსანდრე აბაშელი არა მარტო შესანიშნავი პოეტი იყო, არამედ შესანიშნავი ადამიანიც.

ალექსანდრე აბაშელმა მრავალმხრივ საინტერესო გზა განვლო. მისი ლექსების პირველი წიგნი ‘‘მზის სიცილი’‘ სინათლისადმი ექსტატიურ ჰიმნს წარმოადგენდა, ამ კრებულში თვითეული ნააზრევი, თვითეული შედარება, სახეების ქსოვილი მთლიანად ასტრალურ ფონზეა გაშლილი, მზე კოსმიურ ცენტრად არის მიჩნეული და ყველაფერი მისი შუქით ცოცხლობს. ახალ ქართულ პოეზიაში ალექსანდრე აბაშელი დამამკვიდრებელია სოლარული სახეებისა, სოლარული თვალსაზრისისა საზოგადოდ.

მაგრამ მზის ხოტბას საზოგადოებრივი სარჩულიც ჰქონდა, იგი უკეთესი მერმისის ხილვის რწმენით იყო შთაგონებული. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოეტის განცხადებას:

მსურს ქარიშხლის მახარობლად
მოვევლინო ჩემს ქვეყანას
(‘‘მზის სიცილი’‘).

ნანატრი განთიადის მეხოტბედ მოგვევლინა ალექსანდრე აბაშელი ლექსების მეოთხე წიგნში ‘‘მზე და სამშობლო’‘ (1939), მაგრამ სრულყოფილი სიხარულის მოპოვებამდე მან მოგვცა სხვა წიგნების _ ‘‘ანთებული ხეივანი’‘ (1925), და ‘‘გაბზარული სარკე’‘ (1929), რომელნიც მისი პოეტური ცის დროებით მოღრუბლვას გვიხატავენ.

‘‘ანთებული ხეივანი’‘ მაღალი პოეტური ოსტატობით აღბეჭდილი კრებულია. მართალია, ამ წიგნშიც ხშირია კოსმიური სახეები, პოეტური აბსტრაქციები, მაგრამ არის ავტორისათვის მანამდე უჩვეულო დაახლოებაც საქართველოს ბუნებასთან. ‘‘ანთებულ ხეივანში’‘ ყველა შედარება და სახე უშუალოდ უკავშირდება ბუნებას_ზღვას, ბაღს, ყვავილებს, მეტწილად_ტყეს. თითქმის ყოველი ლექსი ბუნების ფარულ მისტერიასთან პოეტის სულის თანაზიარობას მოგვითხრობს. თითქოს გრძეულ მხატვარს მოუქარგავს პოეტის შინაგანი ქვეყანა მზისა, მთვარისა და ღამის მიერ ტყეში გაშლილ სხივებისა და ფერების გობელენის შესაბამისად:

მჭკნარი ფოთლები ბუმბულივით სცვივოდა ხეებს...
და მე ვფიქრობდი: ჩემი სულიც ტყეს შეედრება.

არა მარტო ბუნება, არამედ ფარშევანგის ბოლოს თუ პეპელას ფრთებიც _მოლივლივე ფერების ეს მინიატურები_ალექსანდრე აბაშელის სულიერი მოძრაობის მატერიალურ, ფერადოვან განსახიერებად ქცეულან. ყველაფერს ამ ფონზე ითვისებს პოეტი, საყვარელი არსების ხილვასაც კი:

ჰგავდა საღამოს შენი სახე გაფითრებული,
მაგრამ იისფერ აბრეშუმის ხელთათმანებმა
შენი თითების სურნელება არ დამანება.

ზოგჯერ ასეთი დაახლოების დროს პოეტური პარალელიზმის საზღვრები სავსებით წაშლილია და სახეების რთული გადაჯვარედინების სისტემად ქცეულა:

ორი იისფერ ყურძნის მარცვალი

ან ორი ია რძეში მცურავი,
შავ წამწამებში დასაბურავი
ცისფერ ყვავილზე სხივ-მცინარ ცვარი.
შენს თვალებს გარდა სხვაგან არც არი
შორის ალერსით დასაწურავი.
ორი იისფერ ყურძნის მარცვალი
ან ორი ია რძეში მსურავი.
(''იისფერი თვალები).

''გაბზარული სარკე'' სკეპსის წიგნია. ამ კრებულის ზოგიერთ ლექსში სამყარო სიზმრეულ ცხადებად არის აღიარებული, გამოთქმულია იჭვი საგნების რეალური არსებობისაც კი. ლექსებში ''ჩემი'' და ''მეგობარს'' ავტორს ხილული ქვეყანა საკუთარი ჭვრეტისა და ათვისების სიმბოლოებით ავსებულ ზმანებად მიაჩნია. სრულიად უნებლიეთ ალექსანდრე აბაშელი აქ პოეტურ სოლიპსიზმს ქადაგებდა, ხოლო ტაეპები _ რა პატარაა დედამიწა: სულ მცირე ბაღი

. . . . . .

ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დაღი_გარდუვალი კანონის შეგნებით გამოწვეულ შეძრწუნებას გამოხატავდნენ.

მაგრამ თვით ამ წიგნშიაც მკაფიოდ გაისმა სიხარულის ძიების სურვილი და ალექსანდრე აბაშელმა იქვე დაუსვა წერტილი თავის სკეპტიციზმსა და უგუნებობას:

მშვიდობით ჩემო საყვარელო მელანქოლია,
შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მყოლია.
(''მეოცნების დღიური'').

ხელახალი აღტაცების მოპოვებაზე ოცნება, ოცნება შეგნებული სიხარულისა, რომელიც გონებისა და გრძნობის ზეიმის გამოხატულება უნდა ყოფილიყო, მალე აუხდა პოეტს და იგი ახალი საქართველოს ტრუბადური გახდა. ალექსანდრე აბაშელის შეგნება განიმსჭვალა უსაზღვრო აღფრთოვანებით განახლებული სამშობლოს მიღწევების გამო. და როცა პოეტი თავისი ქვეყნის წყვდიადით მოცულ წარსულს იგონებს, ლექსს იწყებს მდორედ, წინასწარ არ ამხელს შთაგონების ბედნიერ განათებას, საგნებს ჯერ ნისლიან ლეჩაქში ხვევს და შემდეგ უცბად, ახალი ქვეყნის ხილვისას მის ხმას ცეცხლი წაეკიდება და სტროფები თითქოს ფოსფორიულად ინთებიან:

მახსოვს: თანდათან შუქი შენელდა
ქვეყანას ნისლი გადაეფინა,
ღამე ჩრდილების ქსელს აშენებდა,
თავი დავხარე და გულს ეწყინა,
მაგრამ უეცრად მთათა კედელთან
ქუხილი ქუხილს გადაეზვინა,
გროვა ისართა აუცდენელთა
ელვის ღვართქაფად ცას დაედინა.

პოეტური მონოლოგიის შინაგანი მღელვარებით გადმოცემა ერთგვარ კანონად აქვს ქცეული ალექსანდრე აბაშელს. სიტყვებიც ''უცებ'' ან ''უეცრად'' ძალიან ხშირია მის ლექსიკონში, ადრინდელ ლექსებშიაც კი:

უ ც ე ბ აყვავდა ცის კიდეზე ღამის ჭრილობა.
(‘‘ანთებული ხეივანი’’).

რომ ეგ სიცილი ასე უ ც ე ბ არ მოსულიყო
(იქვე).

უ ც ე ბ იცვალა ზეცამ ნიღაბი
(‘‘გაბზარული სარკე’’).

და მრავალი სხვა.

ყოველი ლირიკული ლექსი_სინათლის ჩქერი_ასეთი უეცარი და მოულოდნელი აღტაცების შედეგია:

. . . . . .

დიდი ხანია არ ანთებულა
ჩემში სინათლე, ცით გადმოსული.
გული კვნესოდა მორიდებულად
ყოველდღიურის ზრუნვით მოცული.
და დღეს უ ე ც რ ა დ და უნებურად
ორსავე მხარზე დამკრა ნათელმა,
და ამატოკა კვლავინდებურად
ლექსების ელვამ და ჟრუანტელმა.
თეთრი ღრუბელი გაიხსნა თითქო
და ცის ლაჟვარდმა გააქრო ბნელი,
მოვარდა ღვარად ციური სითბო
და ელვარება მოულოდნელი.
(‘‘მზე და სამშობლო’’).

მუდამ, როცა ალექსანდრე აბაშელი თავისი ქვეყნის აწმყოს უმღერის, მისი სტროფები იწყებენ ლივლივს, პოეტის ლირიკული პათოსი ამაღლებულია, ემოციური ნიაღვარი შმაგად აწყდება ლექსის სალტეებს. ამ სიხარულს და აღფრთოვანებას ალექსანდრე აბაშელში იწვევს ჩვენი ქვეყნის მშენებლობა, აქამდე უნახავი გმირობა მისი სამშობლოს მესვეურებისა. მელანქოლიით შეფერილი ტყეებისა და თბილისის მისტიკური ღამეების ნაცვლად პოეტის ლექსებში აელვარდნენ ახალი საქართველოს ლანდშაფტები, ძვირფას ბაღნარად გარდაქმნილი კოლხიდის სანახები, მშრომელი ადამიანის მარჯვენით გამშვენიერებული დედაქალაქის სურათები.

ახალია თვითონ ალექსანდრე აბაშელის ლირიკული ავტოპორტრეტიც. ოდესღაც საკუთარი სულის მწუხარე განცდებზე დამკვიდრებული პოეტი ძლიერი ხმით ამღერებულა. მისმა ბაღებმა და ტყეებმაც იცვალეს ფერი და ხმები. ალექსანდრე აბაშელი ჭაბუკური აღტაცებით მონაწილეობდა სამშობლოს გაზაფხულის ფერხულში:

ნუშის კვირტები თვალებს ახელენ,
მზე არ ენახოთ თითქოს აროდეს,
თუნდ ერთი ჩიტი დამისახელეთ
აპრილის მოსვლა არ უხაროდეს;

მეც ხომ ამ ბაღის ერთი მწერი ვარ. . .
ყვავილთა მტვერით ფრთაშეგლესილი?
მე ჩემი ქვეყნის ცაზე ვწერივარ
შვიდსტრიქონიან ფერად ლექსივით.
მუდამ შრიალა მწვანის მძებნელი,
მეც ხომ ამ ბაღის ერთი ჩიტი ვარ?
ვგალობ სინათლის მაუწყებელი,
რადგან წყვდიადთან შენაჭიდი ვარ.
(1938).

გულწრფელი აღტაცებისა და ოპტიმიზმის ჩანჩქერი სცემდა ალექსანდრე აბაშელის ახალ ლირიკაში. როცა ვერაგი მტრის ურდოებმა გადმოლახეს ჩვენი ქვეყნის საზღვარი, მაშინ პოეტის ხმამ უმალვე ლითონის ჟღერა შეიძინა: განსაცვიფრებელი მძვინვარებით უგზავნიდა მტერს მრისხანე სტროფებს,_განუსაზღვრელი მძულვარებისა და ულმობელი შურისძიების გრძნობით ავსებულთ. ალექსანდრე აბაშელი პირველხარისხოვანი პოეტი_მომღერალი იყო იმ დიდი არმიისა, რომელმაც ჩვენს ხალხს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა.

ალექსანდრე აბაშელს აუსრულდა მისივე ნატვრა:

ვცოცხლობდე_მქონდეს ქვეყნის ზიარად
სითბო, ალერსი, მზე და ყვავილი.
არ ჩამრჩეს გულში სიტყვის იარა,
სანამ ბოლომდე ჩემს გზას გავივლი.
მუდამ აღმასვლის ვიყო მყივარი,
ვშველოდე, მაღლა ვინც ვერ ავიდა,
მქონდეს საქვეყნო გულს სატკივარი
და სიხარულიც რასაც ავიტან.
მოვკვდე_დამემხოს ლაჟვარდი თავზე,
სიმღერა ტკბილი, ხან ნაღვლით სავსე,
მიმღეროს ჩუმად გულმა მისანმა
და ელვარებამ დამწვას მზისამან.

აკაკი გაწერელია
‘‘საბჭოთა აქართველო’‘
თბილისი 1968

”ქართული მწერლობის სინდისი”

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელი ქართველ პოეტთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში, ჯერხნობით, გაუბედავად გამოჩნდა ქართული ლიტერაუტურის სარბიელზე, თუმცა მალევე მოიპოვა წარმატება. მოგვიანებით, სწორედ ეს თაობა შეიქმნა უახლესი ქართული პოეზიის მესაძირკვლე.

ახლა, როცა დღევანდელ ახალგაზრდობას 1905-1907 წლების რევოლუციაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ერთგვარ „ეგზოტიკურ“ წვრილმანად შეიძლება მოგვეჩვენოს ის გარემოება, რომ ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, აბაშის სასწავლებლის დამთარებისა და მშობლიური სოფლის - შაჩოჩიოს (პოეტის ნამდვილი გვარი - ჩოჩიაა) ფოსტის მოხელე, სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე აბაშელი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს შორეულ სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს. იქიდან დაბრუნებული, 1908 წლიდან თბილისის რუსული გაზეთების „კავკაზისა“ და „ნოვაია რეჩის“ რედაქციაში მუშაობდა. პირველი ლექსებიც 1908 წელს გამოაქვეყნა. . . რუსულ ენაზე!

მისი პირველი ქართული ლექსი „შავი აჩრდილი“ 1910 წელს დაისტამბა.

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებითი გზის დასაწყისში, მისი რევოლუციური სიჭაბუკის გათვალისწინებით, ბუნებრივად დაუკავშირდა ე.წ. რევოლუციურ-დემოკრატიულ სკოლას, განსაკუთრებით კი, მის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს - ნოე ჩხიკვაძეს; მაგრამ ახლისმაძიებელ პოეტს, ჩანს, არ აკმაყოფილებდა სოციალურ და პოლიტიკურ სკითხებზე მიჯაჭვა, - საკმაოდ მწირი მხატვრული არსენალით. იგი მალევე ჩამოშორდა ზემოხსენებულ ჯგუფს, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა განსაკუთრებული პატივისცემა ნოე ჩხიკვაძის პოეზიისადმი (სხვათა შორის, ნოე ჩხიკვაძეს დიდად აფასებდნენ ცისფერყანწელებიც).

ბუნებრივია, რომ ჭაბუკმა პოეტმა გულწრფელად გამოხატა პროტესტი თუ სევდა დამონებული სამშობლოს გამო; ბნელეთის, ზამთრის, შავ აჩრდილთა ალეგორიების მეშვეობით წარმოსახა რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდის ქუფრი სურათები („ზამთარი და გაზაფხული“, „შავი აჩრდილი“, „სისხლის წვიმა“ და სხვ.). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალექსანდრე აბაშელის ადრინდელი ლექსები, სიწრფელისა და უშუალობის მიუხედავად, სრულიადაც არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ პოეტი რეფორმატორად თუ მოდერნისტად მიეჩნიათ.

ალექსანდრე აბაშელის პირველი პოეტური კრებული „მზის სიცილი“ (1913 წ.) ერთბაშად მოექცა მკითხველი საზოგადოებისა თუ კრიტიკის ყურადღების ცენტრში. გადმოცემით, თბილისის გაზეთი „თემის“ რედაქციამ ალექსანდრე აბაშელს მიანიჭა ჯილდო - აკაკი წერეთლის ოქროს კალამი. არის რაღაც სიმბოლური ამ ფაქტში: ავტორი, რომელიც აკაკის უაღრესად გულმხურვალე თაყვანისმცემელი გახლდათ, სოწრედ „მზის სიცილში“ დაეწაფა სამოციანელთა პოეზიისაგან რადიკალურად განსხვავებულ თემატიკას; ამასთან, უდიდესი დატვირთვა მიანიჭა ლექსის ფორმალურ, ტექნიკურ მხარესაც. ავტორი თითქოს განერიდა ამქვეყნიურ ვნებებს, სცადა „მიწიერი“ დრამისაგან თავის დაღწევა, - მიაშურა წარმოსახულ, საოცნებო სამყაროს - მზის საუფლოს.

ამაოდ მოუხმობდა ნოე ჩხიკვაძე ყოფილ თანამოსაგრეს ზეციდან მიწაზე დასაბრუნებლად: „მიზეზთ სათავე აქ ეძიე, აქ, ჩვენს მიწაზეო“ (ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსი „გამოძახილი“).

განყენებულ, ფილოსოფიურ საკითხთა წვდომას პოეტი ასტრალურ ფონზე - მზის, მთვარის, ვარსკვლავთა საბრძანებელში შეეცადა. მის პოეზიაშიც ციური მნათობები მარტო მხედველობით ხატებად თუ მხატვრულ ტროპებად კი არ აღიქმება, - ეს რთული სახე-სიმბოლოები და პოეტური ხილვებია, რომლებიც სამყაროს, ადამიანის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთისა თუ ბოროტების რაობის განჭვრეტისათვის მოიაზრება - „მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს საიდუმლოს სახილველად. . . „მზის სიცილში“ ამაოდ დავუწყებთ ძებნას სოციალურ მოტივს,

კრებული უფრო ერთგვარი ციური თუ მზიური „აბსტრაქციაა“; ამაზე ლექსთა სახელწოდებებიც მიგვანიშნებს: „მზის წიაღში“, „მთვარის სახე“, „ორი ცა“, „ლურჯი ვარსკვლავი“ და სხვ.

იდეურ-თემატიკურად კრებული მიწისაგან განრიდების და მარადიული, ზეციური საუფლოს მოხილვის მცდელობაა, მხატვრული თვალსაზრისით, - ვერსიფიკაციისა თუ ქართული პოეტური ფრაზის მუსიკალური შეასძლებლობების მოძიებისა და გამოვლენის დემონსტრაციაა. პოეტური ‘‘კოსმოგონიით’‘ გატაცებამ, ქართული ლექსის მოქნილობამ, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ხიბლმა და, რაც მთავარია, ნოვატორულმა ალღომ, - დიდი გასაქანი მისცეს ალექსანდრე აბაშელს. იგი სამათლიანად აღიარეს ქართული ლექსის რეფორმატორად და მოდერნიზმის ერთ-ერთ მესვეურად იოსებ გრიშაშვილთან და სანდრო შანშიაშვილთან ერთად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ”მზის სიცილის” გამოსვლის წელს, - 1913 -ში ჯერ არც გალაკტიონის კრებულებია (1914 წ., 1919 წ.) გამოცემული და არც ‘‘ცისფერი ორდენია’‘ ჩამოყალიბებული.

განსაკუთრებით ეფექტურია ალექსანდრე აბაშელის ვირტუოზული ბგერწერა:

გამაგრდი გულო! მსურს გავაბნიო
მთით მონაბერი შავბნელი ნისლი!. . .
სსსსს. . . სისინებს სიო,
შშშშშ. . . შრიალებს ნისლი. . .

(‘‘სსსსს... შშშშშ’‘...)

ან კიდევ:

ნისლის ნაკვეთი ნარნარ ნიავს
ჩამქრალ ჩრდილად ჩაჰკვდომია,
ბუჩქნარ-ბაღში ბროლ-ბილილას
მწვანე მოლი მოჰფენოდა.
. . . ფრთოსან ფიქრთა ფეიქარი
ქნარზე ქროლით ქენჯნას ქსოვდა,
ზურმუხტ ზახვით ზვირთთა ზარი
შავი შიშის შრიალს შობდა. . .

(‘‘განთიადის მოლოდინში’‘)

ალექსანდრე აბაშელის დიდმა წარმატებამ ხელი არ შეუშალა იმდროინდელ კრიტიკას, - რუსი სიმბოლისტის, ბალმონტის ‘‘მზის კულტისა’‘ და მისივე ბგერწერისა და ალიტერაციების სიახლოვე შეენიშნა; ისიც აღსანიშნავია, რომ ‘‘მზის სიცილის’‘ გამოცემის მომდევნო წლებში პოეტმა ხელი აიღო თვითმიზნურ ბგერწერაზე, მის პოეზიაში მეტი სისადავე, უბრალოება და საგნობრიობა გამჟღავნდა, გამოიკვეთა პატრიოტული მოტივიც (‘‘მზე ამოდის’‘, ‘‘საღამო’‘, ‘‘უბრალო ამბავი’‘, ‘‘იისფერი თვალები’‘, ‘‘სოფელი’‘, ‘‘ჩრდილი’‘ და სხვ.).

ალექსანდრე აბაშელის დიდი დამფასებელი სიმონ ჩიქოვანი მოგვიანებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ მიუხედავად მყისიერი აღიარებისა, პოეტის პირველ კრებულში ბევრი სიტყვიერი მასალაა ჩახერგილიო. ‘‘მზის სიცილის’‘ ლირიკული გმირის იდენტიფიკაცია ავტორთან, მისი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ძალზე გაჭირდება. ალექსანდრე აბაშელი მუდამ გაურბოდა

ხაზგასმულ პირადულობას, კერძო, რომანტიკული გრძნობების გამჟღავნებას, თვითრეკლამას თუ საკუთარი შემოქმედების პროპაგანდას. მისი პიროვნული მოწესრიგებულობა, გაწონასწორებული ხასიათი და პოეტური ბუნება განსაზღვრავდა მის გამორჩეულ ადგილს თანამედროვე ნოვატორ შემოქმედთა შორის. მას ნაკლებად მიუწევდა გული პოსტსიმბოლისტების მიერ ესთეტიზირებული დისჰარმონიისაკენ, სიმახინჯის ესთეტიკისაკენ: ‘‘მის შეკრთომას, მის მწუხარებით შეშფოთებულ სულს ყოველთვის აწონასწორებდა ლტოლვა კლასიკური პოეტური აზროვნებისაკენ, სილამაზის კლასიკური იდეალისაკენ, გამოხატვის კლასიკური ფორმებისაკენ’‘ (გურამ ასათიანი). ეს გარემოება წარმოჩნდა პოეტის მომდევნო კრებულებშიც - ‘‘ანთებული ხეივანი’‘ (1923 წ.) და ‘‘გაბზარული სარკე’‘ (1929 წ.).

ალექსანდრე აბაშელისათვის სრულიად უცხო იყო ბოჰემურობა და გამიზნული ეპატაჟი, თუმცა, თავის დროზე დიდად გახმაურდა მისი ‘‘დეკადენტური’‘ ტრიოლეტები:

მსოფლიო ციხეა საზარი,
ტყვე არის არსება ყოველი,
და სასჯელს არა აქვს საზღვარი.
მსოფლიო ციხეა საზარი.
დარაჯად სიკვდილი მზად არი.
მის ძახილს ყოველ წამს მოველი.
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.

(‘‘ტრიოლეტები’‘, 1919 წ.)

ამ დროისათვის პოეტი ‘‘მზიურ’‘ თემატიკას ჯერ კიდევ ვერ ელეოდა, ძველი ოცნება არ ეთმობოდა:

მე ‘‘მზის სიცილი’‘ მაღალ თაროდან
გადავიტანე დაკეტილ ყუთში.
ვწერდი სხვა ლექსებს და მიხაროდა,
რომ დავიურვე ოცნება ურჩი.
მეგონა ზენამ სხვა ხმა მაჩუქა,
მაგრამ იელვეს ბრძოლის დანათა
და ‘‘მზის სიცილის’‘ დაღლილმა შუქმა
ამ წიგნშიც მკრთალად შემოანათა. . . .

(‘‘საფერფლე ურნა’‘)

ალექსანდრე აბაშელმა ძველ ოცნებებსაც უერთგულა და აკაკის ანდერძსაც. იგი წინაპართა საქმის, მათ მხატვრულ ტრადიციათა შეგნებულ დამცველად მოგვევლინა. 1915 წელს ახალგაზრდა მგოსანთა ახელით იგი სამარადჟამოდ გამოეთხოვა აკაკის:

ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალათში შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით გარს ვეხვევით
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით. . .

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედების მომდევნო პერიოდი განუხრელად და კანონზომიერად დაუკავშირდა სამწერლო დაჯგუფებას - ‘‘აკადემიური მწერლობის ასოციაციას’‘. იგი ეროვნული მიმართულების, ტრადიციული და, იმადვროულად, ევროპეიზაციის მომხრე ჯგუფის ერთ-ერთი მესვეური და იმ დროისათვის მეტად თვალსაჩინო ჟურნალის - ‘‘ხომალდის’‘ რედაქტორი გახდა.

‘‘ხომალდის’‘ პირველ ნომერში (1921 წლის დეკემბერი) გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის ‘‘შორეული ნაპირი’‘, რომლის ერთი სტროფი შემდგომში დიდხანს იყო მიჩქმალული:

. . . და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი -
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი. . .

ცხადია, ეს ლექსი 30-იან წლებში რომ დაწერილიყო, პოეტი სასტიკ რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდა; მაგრამ იმ დროისათვის ახალი ხელისუფლება ცენზურისათვის ვერ იცლიდა. ეს გარემოება კარგად გამოიყენეს ქართველმა პოეტებმა, მათ შორის ალექსანდრე აბაშელმაც; ყოველ შემთხვევაში, 1924 წლამდე მაინც. გავიხსენოთ, რომ ‘‘აკადემიური მწერლობის კავშირის’‘ საუკეთესო ჟურნალი ‘‘კავკასიონი’‘ 1925 წელს დაიხურა. ამაოდ შეეცადა პავლე ინგოროყვა ჟურნალის გადარჩენას ‘‘ახალი კავკასიონის’‘ სახელწოდებით და ჟურნალის მოწინავე წერილით. . . ტოტალიტარული ცენზურა ძალას იკრებდა: ‘‘აკადემიური მწერლობის ასოციაცია’‘ კონსერვატორულ და ანტისაბჭოთა დაჯგუფებად გამოცხადდა.

იწყება ახალი პერიოდი აწ უკვე სიცოცხლის ბოლომდე ‘‘საბჭოთა პოეტებად‘‘ სახელდებულ ხელოვანთათვის.

1923 წელს გამოცემული „ანთებული ხეივანი“, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ მისი ადრინდელი პოეზიის სულისკვეთებას წარმოაჩენდა: კვლავ ცისკენ სწრაფვა, მზის ამოსვლის მისტერია, სევდა და ნაღველი ამსოფლიური ამაოებისა და არასრულყოფილების გამო („პირველი სხივი“, „არწივი ჰაერში“ და სხვ.).

ჩანს, გამძაფრდა კრიტიკული გამოხდომებიც ალექსანდრე აბაშელის მიმართ, რადგან ლექსში „ჩემს მასწავლებლებს“ პოეტი, არამკითხე ოპონენტებთან გაპაექრებით, თავის მრწამსს გვიზიარებს:

მე თუ ცა მასწავლიდა, მიწასაც ვუჯეროდი,
ჩემთვის ზეცა და მიწა განუყრელნი არიან.
თქვენ სიმღერას მიწუნებთ! - თქვენი რა მაბარია?
თქვენ მოსაწონ ჰანგებსა ნეტავ როდის ვმღეროდი?
. . . მე არ მინდა ვისიმე გახარება ან წყენა, -
ჩემს სიმღერის შედეგებს მე როდი ვანგარიშობ!
მზით შემოსილ სივრცეში მე ფრენით დავთარეშობ
და ვიცი, რომ არ არის მარჯვენა და მარცხენა.
. . . ხედავ, წითელ ღრუბლებზე სცვივა იაგუნდები. . .
მზე ანთებულ აუზში ბანაობას აპირებს,
თქვენც წამოდით, თუ გნებავთ, ნახავთ ზღაპრულ ნაპირებს.
არა გნებავთ? - მშვიდობით! თქვენთვის არ დავბრუნდები!

ცალკე აღნიშვნის ღირსია უსათაურო კანონიკური სონეტების სიმრავლე ალექსანდრე აბაშელის კრებულში (მაშინ საუკეთესო ქართველი პოეტები თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ სონეტის ფორმის ერთგულებაში); შემოქმედების მოტივაციის გარკვევისათვის კი ლექსთა სათაურების ჩამოთვლაც კი კმარა: „მირაჟი“, „სევდა“, „სულის შემოდგომა“, „ჩრდილი“, „ცრემლი“, „მჭკნარი ფოთლები“ და სხვ.

1929 წელს გამოცემულ „გაბზარულ სარკეში“ (კრებულის სახელწოდება, თავისთავად, დამაფიქრებელი სახე-სიმბოლოა) ავტორი გულწრფელად ცდილობს „ეპოქისათვის თანამგზავრული სიმღერის თქმას“;

ახალი ქვეყნის მშენებლობის თემატიკა უფრო მოგვიანებით ჩნდება მის ლექსებში (იხ. კრებული „მზე და სამშობლო“, 1939 წ.).

ოციანი წლების დასასრულს დასტამბულ ‘‘მეოცნების დღიურში’‘ კი, ავტორი, უცდომელი პოეტური ალღოთი წარმოსახავს XX საუკუნეს; მისი მხატვრული ნათელხილვა დღესაც აქტუალურია:

მიაფრენს შემკრთალ დედამიწას ფრთოსან რაშივით,
ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკინული.
ჩქარი ბრუნვისგან მიწის ღერძი ტყდება გზაშივე
და პოლუსებზე სიცხისაგან დნება ყინული.
რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი,
იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი
და ავარდება მიუწვდენელ მზის სინათლეზე
მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალივით, -
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ვეღარ გაარღვევს,
ვერ გადაიტანს ამ ანთებას მიწის სხეული,
და სამუდამოდ დაიმშვიდებს ცეცხლიან ძარღვებს
სადმე მზის იქით, ცის უფსკრულში გადამსხვრეული. . .

ალექსანდრე აბაშელი 70 წლისა გარდაიცვალა. მა ურთულეს დროში იცხოვრა და იღვაწა და, რაც მთავარია, ‘‘გაუძლო’‘ ამ დროს. წერდა, როგორც გული უკარნახებდა; იყო კონიუნქტურაც, შემოქმედებითი მარცხიც, დროებითი უნაყოფობაც და იმედგაცრუებაც. არასოდეს უძებნია ჯილდოები, არც საბჭოური პრემიები ‘‘დაუმსახურებია’‘. რაც მთავარია, დროს გაუძლო მისმა პოეზიამ.

20-იანი წლებიდან ალექსანდრე აბაშელმა დიდი ამაგი დასდო ქართველ კლასიკოსთა - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა გამოცემის საქმეს, როგორც შემდგენელმა, რედაქტორმა და ტექსტის დამდგენელმა, განსაკუთრებით ფასეულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის - ცხრატომეულის გამოცემა 1925-28 წლებში (იმ დროისთვის ეს არამარტო თავდაუზოგავ შრომას, არამედ დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა), აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული (1940-59 წლები) და სხვ.

თანამედროვენი ერთხმად აღიარებდნენ ალექსანდრე აბაშელის სულიერ სისპეტაკეს, ‘‘ქართული მწერლობის სინდისს’‘ უწოდებდნენ მას. იმ ავადსახსენებელ წლებში ეს მართლაც იყო აღნიშვნის ღირსი. ‘‘გვალვიან ქუჩაში ისე გაივლიდა, ფიორი მტვერიც მის ტანსაცმელს არ მოედებოდა. წვიმაში ატალახებულ გზაზე თითქო

წვეთი არ მიშხეფებოდა''. - სიმონ ჩიქოვანის მიერ 1959 წელს ნათქვამი ეს ფრაზა მეტაფორადაც შეიძლება გავიაზროთ.

''მის პოეტურ ბუნებაში მკაფიოდ გამოსჭვიოდა დახვეწილი გემოვნება, თავშეკავებული ვნებები და ცხოვრების სუსხში გამომუშავებული სულიერი წესრიგი. იგი იყო კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი. . . ყოველგვარი ხაზგასმული პირადულობა მისთვის უცხო იყო და პოეტური პოზის შერჩევაც საშინლად ეჩოთირებოდა''. - ესეც სიმონ ჩიქოვანის სიტყვებია.

მხოლოდ იშვიათად ვერ თოკავდა პოეტი მის სულში ჩაბუდებულ ბობოქარ ვნებებს; პირადულ ტკივილს თუ პოეზიის უზენაესობის ღრმა რწმენასაც დიდი ექსპრესიით გადმოსცემდა. ასე შეიქმნა მისი, ალბათ, საუკეთესო ლექსი ''წერილი ნოე ჩხიკვაძეს''. ნიშანდობლივია, რომ იგი 1926 წელსაა დაწერილი:

. . . ალბათ, არ არის ზეცაში ღამე
და შენც მოწყენით თავი ჩაჰკიდე:
გაწვალებს ლექსის ნათელი შხამი,
რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე.
საქართველოში შენი ლექსები
მშიერ მგლებივით დათარეშობენ.
. . . და გრგვინვა, მწველი და ალდართული,
კვლავ ცის მყინვარზე დაიგუგუნებს,
რომ ანთებული სიტყვა ქართული
გადაანარცხოს ბნელ საუკუნეს.
როცა ეჭვებით დამქრალ ოცნებას
ლექსების ალი წაეკიდება,
რა მისცემს ჩვენს სულს მეტ გაოცებას,
რა უნდა იყოს მეტი დიდება!
არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, -
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
რომ ყველაფერი არის ამაო.
მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, -
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რათ არ შველის, -
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, -
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.

2004 წ.

ლალი ავალიანი

ალექსანდრე აბაშელი

დროის გადასახედიდან, ღირებულებათა გადაფასების ფონზე, ალექსანდრე აბაშელს, როგორც პოეტსა და მოღვაწეს, ღირსეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში. ოცდახუთი წლის ასაკში გამოჩნდა იგი ქართულ პოეზიაში, ნაწრთობი, გამოცდილი ხელწერით, ახალი სალექსო კულტურით. იგი ერთ-ერთი იყო მათ შორის, რომელებიც ემიჯნებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას. მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო ამ ხელისუფლების ეროვნულ-ინტერნაციონალური პოლიტიკა. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული დაჯგუფება ‘‘აკადემიური მწერლობის კავშირის‘‘ სახელით ჩამოყალიბდა 20-იანი წლების დასაწყისშივე, მის ძირითად შემადგენლობაში იყო ალექსანდრე აბაშელი (ამ დაჯგუფებაში შედიოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვარლამ რუხაძე, სოლომონ თავაძე, არისტო ჭუმბაძე). აკადემიურმა ასოციაციამ 1921 წელს გამოსცა ჟურნალი ‘‘ხომალდი‘‘ ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით. ‘‘ხომალდის‘‘ პირველი ნომერი იხსნებოდა მისი ლექსით ‘‘შორეული ნაპირი‘‘. აქ აშკარად, შეუნიღბავად არის გამოხატული პოეტის სატკივარი, საქართველოს თებერვალი აღიარებულია ტრაგიზმად:

და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი. . .
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ომი და თებერვალი.

საბჭოური წესი ქართულ სინამდვილეში პოეტის მიერ აღიქმებოდა, როგორც ‘‘სიკვდილი დაღი‘‘: ‘‘ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დაღი‘‘, (ა. აბაშელი, ‘‘ტანჯვის ბარძიი‘‘, ‘‘ხომალდი‘‘, №3, 1922 წ.).

* * *

ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია) დაიბადა 1884 წლის 28 (15) აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ საჩოჩიოში. მამამისი, ბესარიონ ჩოჩია, ღარიბი გლეხი იყო. ექვსი წლისა იყო პოეტი, როცა მამა გარდაეცვალა. შვიდი წლისა იგი აბაშის ორკლასიან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ‘‘ნორმალურ‘‘ სასწავლებელში მიაბარეს. ხუთი წლის ასაკში ქართული წერა-კითხვა მას უკვე ცოდნია. დედა ქართულის კარგი მცოდნე ყოფილა და შვილისათვის სკოლამდე უსწავლებია წერა-კითხვა.

სასწავლებელი ა. აბაშელმა თორმეტი წლისამ დაასრულა. უსახსრობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება და სოფელში დარჩა. დედა ხშირად ავადმყოფობდა. თექვსმეტი წლისა პოეტი დედითაც დაობლდა. უფროსი და ადრე გაუთხოვდა. დარჩნენ მარტო და-ძმა. მისი მძიმე ბავშვობა კარგად ჩანს 1925 წელს დაწერილ ლექსში ‘‘მეოცნების დღიური‘‘:

ვიყავი ბავშვი უნათესავო,
ვცხოვრობდი სოფლად, მქონდა გრძნობა მშვიდი, გლეხური.
მიყვარდა მუქი, მღვრიე აბაშა მე სათევზაოდ
და საბანაოდ - სუფთა ტეხური.
არ მყავდა მამა მოსარიდი და არც აღმზრდელი.
მარტოპერანგა, ფეხშიშველი და უდარდელი
დავრბოდი მინდვრად, სადაც ჩემებრ ნორჩ მწყემსებითა,
როგორც საკუთარ ყვავილებით ჰხარობდა ველი.

17 წლის პოეტი პირველად გავიდა თავის სოფლიდან და ჩავიდა ფოთში. მეოცნებე ჭაბუკზე წარუშლელი შთაბეჭდილება იქონია ზღვის დანახვამ, მოხიბლული იქვე დარჩა, გადაწყვიტა, გემის კაპიტანი გამხდარიყო. დიდი გაჭირვებით მოაგროვა ათი მანეთი. როგორც პოეტის პირველი ბიოგრაფი ი. გომართელი აღნიშნავს, სწავლის სურვილით შეპყრობილი ყმაწვილი იდგა ნავსადგურზე და ყოველ გამვლელ გემის უფროსს ემუდარებოდა, წაეყვანა თან და კაპიტნად მოემზადებინა. ბოლოს აღმოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი, გვარად პლეშჩენკო, რომელმაც იკისრა მისი წაყვანა ქ. ხერსონში საზღვაო სკოლაში შესაყვანად. ისაკმა მოაგროვა ათი მანეთი და გაჰყვა იმ კაცს. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის კაცი გზაში, ნოვორასიისკის ნავსადგურს რომ გასცდნენ, უეცრად გარდაიცვალა. ათი მანეთიც მას ჰქონდა მიბარებული. დარჩა ახალგაზრდა ყმაწვილი გემში უფულოდ და უპატრონოდ. გემის უფროსის თანაშემწეებმა რომ გაიგეს მისი მდგომარეობა, მისცეს ათი მანეთი, მიიყვანეს ოდესაში და ხუთი დღის შემდეგ უკან დააბრუნეს ბათუმში. ასე გაუცრუვდა იმედი. დაბრუნდა სოფელში და ძირითადად კითხვას მიჰყო ხელი. კითხულობდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ წიგნებს. სოფლის მუშაობას მაინცდამაინც ვერ ეგუებოდა. საამისოდ არც ფიზიკური ძალა შესწევდა და არც იყო ისე მოწყობილი, როგორც ამას ნორმალური სამეურნეო პირობები მოითხოვდა. იგი შეუდგა სხვა სამუშაოს ძებნას. აბაშის ფოსტის განყოფილებაში მეფოსტის კანდიდატის ადგილი მისცეს. რამდენიმე თვის შემდეგ ბორჯომის ფოსტის კანტორაში გადაიყვანეს. აქ კარგად მოეწყო. შეიძინა დიდძალი წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე.

1902 წლიდან პოეტი ეცნობა არალეგალურ ლიტერატურას, რომელსაც ბათუმიდან ჩამოსული მუშები აწვდიან.

1904 წლიდან ალ. აბაშელი ბათუმში მუშაობს როტშილდის ქარხანაში.

1905 წლიდან იწყება მისი რევოლუციური მოღვაწეობა. როგორც პოეტი ავტობიოგრაფიაში წერს, იგი მუშაობდა პროპაგანდისტად აბაშის, ბანძისა და მარტვილის რაიონებში. 1906 წლის დამდეგს იგი დააპატიმრეს და ჯერ ოლონეცისა და შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. 1908 წელს ასტრახანის გუბერნიაში გადმოიყვანეს. ამავე წელს, ქუთაისში სამხედრო წესების მოხსნის გამო, გაათავისუფლეს.

საინტერესო მოგონებას გვაწვდის ამ ფაქტებთან დაკავშირებით პოეტის თანამედროვე: "იმერეთში და სამეგრელოში რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ქუთაისში მოეწყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. მთავარი ხელმძღვანელი მოძრაობისა სამეგრელოში იყო დათიკო ქავთარაძე. მასთან ერთად სამეგრელოში მუშაობდნენ: ვიქტორ თევზაია, ბარნაბე ძველაია, კოწია ქავთარაძე, ბესარიონ ნოდია, ვლადიმერ დემურია, ლუკა დავითაია, ვანო ესვანჯია,

იასონ ჩიხლაძე, ძმები ისმაილ და ანდრო ფაღავები, ძმები ილიკო და ფარნა გეგელიები, მალაქია დიხამინჯია, იოსებ ციბაძე, საშა ჩოჩია (აბაშელი), გიორგი მაღნარაძე. . . . და სხვები''. (თ. ჟღენტი, 1905 წელი სამეგრელოში. 1929, გვლ. 11)

ალექსანდრე აბაშელსაც, როგორც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ხშირად უხდებოდა არალეგალური ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ კონსტანტინე გამსახურდიას მოგონებას:

''ეს იყო პირველი რევოლუციის ხანა. . . მთელი საღამო გამალებული თვალს ვადევნებდი ჩვენს ოჯახში დასამალავად მოსულ შავგვრემან ჭაბუკს, რომელიც მოკრძალებულად ესაუბრებოდა ბუხრის წინ მამაჩემს. ხანაც თავის მშვენიერ თეთრ კბილებს მიანათებდა ხოლმე ჩემს უფროს ძმას, მის თანამებრძოლსა და მეგობარს, ალექსანდრეს. ბევრს ლაპარაკობდა თავისი ამხანაგების ვაჟკაცობისა სიჩაუქის გამო, ხოლო საკუთარ მიღწევებისათვის გამოკითხვის დროსაც დუმდა. . . ამ პირმშვენიერი უცნობის მაგალითმა პირველად დამარწმუნა ჩემს სიცოცხლეში, რომ ხშირად ვაჟკაცური სული ბუდობს ხოლმე ფაქიზ სულშიაც''. (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 1963, გვ. 470-471.)

ეს სტუმარი კაცი, რომელმაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მწერალზე, გახლდათ ალექსანდრე აბაშელი.

ალექსანდრე აბაშელის ამ პერიოდის რევოლუციურ მუშაობაზე საყურადღებო ცნობები გამოქვეყნა ალ. კოკაიამ, რომელსაც მიუკვლევია პოეტის თანამედროვეებისათვის და მათგან ჩაუწერია მოგონებები. ისინი აღნიშნავენ, რომ 1905 წლის მაისს სოფელ წყემში, ქუჩაში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოვისა საშა ჩოჩია, რომელმაც ხალხს მოუწოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ალექსანდრე აბაშელი მოგვიანებით ასე იგონებს ცხრაას ხუთი წლის დღეებს:

წყლის პირს მიტინგი. სიტყვებში იწვის
მეფის ერობა უარყოფილი.
(ხალხს რაც სჭირია - თვით უკვეთ იცის,
ქვეყანა გქვია თუ საპყრობილე?)
მიტინგზე სახე მარქსის, ბებელის,
წითელ დროშებით გადმოფენილი.
შემდეგ. . . უდროო მატარებელი,
ტეხურის ხიდზე გადაფრენილი.
საშიშ ფურცლებით ავსილი უბე,
თვალები ცეცხლით შემოხაზული,
მარსელიოზით მგრგვინავი კუპე
სამი ჟანდარმით გადარაზული.

გადასახლებაში ყოფნის პერიოდს ალ. აბაშელის ცხოვრებაში უქმად არ ჩაუვლია. შორეულ მხარეში, სამშობლოს მოშორებულ პოეტს ბევრი უმუშავია ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ საკითხებზე, ასტრონომიულ პრობლემებზე. მას შემდგომ ამ წლებთან დაკავშირებით განზრახული ჰქონია რომანის დაწერად, რაც ბოლომდე ვერ განუხორციელებია.

1908 წელს საპატიმროდან გათავისუფლებული პოეტი თბილისში ჩამოვიდა. მთლი წელიწადი უადგილოდ იყო. 1909 წელს. გ. ამირეჯიბმა გაზეთ ''ზაკავკაზიეს''

დამტარებლად მიიღო. 1910 წელს ‘‘ნოვაია რეჩის’‘ რედაქტორმა პ. გოთუამ მისი რუსული ლექსების ბეჭდვა დაიწყო.

თავშესაფარი და პატარა სამსახური პოვა, მართალია რუსული გაზეთის რედაქციაში, მაგრამ ქართველ ინტელიგენტთა შორის მან იგრძნო თავისი თანამემამულეების, ქართველების გულთბილი დამოკიდებულება, მზრუნველობაც კი. გაზ. ‘‘ზაკავკაზიეს’‘ რედაქტორს პარმენ გოთუამ კორექტორობა შესთავაზა და რუსული ლექსებიც დაუბეჭდა თავისი სიძის, ნოე ჩხიკვაძის, მეშვეობით. გაეცნო სხვა პოეტებსაც, დაიწყო მათი ლექსების კითხვა ქართულად, ეს საკმარისი იყო, რომ მის ფსიქიკაში, მის არსებაში შებრუნება მომხდარიყო.

ი. ვართაგავა იგონებს იოსებ იმედაშვილის ნათქვამს: ‘‘ი. იმედაშვილმა მომაწოდა ცნობა აბაშელის პირველი ქართული ლექსის ‘‘შავი აჩრდილის’‘ დაბეჭდვის შესახებ: ‘‘ერთ-დღეს, - მიამბო იოსებმა, რედაქციაში (‘‘თეატრი და ცხოვრება’‘) შემოვიდა ნოე ჩხიკვაძე, მასთან იყო ერთი ლამაზი ახალგაზრდა. ნოემ გადმომცა ლექსი და მითხრა: ‘‘აი, ამ ყმაწვილის რუსული ლექსის თარგმანი’‘ და მთხოვა ჟურნალში დამებეჭდა. ‘‘ეს ყმაწვილი, ავტორი, ქართველია-მეთქი?’‘ - ვკითხე, ‘‘ქართველიაო’‘ - მიპასუხა. ‘‘კარგი, ამ ლექსს დავბეჭდავ, მაგრამ ამ ყმაწვილს ვთხოვ, რუსულად წერას თავი დაანებოს და ჩემი ჟურნალისათვის ერთი კარგი ლექსი ქართულად დამიწეროს. მართლაც, არ გასულა სამი დღე და ალ. აბაშელმა მოიტანა ქართული ლექსი ‘‘შავი აჩრდილი’‘ და მეც დაპირებისამებრ დავბეჭდე’‘. (ი. ვართაგავა, ‘‘წერილები და მოგონებები’‘, ალ. აბაშელი, 1975 ,.გვ, 48).

ი. ვართაგავა ამ ლექსს კარგ შეფასებას აძლევს, ფორმა ლაზათით, რითმი - უზადო, ენა-ნამდვილი ქართული, ლიტერატურული ეპითეტები, ტროპები - ხატოვანი. მართლაც, ეს ლექსი საკმაოდ მაღალი პოეტური გემოვნებით და დახვეწილი ქართულითაა დაწერილი:

პიტალო თხემზე ანაფრენი მსუბუქ ნიავით,
მსუბუქ ნიავით ცოდვილ მიწას დაშორებული,
ვიდექ ბედისა მომდურავი კაცთა სიავით,
კაცთა სიავით გულნატკენი, დაღონებული.

ვარსკვლავთა გუნდი ცას ეკვროდა სხივებმიმქრალი,
სხივებმიმქრალი სდარაჯობდა სიცოცხლის საზღვარს,
და ცის უფსკრულში მიმოჰქროდა ფიქრთ ნაპერწკალი,
ფიქრთ ნაპერწკალი, მოწყვეტილი დროთა ნიაღვარს. . .

სოფელს ეძინა, არ ისმოდა ქვითინი მწარე,
ქვითინი მწარე, მიწის მკერდით ამონაკვნესი,
ნისლს დაებურა მშობლიური ობოლი მხარე,
ობოლი მხარე სისხლში ნაბან, ცრემლში ნალესი!. . .

ლექსი დაწერილია 1910 წელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ ყოფილა ალ. აბაშელის პირველი ლექსი ქართულ ენაზე, თხზულებათა კრებულში შესულია 1909 წლით დათარიღებული ორი ლექსი: ‘‘ცეცხლი’‘ და ‘‘ზამთარი და ზაფხული’‘, ეს უკანასკნელი უსათაუროდ დაბეჭდილია 1909 წელს გაზეთ ‘‘დროების’‘ 22 მარტის ნომერში, პარნასელის ფსევდონიმით. ლექსში ალეგორიულად არის მინიშნებული სამშობლოს ბედზე, ნაჩვენებია სიბნელესა და სინათლეს შორის ბრძოლა, მონობით

დამონებული, სასომიხდილი ქვეყნის, ოდესღაც აყვავებულის, აწ საცოდავად გაძარცვული სახე. თოვლით შესუდრულ, უიმედობით მოცულ ქვეყანას ნელა, შეუმჩნევლად უახლოვდება მზის ნათელი, რომელმაც ‘‘ბნელ-უკუნეთი გააქრო, თოვლ-ყინვას ცრემლი ადინა და კლდის ნაპრალზე ჩუხჩუხით ჩანჩქერად გადმოადინა. იას სიცოცხლე ჩაჰბერა, ვარდს გაუნათა სულ-გული, სასიყვარულო ჰანგებით ააჭიკჭიკა ბულბული, ტყე-ველი ააზურმუხტა, ააბიბინა მთა-ბარი, გაზაფხულს ტახტი დაუდგა, დაასამარა ზამთარი’‘.

1910 წლიდან ალექსანდრე აბაშელის ლექსები სისტემატურად იბეჭდება იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში (გას. ‘‘თემი’‘, გაზ. ‘‘მნათობი’‘, ჟურნ. ‘‘სალამური’‘ და სხვ.).

პოეტის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებთან დაკავშირებით საყურადღებოა გაზეთ ‘‘თემის’‘ სარედაქციო წერილი ‘‘ნიმუში უტყუარი ნიჭისა’‘, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში უკანასკნელ ხანს ძალიან გამრავლდა მელექსეობა. თანამედროვე მკითხველის გემოვნება კი გაიზარდა და ამის გამო ახლანდელ პოეტს დიდი განათლება და მომზადება სჭირდება, რათა მან რაიმე კვალი დააჩნიოს ლიტერატურის განვითარებას. ჯერ ერთი, პოეტის ლექსსა თუ პოემაში გამოსახული უნდა იყოს ნამდვილი პოეტური აზრი, ლამაზად ჩამოყალიბებული გარეგანი ფორმით, კარგი ქართულით დაწერილი, რომლის სიმდიდრეც უკვე ცნობილია შოთას და აკაკის შემდეგ. ამავე დროს, რასაკვირველია, ლექსი გაჟღენთილი უნდა იყოს მოქალაქეობრივი, მამულიშვილური გრძნობით, რომ მკითხველის გული აღაფრთოვანოს, გაუღვიძოს მას კეთილშობილური გრძნობები და აზრები. ამ მოთხოვნილების მიხედვით თუ შევხედავთ დღევანდელ ლიტერატურას, საქმე არცთუ ისე სახარბიელოდ ჩანს. მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ აუარებელ არაფრად მოსახმარ მასალაში იმალება ზოგჯერ ობოლი მარგალიტი. ამგვარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლექსი ს. აბაშელის ‘‘ჩაჰქრა დილა’‘, დასტამბული ჟურნალ ‘‘სალამურის’‘ უკანასკნელ ნომერში. ჩვენ არ შეგვეძლო არ მოგვეყვანა ეს ნაწარმოები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც შესანიშნავი ნიმუში უტყუარი პოეტური ნიჭისა’‘. (გაზ. ‘‘თემი’‘., 1911, №9) შემდეგ წერილში საუბარია პოეტის შემოქმედებით გზაზე და გამოთქმულია გულწრფელი სურვილები და რჩევა, რომ აბაშელმა წეროს მხოლოდ ქართულად, რათა ემსახუროს მშობლიური ლიტერატურის აღორძინების საქმეს, რადგან ყველამ იცის ის ჭეშმარიტება, რომ ”აყვავებული სამშობლო ლიტერატურა გაწმენდილი ჰაერია ხალხისათვის, სადაც მას შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს. თემის რედაქციის ეს შენიშვნა სამართალი იყო, რადგან პოეტი 1909-1910 წლებში უფრო მეტად რუსულ ენაზე აქვეყნებდა ლექსებს.

შემდეგ წერილში ლექსის ”ჩაჰქრა დილა” ღირსებაზეა და ნათქვამია: ”ს. აბაშელის შემოქმედებამ ისე წაგვახალისა, რომ ჩვენი გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა დანიშნოს ფულის პრემია საუკეთესო ქართული ლექსისათვის, რომელიც დაწერილი იქნება 1911 წლის განმავლობაში. ამისათვის ცალკე ჟიური იქნება დაარსებული. პრემიის რაოდენობა და პირობები და ჟიურის წევრების სახელები ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული”. (გაზ. ”თემი”., 1911, №9)

ამ კონკურსმა სიხარული და გამარჯვება მოუტანა პოეტს შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში. გაზეთ ”თემის” მოწყობილი ეს სალიტერატურო კონკურსი გამოცხადდა 1911 წლის აპრილის ნომერში. ამავე ნომერში ქვეყნდება კონკურსის პირობები და ჟიურის შემადგენლობა, რომელიც ფრიად სოლიდური იყო: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, კიტა აბაშიძე, იაკობ ნიკოლაძე, ვლადიმერ ბაქრაძე,

გრიგოლ რცხილაძე (ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის საზოგადოების თავმჯდომარე), ალექსანდრე ყანჩელი (სალიტერატურო წრის "იკაროსის" თავმჯდომარე), ნიკოლოზ ქართველიშვილი (ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე) და აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები.

1911 წლის 28 ივნისს შედგა ჟიურის სხდომა, რომელმაც განიხილა საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსები, ჟიურიმ თავიდან გადაწყვიტა ლექსის დაჯილდოების დროს ეხელმძღვანელა მხოლოდ აბსოლუტურის საზომით, რაც იმას ნიშნავდა, რომ პრემია მიენიჭებოდა არა წარდგენილ ლექსთა შორის საუკეთესოს, არამედ იმას, რომელიც საზოგადოდ იქნება მიჩნეული კარგ ლექსად. ასეთ პირობებში ჟიურიმ მეორე პრემია მიანიჭა "სატურნის" ფსევდონიმით წარდგენილ ლექსს "მზე". სხვა ლექსები არ იქნა მიჩნეული პრემიის ღირსად.

დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ რჩებოდა "სატურნის" ფსევდონიმის ვინაობა. 1912 წლის 9 იანვრის გაზეთ "თემში" გამოაცხადეს გამარჯვებული პოეტის დაჯილდოების დღე (16 იანვარი). საგანგებოდ მოწყობილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოს საპატიო თავმჯდომარე იყო აკაკი წერეთელი. "საღამოს ბოლოს მოხდა პოეტის დაჯილდოება. საზოგადოება დიდი მოუთმენლობით მოელოდა საღამოს ამ ნაწილს. გრ. დიასამიძემ, გაზეთ "თემის" რედაქტორ-გამომცემელმა, განმარტა "თემის" მიერ გამართული კონკურსის პირობები და აღნიშნა, რომ ამგვარი დღესასწაული პირველია. წაიკითხა აგრეთვე დაჯილდოებული ლექსი "მზე" და გადასცა ბატონ აკაკის კონვერტი, რომელშიც ავტორის ვინაობა იყო დაცული. აკაკიმ კონვერტი გახსნა და გამოაცხადა, რომ ავტორის სახელი ს. აბაშელია. დიდი ტაშისკვრა ატყდა. ავტორი ამ დროს დარბაზში არ იყო და გრ. დიასამიძემ მოიწვია ის სცენაზე პრემიის მისაღებად. (გაზ. "თემი"., 1912, №56)

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაზეთ "თემმა" გამოაქვეყნა ეს ლექსი და პოეტის მოკლე ბიოგრაფია. პრემია პოეტისათვის თავად აკაკის გადაუცია, რასაც, როგორც უდიდეს ბედნიერებას, იგონებს შემდგომ ალექსანდრე აბაშელი: "როცა საღამოს ოფიციალური ნაწილი დასრულდა, ჟიურის სხდომა გახსნა აკაკიმ, რომელსაც გადასცეს დევიზიანი კონვერტი გასახსნელად. მე ვიცოდი, რომ დევიზი ჩემი იყო, მაგრამ ამ წუთს შიშმა შემიპყრო: ვაითუ, კიდევ სხვა ვინმეს ჰქონდეს ასეთი დევიზი-მეთქი. მე მომზადებული მოვედი თეატრში პრემიისა და ოვაციის მისაღებად და მოკლე სიტყვაც მქონდა მომარაგებული. სიტყვას, ვიდრე სარამოს საკონცერტო-სალიტერატურო ნაწილი მიმდინარეობდა, ჩუმად გულში ვიზეპირებდი. . .

აკაკიმ გახსნა კონვერტი, მოიმარჯვა სათვალე და წაიკითხა ჩემი სახელი. ატყდა ტაშისცემა. მე სცენაზე გამიწვიეს, გავვარდი ფოიეში და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გავქცეულიყავი თეატრიდან. ისე ამიტანა აკაკისთან პირისპირ წარდგენის მოულოდნელმა შიშმა. არ მახსოვს, როგორ გავჩნდი სცენაზე. ვხედავდი აკაკის თეთრად მოელვარე სახეს, ღიმილით რომ მომჩერებოდა.

აკაკი წამოდგა, გადმომცა ფულიანი კონვერტი (პრემია), ჩამომართვა ხელი და მომილოცა. არასოდეს დამავიწყდება ის წრეგარღვეული ბედნიერების გრძნობა, რაც იმ წუთში განვიცადე. ყველაფერი ამ ქვეყნად შედარებითია და განცდათა სიმძაფრეც განისაზღვრება მოლოდინის იმ დაძაბულობით, რომლითც ითვისებ ამა თუ იმ ფაქტს. იმ წუთში მე იმდენად სავსე ვიყავი დაუძლეველი მღელვარებით, რომ მეშინოდა გული არ წამსვლოდა. ორი თუ სამი წლის წინათ ამავე თეატრში ქანდარიდან დავცქეროდი აკაკის ნათელსა და მიუწვდომელ სახეს და შურით შევყურებდი მის გარშემო მოფუსფუსე ხალხს. ამ წუთში კი მე ვიდექ აკაკის წინ

თავდახრილი, ბედნიერებისაგან ატოკებული და ვგრძნობდი, რომ ამიერიდან მეც შევდიოდი, თუნდაც უმნიშვნელო და უკანასკნელ წევრად ქართული პოეზიის ბრწყინვალე სამთავროში, სადაც მეფობდა და ბრძანდებოდა იმ დროს აკაკი. უმწვერვალეს მღელვარების ბურანში მყოფმა თითქოს ვიგრძენი, როგორ მოსწყდა კაკის ნათელ შარავანდედს ერთი პატარა სხივი და დამეცა თავზე". (ალ. აბაშელი, "აკაკის შარავანდედი", "მნათობი" , 1935, №2, გვ. 90-91).

აკაკის მიმართ ეს ამაღლებული განცდა სამუდამოდ გაჰყვა პოეტს. ცნობილია აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილი და მის მშობლიურ სოფელში პირველად წაკითხული ლექსი აბაშელისა.

"ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით გარს ვეხვევით,
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით.
ჩვენ სიმები შენი ჩანგის დავირიგეთ თითო-თითოდ.
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ.
ჩვენც ავკინძავთ ჩვენს სიმღერებს, ყვავილებით დაგამშვენებთ
და გვირგვინად შეკრულ ჰანგებს შენს საფლავზე დავასვენებთ".

წლების მერე, ასაკში შესული პოეტი, კვლავ იმავე გრძნობით მიმართავს აკაკის:

ასე მგონია, შენ დამძახე,
მე შენზე ფიქრი არ მომწყინდება. . .
დავხუჭავ თვალებს - და შენი სახე
გულში მზესავით ამობრწყინდება.

როგორც ალ. აბაშელი იგონებს, აკაკის მწერედაც გაუკრიტიკებია ახალგაზრდა პოეტი "აკვიატებული სიტყვების" გამო და ცალკეულ გამოთქმებზე, რაზედაც აბაშელი აღნიშნავს, რუსულის გავლენით მქონდა ამგვარად მისი დაცვა შეუძლებელი იყო და ვერაფერი ვთქვიო.

1913 წლის დასაწყისში გაზეთ "თემის" რედაქციამ წლიურ ხელისმომწერთა წასახალისებლად დააწესა ორი პრემია: 1. ს. აბაშელის ლექსთა კრებული "მზის სიცილი", ავტორის სურათით, ბიოგრაფიითა და ივ. გომართელის კრიტიკული წერილით; 2. კ. მაყაშვილის ლექსთა კრებული.

1923 წელს გამოიცა ალ. აბაშელის ლექსების მეორე კრებული "ანთებული ხეივანი".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოეტი პირველი წლებიდანვე საგამომცემლო საქმეს ემსახურებოდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართვლ კლასიკოსთა გამოცემის საქმეში.

ალ. აბაშელი პ. ინგოროყვასთან ერთად, იყო რედაქტორი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულისა.

ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქტორობით 1925-1928 წლებში გამოიცა ა. წერეთლის "რჩეული ნაწერების" ოთხტომეული. მოგვიანებით (1940-1941) იგი აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის პირველი და მეორე ტომის რედაქტორია პავლე ინგოროყვასთან ერთად.

ალ. აბაშელს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ალ. ყაზბეგის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საქმეში. დიდია მისი წვლილი აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოცემის საქმეში. ვაჟას შვიდტომეულის უკანასკნელი მეშვიდე ტომი გამოიცა ალ. აბაშელის სიკვდილის შემდეგ, 1956 წელს. აღნიშნულ ტომს სარედაქციო შენიშვნები დაურთო პავლე ინგოროყვამ, რომელმაც აღნიშნა: "განსვენებულმა პოეტმა ალ. აბაშელმა უდიდესი ღვაწლი დასდო ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას, შეგროვებას და სისტემაში მოყვანას, მათს გამოქვეყნებას". (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, 1956, გვ. 432).

ალ. აბაშელს სისტემატური მიმოწერა ჰქონდა რუს მწერლებთან, გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. აკეთებდა ქართველ პოეტთა პწკარედებს. ამ საქმეში მისი უაღრესი კეთილსინდისიერების მიმანიშნებელია ის მადლიერების გრძნობა, რაც არაერთ ქართველ მწერალს გამოუხატავს ალ. აბაშელის მიმართ. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ი. გრიშაშვილის ლექსები, რომლებიც "ზარია ვოსტოკას" რედაქციისთვის გადაუცია პოეტს. ამ ლექსებს აქვს ი. გრიშაშვილის წარწერა: "თუ აბაშელი იმუშავებს ამ თარგმანზე, გთხოვთ ჩემი ლექსების თარგმანები მას მიანდოთ". ამავე ფონდში დაცულია გალაკტიონის აბაშელთან გაგზავნილი ქართული ლექსი, რომელსაც აქვს ასეთი მინაწერი: "ძვირფასო საშა, გიგზავნი ლექსს. გააკეთე, როგორც საჭიროდ დაინახო, როგორც აჯობებს. მე შენ ყოველთვის გენდობი: ვიცი, რომ იშვიათად საქმეში ჩახედული კაცი ხარ".

ალ. აბაშელი მსახურობდა ადგილებზე: ჟურნალ "წიგნის" პასუხისმგებელი მდივნად, ჟურნალ "ჩვენი თაობის" რედაქციაში, განსაკუთრებით ხანგრძლივად იმუშავა გამომცემლობა "ზარია ვოსტოკაში", სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი მუშაობდა მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ლიტერატურულ კონსულტანტად. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, იყო უპრეტენზიო, მართლაც "საქმეში ჩახედული" ადამიანი.

1944 წელს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ამავე წელს მას იუბილე გადაუხადეს.

ალ. აბაშელი დამფასებელი იყო როგორც თავისი თანამედროვე, ასევე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებისა. იგი დიდი სიხარულით ხვდებოდა ნიჭიერი მწერლების გამოჩენას. აი, რას წერს ს. ჩიქოვანი: "მაგონდება როდესაც ა. კალანდაძე მწერალთა სასახლეში პირველად ლექსებს კითხულობდა, ალ. აბაშელი მსმენელთა შორის იმყოფებოდა. სიხარულით ცას ეწეოდა, ადგილზე ვერ ისვენებდა და აღტაცებას საჯაროდ გამოხატავდა".(ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, 1963, გვ. 462).

ალ. აბაშელი თავისი გარეგნული სიფაქიზით და შინაგანი სითბოთი, მდიდარი ინტელექტით და ადამიანური გულისხმიერებით ყველას ხიბლავდა. ასე იგონებენ მას.

"იგი იყო ქართული მწერლობის სინდისი, მისი ზნეობრივი სიმაღლის მაჩვენებელი. იგი იყო უმწიკვლო და სპეტაკი პიროვნება. . . როდესაც იგი მწერალთა კავშირში შემოდიოდა, გეგონებოდათ, სულის სანთელი თან შემოჰქონდა და კეთილი ღიმილი შუქივით წინ მიუძღოდა".

რთულ საზოგადოებრივ ვითარებაში დაიწყო ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ წლებში იგი დაუკავშირდა "დემოკრატიული

პოეზიის” სკოლას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები - ნ. ჩხიკვაძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე და სხვები ერთგულად აგრძელებდნენ ი. ევდოშვილის იდეურ-შემოქმედებით ტრადიციებს. ”ქართველი დემოკრატიული პოეტების შემოქმედებაში”, - წერს კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, - რეაქციული წყობილებისადმი პროტესტის და მძულვარების მოტივებთან ერთად, მძლავრად გამოიხატა უიმედობისა და გულგატეხილობის ის განწყობილებანი, რომელთაც მოიცვეს ინტელიგენციის გარკვეული ფენები რეაქციის წლებში. ასეთი განწყობილებანი ნიადაგს ამზადებდნენ მწერლობაში ანტირეალისტური მიმართულების გავრცელებისათვის, მწერლობის გამოთიშვისათვის რეალური სინამდვილის თემატიკისა და პრობლემებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ”დემოკრატიულ პოეტთა” შორის ასეთი ტენდენცია მოდერნისტული ხელოვნების პოზიციებთან დაახლოებისა, ყველაზე ღრმად და თანმიმდევრულად სწორედ ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაში გამოვლინდა. ამ მხრივ პოეტი დაუახლოვდა ამ პერიოდის პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენლებს: გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, სანდრო შანშიაშვილს, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს რეაქციის წლების ქართულ ლიტერატურაში მოდერნისტულ-დეკადენტური პრინციპების დანერგვაში და ამასთანავე ქართული პოეტური კულტურის განახლებაში. . . ”ალექსანდრე აბაშელი - ერთ-ერთი პიონერი ქართული ”მოდერნისტული პოეზიისა”, - ასე მოიხსენიებს მას თეიმურაზ მაღლაფერიძე, (პერსონალიები, 2006, გვ. 66).

ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებითი ცხოვრების გარდაქმნა, საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციებზე მისი გადმოსვლა ერთბაშად და უმტკივნეულოდ როდი მომხდარა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირველ პერიოდში ალ. აბაშელი წლების მანძილზე იყო ერთ-ერთი მეთაური ე.წ. ”აკადემიური მწერლობის კავშირისა”, რომელიც აერთიანებდა მაშინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილ მწერლებს”. (ბ. ჟღენტი, ალ. აბაშელის თხზულებათა კრებული, I ტ., 1958, ”ალექსანდრე აბაშელი”, გვ. 6,8.)

ამ ლიტერატურულ დაჯგუფებას ძველი მწერლობის კავშირსაც უწოდებენ, მას შემდეგ, რაც საქართველოს მწერალთა კავშირს გამოეყო ახალი მწერლობის კავშირი (1921 წ. ოქტომბერი), დაჯგუფება ჩამოყალიბდა 1922-23 წ.წ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე, ა. ჭუმბაძე. გარდა ამ მწერლებისა დამფუძნებელი კრების (1925) მიერ დამტკიცებულ წევრთა სიაში შედიოდნენ: ვ. გუნია, შ. დადიანი, ხ. ვარდოშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელი, ი. მოსაშვილი, შ. მღვიმელი, ნ. ნიკოლაძე, ი. ტატიშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. ჯაჯანაშვილი, ე. გამგებელი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი და სხვ.

დაჯგუფების შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. ვასილ ბარნოვი და დავით კლდიაშვილი თავიდანვე აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ქართველი ინტელიგენციის აქტიური შემოქმედებით თანამშრომლობის აუცილებლობას.

აკადემიური მწერლობის კავშირის წევრთა მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ მოტივს. ისინი დაინტერესებული იყვნენ და ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა მათი სამშობლოს, ქართული კუტურისა და მწერლობის მომავალი, საქათველოში მომხდარი ძირეული გარდატეხის - საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. ისინი უნდობლად

იყვნენ განწყობილნი ახალი საზოგადოებრივი წყობის მიმართ. მათი დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი ნათლად გამოიკვეთა ჟურნალ "ახალი კავკასიონის" საპროგრამო წერლში "რედაქციისაგან", სადაც გამოთქმული იყო შიში ეროვნული საკითხის გამო: "ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ, ერთი მხრივ, ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლბა, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორე მხრივ, უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოკიდებულების პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას: რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ; რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაქრავდა ქართულს; რომ რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები". (ჟურნალი "ახალი კავკასიონი", 1925, №1-2, გვ.4).

კონსტანტინე გამსახურდია ჟურნალ "ილიონში" მოითხოვდა ახალ პირობებში მთელი ეროვნული ენერგია კულტურულ ფრონტზე საბძოლველად მივმართოთო: "ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს. საქართველოში კულტურული საალყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურაც. ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება". ეს იწვევდა მწვავე კრიტიკას პროლეტარულ მწერლებისაგან და უნდობლობას ხელისუფლებისაგან.

ალექსანდრე აბაშელი აკადემიური მწერლობის პრეზიდიუმში შედიოდა პავლე ინგოროყვასთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, იოსებ გრიშაშვილთან და არისტო ჭუმბაძესთან ერთად. ამ დაჯგუფების მწერლები გარეთიანებული იყვნენ ჟურნალების: "ხომალდი" (1921-1922), რედაქტორი ალ. აბაშელი, "ლომისის" (1923, სარედაქციო კოლეგია), "ილიონი" (1922-1923, რედ. კ. გამსახურდია), "ახალი კავკასიონი" (1925, რედ. პ. ინგოროყვა), "ლომისის" (1922-1923, რედ. ლ. ქიაჩელი), "საქართველოს სამრეკლოს" (1923, რედ. კ. გამსახურდია) და სხვ.

ალექსანდრე აბაშელზე დაწერილ უკანასკნელ მონოგრაფიულ ნაშრომშიც და საერთოდ ყველგან, სადაც საუბარია პოეტის შესახებ, ნათქვამია, რომ შეცდომა იყო პოეტის ყოყმანი და უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამ შიშისა და უნდობლობის რეალური საფუძველი რომ არსებობდა, ცხადია, ისიც გასაგებია, თუ რატომ ეძლეოდათ მათ ასეთი შეფასება. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ჭეშმარიტად მართალნი იყვნენ, მათთვის ალღოს არ უღალატნია და, ალბათ, ცოტა მეტი სხვებზე გამბედავნიც იყვნენ. ის, თუ ვინ უფრო ადრე დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას და ვინ უფრო გვიან, ალბათ, ბევრს არც ჰმატებს და არც აკლებს მათ ღირსებას, მაგრამ ალ. აბაშელის პრინციპული ხანგრძლივი "სიჯიუტე" ჩვენთვის ცნობილი ფაქტია.

* * *

ალექსანდრე აბაშელის პირველი პოეტური კრებულია ”მზის სიცილი”. მას საფუძვლად უდევს ის იდეურ-მხატვრული კონცეფცია, რომელიც ალეგორიულად გამოიხატა პოეტის პირველ ქართულ ლექსში ”ზამთარი და ზაფხული”.

”მზის სიცილის” ლირიკული გმირი თავისი სოციალური გარემოცვისადმი შეურიგებელი გულისწყრომით არის შეპყრობილი. ის აღფრთოვანება, რაც ქვეყნის განახლების იმედს აღუძრავს. მასში, ის, რისთვისაც თავადაც უბრძოლია, ”წამიერი” ყოფილა. ”ქვესკნელთ სამყაროდან” ამოვარდნილ მძვინვარეს შავი ღრუბლებით დაუბურავს ახლად ამოსული მნათობი. პოეტი იგონებს იმ ბედნიერ წუთებს, როცა ”უკუნეთთან შენაბრძოლი” შვების დილას შესცინოდა ციური მნათობი:

მახსოვს დილა მოციმციმე,
შვების დილა ანათრთოლი,
ციურ მნათობს შესცინოდა
უკუნეთთან შენაბრძოლი.
მზის სხივებში ბანაობდა
ვარდ-ზამზახი და ბელილა. . .
მახსოვს დილა, შვების დილა. . .

მაგრამ ”წუთიერად ანათრთოლი” გამოდგა შვების დილა, ჩაქრა და დაინისლა უეცარი სიხარული, რეალური საფუძველი გამოეცალა:

და დაჩრდილა შვების დილა,
წუთიერად ანათრთოლი,
ცისკიდურზე გამოსახა
შავი ღრუბლის შავი ზოლი. . .
შავბნელ ნისლში მოამწყვდია
ვარდ-ზამბახი და ბელილა,
ჩაჰქრა დილა, შვების დილა.

კრებულში შესულია 63 ლექსი. მთელი წიგნი ძირითადად ერთი პათოსითაა შექმნილი - იმედი და სასოწარკვეთა, ნათელი და ბნელი, ზეციური სინათლე და მიწიერი ტკივილი, მკვეთრად კონტრასტული ფერები და განცდები. წიგნის პირველი შემფასებელი გახლავთ ივანე გომართელი, რომელმაც კრებულს წარუმძღვარა წინასიტყვა ”მზის მგოსანი”. კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს პოეტის ლექსებს, ხედავს მასში ბუნებასთან კავშირით ამაღლებულ სულს ადამიანისას. მისი აზრით, აბაშელი წარმართია; რომელიც თავის გრძნობას მზისადმი ლოცვაში კი არ გამოხატავს, არამედ ნაზ, ტკბილ აღფრთოვანებულ ჰიმნში.

ივ. გომართელი ალ. აბაშელს ”ბუნების ნამდვილ მგოსანს” უწოდებს. ”ბუნებასთან კავშირი ამშვენებს ადამიანს, - წერს იგი, - ზეკაცად ჰხდის მას, რადგანაც თვით ბუნება უმშვენიერესია. . . მან მთელი სამყარო, მთელი კოსმოსი გაახვია თავის მომხიბლავ პოეზიაში, შეიყვარა ის მთელი თავისი არსებით, მოსწყდა დედამიწას, გადაიქცა ბუნების მიჯნურად, ცის სივრცეში დანავარდობს და მზის სხივებისგან საოცნებო სამოსელს უქსოვს თავის შეუდარებელ სატრფოს. . .
მას ცის საიდუმლოს ხილვა უნდა, მას ცის საიდუმლოს ამოკითხვა სწყურია.

განა დედამიწაზე კი ცოტაა საიდუმლო, რომ ცაში არ დაეწყო ძებნა?

დედამიწასაც ბევრი აქვს საიდუმლო, მაგრამ აბაშელს ეს საიდუმლო არ აინტერესებს.

რატომ, რისთვის?

იმიტომ, რომ აბაშელი მარადისობას, უკვდავებას ეძებს და ეტრფის; ის არის პოეტი სამარადისოსი, უკვდავისა. დედამიწაზე კი ყოველივე დროებითია და წარმავალი, ყოველივე მოკვდავია. . . და რადგანაც ყველაზე უფრო უკვდავი, ყველაზე უფრო სამარადისო, ყველაზე დიდებული და მშვენიერი ბუნებაში მზე არის, აბაშელის განსაკუთრებით სატრფიალოსაც მზე წარმოადგენს. (ივ. გომართელი, ”მზის მგოსანი”, ალ. აბაშელის ”მზის სიცილის” წინასიტყვაობა, 1913, გვ. 11.)

ბოლოს კრიტიკოსი აღნიშნავს: ”პოეტს აღარ შეუძლია სიმღერა, რადგანაც ირგვლივ სჩქეფს სისხლნარევი ცრემლთა ნაკადი. მას სურს, შვების ცრემლად დაეფრქვიოს მიძინებულ მაშვრალთ კერას.

მაგრამ იქაც, სადაც აბაშელი სოციალურ კითხვებს გაკვრით ეხება, ის მუდამ თავისებურია. სოციალური კითხვების გადაწყვეტა პოეტს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს ცისა და დედამიწის შერიგებას, რათა ”მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს საიდუმლოს ასახსნელად”. (ივ. გომართელი, ”მზის მგოსანი”, ალ. აბაშელის ”მზის სიცილის” წინასიტყვაობა, 1913, გვ. 11.)

ამ კრებულის შემდგომი შემფასებლები: შ. რატიანი, ბ. ჟღენტი, ს. ჭილაია, დ. ბენაშვილი, ი. ვართაგავა და სხვები კი მსში მხოლოდ სოციალურ საფუძველს ხედავენ. ვფიქრობთ, ერთიც და მეორენიც უკიდურეს დასკვნამდე მიდიან. უფრო მტკიცე არგუმენტი ივ. გომართელის მტკიცებას გააჩნია, თუმცა, აქაც მეტისმეტად გვეჩვენება ”ბუნების მგოსნად” აღიარება პოეტისა. ბუნებასთან მიმართებაში ალ. აბაშელი თავის სულიერ მღელვარებას სოციალურ პრობლემების გამო გამოხატავს არა გაკვრით, არამედ საკმაოდ ღრმად და ნიშანდობლივად. რაც შეეხება იმას, რომ ეს ლექსები მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ საფუძველს შეიცავენ, უმართებულოდ მიგვაჩნია. თვით მიძღვნილ ლექსებშიც, რომელსაც არაერი აქვს საერთო სოციალურ თემებთან, სატრფიალო ლირიკაშიც, რომელსაც ალეგორიასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ისევ და ისევ მზის კულტი დომინირებს.

საგულისხმოა პოეტის მიერ კრებულისთვის წამძღვარებული წინასიტყვა:

”მე ვხედავ, როგორ ჰქრებოდნენ ცაზე ვარსკვლავნი.
ვხედავდი, როგორ იშლებოდა ღამის ფრთების შეჰსუდრულ ცის
თაღზე შავი აჩრდილი სიკვდილისა.
შიშით მოცული დედამიწა პირს არიდებდა წყვდიადის სახეს
და ნისლის მკრთალ ტალღებში ეხვეოდა.
ჯამის სიჩუმე იპყრობდა სოფლის უიმედო ქვითინს და
ფრთადანამულ ნიავს უსასოო ჩურჩულს ყურს უგდებდა
ბნელში მთვლემარე არე მიწისა.
მაგრამ აჰა, ცისკიდურზე ღამის სამოსს ცეცხლი წაეკიდა.
მთის მწვერვალს მოესმა შორეული სიცილი ამომავალი მზისა
და ვარდისფრად ააელვარა საუკუნოებით ნაკურთხი
თოვლის გვიერგვინი.
მეც გავიგონე ზეამფრენი რეკა მთის გადაღმა მონავარდე
სხივებისა. . .
ვმღერი.
მინდა სხვებსაც გავაგონო სხივგაშლილ განთიადის ოქროს
სიმთა წკრიალი.

ვიცი, სუსტია ჩემი ხმა, ვით სისინი ხევში მომწყვდეულ ნიავისა,
და ფერმკრთალია სიტყვა ჩემი, ვით ფოთოლი მწუხრის ჟამს
გაშლილი ზამბახისა.

მაგრამ ის, ვისაც განუცდია საშინელება უძილო ღამის შეუცნობელი დუმილისა და, წყვდიადით დაჩრდილულს, უნახავს მოულოდნელი ციალი ფრთააშვებული განთიადისა, იგრძნობს ჩემი ქნარის სიმებში დატყვევებულ უჩინარ ხმათა ჰარმონიას და მიხვდება მასში დაფარულ სულის ღაღადს".

ცხადია, პოეტს აინტერესებს, პირველ ყოვლისა, მზის, როგორც მარადიულის და უკვდავის, საიდუმლოს შეცნობა, ამასთან ტანჯული ყოფიერების კავშირი მასთან, ადამიანის მწუხარე სულის ლტოლვა ნათლისაკენ, რომელსაც გზადაგზა ბარიერად აღემართება ხან ქვესკნელიდან ამოვარდნილი ქარიშხალი, ხანაც ღრუბელთა ჯარი. პოეტისათვის მზე თავისი მარადიული ნათელით არის ძალის მომნიჭებელი ბოროტებასთან იმ უთანასწორო ბრძოლაში, რაც არაიშვიათია ადამიანის მოდგმისათვის. მისი ლირიკული გმირი, მართალ წარმართივით შეჰხარის მზეს, რომ არ ჩაიძიროს იმ სევდასა და წუხილში, რაც ცხოვრებას განუმზადებია მისთვის. პოეტი არ კარგავს რეალობის გრძნობას, რწმენა მისი ფანატიკურ ოპტიმიზმამდე არ მიდის, ობიექტურად აღიქვამს სოციალურ ფონს და საკმაოდ ზომიერია და ჩვეულებრივიც კი მისი სევდა. ზოგჯერ აღტაცებითაც ნათქვამ სიტყვებში იგრძნობა სიკვდილ-სიცოცხლის გააზრება, წარმავალისა და მარადიულის შეპირისპირებაში ადამიანის უმწეობაც ჩანს და ბედთან გაბრძოლების ცდაც.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ლექსები ჩვენი პოეზიის შედევრებია, თუნდაც ერთი რომელიმე მათგანი, მაგრამ მთლიანობაში უთუოდ იგრძნობა პოეტური სულის სიფაქიზე, გულწრფელობა, საკმაოდ დახვეწილი გემოვნება, პასუხისმგებლობა შემოქმედისა ქართული სიტყვის წინაშე, თუ შეიძლება ასე ითქვას.

მთელი კრებული ერთიანი მონოლოგიის სახითაა შექმნილი. ამქვეყნიური მოთქმა-ქვითინი გლოვის ჰიმნად აჟღერებულა მიწასა და ზეცას შორის. მაგრამ ზოგჯერ ის სიმიც წყდება, მათ შორის რომ უხილავად გაბმულა და "მწარე ბედში ცრემლისმფრქვეველს" ხანდახან სიხარულს რომ მოჰგვრის. არაფერია მარადიული, - ასკვნის პოეტი, მხოლოდ სულია უკვდვი და ერთადერთი ნუგეში მოკვდავისა ესღაა:

გამგამ ზეცამ მიწის კვნესას სიმფონიით გამოსძახა.
სული ცოცხლობს, უკვდავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა,
ვით მოკვდება, ვინც სამოთხის აღმაფრენი სახე ნახა,
ვინც სულისა კვეთებაში უკვდავება გამოსახა?!
("გაწყდა სიმი").

წარმავლობის ფიქრი მძაფრად არის აღბეჭდილი სხვა ლექსებშიც. მხოლოდ ჟამთა ქროლვაა უსასრულო. ლექსში "ცეცხლი" პოეტი სიმბოლოებით და მეტაფორებით წარმოსახავს თავის განცდებს, სიკვდილ-სიცოცხლის არსში გასარკვევად დასმულ მტკივნეულ კითხვებს და ამავე კითხვების პასუხებს:

ჟამი მიჰქრის, ჟამი კვდება, ცეცხლით ქმნილი ცეცხლში ქრება,
ცეცხლად ღვივის ვარსკვლავთ კრება, მარიხი და ოტარიდი,
ცეცხლი არის მხოლოდ ერთი - რღვევის ძალა, რისხვის ღმერთი,
სამივ დროთა შემაერთი, არსებობის გზა და ხიდი.

"მზის სიცილის" თითქმის ყველა ლექსში პოეტური გამოსახულების უშუალო საგანი ბუნებაა, რომელიც ყოველთვის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა.

ლირიკული გმირის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, სოციალური თვალსაზრისით ბუნებასთან მიმართებაშია გადაწყვეტილი. პოეტის პალიტრა ისეთივე მუქი და პირქუშია, როგორც თავად მისი განწყობილება. ლექსების მუსიკალური ჟღერადობა გამსჭვალულია ღრმა დრამატიზმით. რიტმი ხან შენელებულა, ხან - პირიქით, იმისდა მიხედვით, თუ ბუნების რომელ მოვლენას, რა ხასიათს და სახეს გამოხატავს იგი:

შორით გაისმა ზარის ხმა,
ცას ჰიმნი მოსწყდა ღვთიური,
სხივი აკრთოლდა, ათრთოლდა,
აჟღერდა ჩანგი ციური.
სხივთა კისკისმა რისხვის ხმა
ჩაახშო დემონიური,
ჩრდილი გაქვავდა, აყვავდა
გულისთქმა ტიტანიური".

("მზის წიაღში")

ამავე ლექსის მომდევნო სტრიქონები კი სათქმელის შესაფერისი პათეტიკით და რიტმით არის დაწერილი:

მზევ, სხივ-მნათო, შენსკენ მივეჩქარები!
შენს გულ-მკერდზე მსურს ავაწყო სიმები;
მეც ტოროლას ფრენით დავედარები,
რომ ტკბილ ხმებში ჩავაწვიმო სიმები.

"მზის წიაღში" მძაფრად წარმოსახავს ლირიკული გმირის სულიერ წყობას. მიწის მკერდიდან უიმედოდ მოწყვეტილი, შხამით აღვსილი სევდის თასით დაეძებს იგი მზის სინათლეს, "ცით წარმოგზავნილ იმედს" და, მიუხედავად უმძიმესი სულიერი მდგომარეობისა, არ კარგავს რწმენას, რომ: "მზე ამოვა, მოვლენილი სიცოცხლის მცველად" და "რომ სხივთ ისარს მკერდს მივუშვერ, ხელებგაშლილი, მზისკენ ავაფრენ სულს განწმენდილს ოქროს ფრინველათ - იმ წამსვე გვერდით გამიჩნდება შავი აჩრდილი და ჩამჩურჩულებს: "შენთან ვარ მეც განუყრელად!" . .

პოეტი არა მარტო ხატავს ბუნების მრავალსახოვან სურათებს, არამედ გვიჩვენებს იმის ადამიანურ მოქმედებას, გაპიროვნების მხატვრული საშუალებით იგი ამას ოსტატურად ახერხებს:

მალე ვერცხლის თმას ძირს გადმოშლის დილის ცისკარი,
მოპარულ სხივებს მთვარე მორცხვად გააბევს ველად,
ცეცხლის მახვილით გაიღება ლაჟვარდ ცის კარი
და მზეც ამოვა, მოვლენილი სიცოცხლის მცველად.

ლექსის გარეგნულ ფორმაზე ზრუნვა ნიშანდობლივია ამ კრებულისათვის. პოეტი ხშირად მიმართავს ალიტერაციას, რაც უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს:

ნისლის ნაკვეთი ნარნარ ნიას
ჩამქრალ ჩრდილად ჩაჰკვდომოდა,
ბუჩქნარ-ბაღში ბროლ-ბილილას

მწვანე მოლი მოჰფენოდა.
. . . . . .
ფრთოსან ფიქრთა ფეიქარი
ქნარზე ქროლვით ქენჯნას ქსოვდ,
ზურმუხტ ზრახვით ზვირთთა ზარი
წავი შიშის შრიალს შობდა.
("განთიადის მოლოდინში").

პოეტი უხვად და მოხდენილად იყენებს ეპითეტებს, განსაკუთრებით მზის სიდიადის წარმოსახვისას: მზე - "მნათობთა მეფე", "ცხოველმყოფელი", "სიცოცხლის წყარო", "საკურთხევლის ცეცხლი დიადი", "სხივოსანი ზღვა" და ა.შ.

მზის მშვენიერება პოეტისათვის უფრო იმით არის მიმზიდველი, რომ იგი თავის სხივებში ადამიანის სულის სათუთ სიმებს იწნავს, ქვეყანას დილას უნათებს, ღამის წყვდიადს ნათელი მოსავს:

შენსკენ ისწრაფვის, შენით ცოცხლობს ქვეყნად ყოველი,
მხეცი, ფრთოსანი, ნაზი ია პირმოღიმარი,
უსულო მტვერი, მობიბინე ზურმუხტ ტყე-ველი,
ზღვის ცელქი ტალღა, დილის ცვარი, ცრემლად ნაბანი.

მაგრამ უფრო ხშირად "მზის სიცილში" ზეციურისკენ სწრაფვის, ქვეყნიური ცხოვრებისაგან გაქცევის, მისგან დაშორების იდეა მეორდება:

განვლო ჟამმა, ცა გამოჩნდა,
დრომ შემახო თავის ფრთები,
სულ მოსწყვიტა მონის ჯაჭვი,
გამაგონა სულ სხვა ხმები.
ფრთა შემასხა ნიავქარის,
მაღლა ცისკენ გამიტაცა,
დამავიწყა მისი კვნესა,
დამავიწყა თვით მიწაცა.

პოეტი ადიდებს და უმღერის მზის სიდიადეს. იგი ქვეყნიურ საწყისზე მაღლა დგას, დროის და სივრცის მიღმა, სიკვდილ-სიცოცხლეზე ამაღლებული, მარადიული და უკვდავი. მას არც თავისი დასაწყისი ახსოვს და არც დასასრულის ეშინია. ამიტომაც ილტვის მისკენ მარად მიწიერი ცხოვრებით გაწბილებული სული:

მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა,
მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ჟღერით ააძგერა!
დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი!
ნეტავ იმას, ვისაც ესმის აღმაფრენი მზის სიცილი.
("მზის სიცილი").

ეს სტრიქონები პოეტმა თავის ლექსთა პირველ კრებულს წარუმძღვარა და ამით თავისი პოეტური მსოფლმხედველობა გამოხატა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე აბაშელი "მზის სიცილში" არ არის რეალობას მოწყვეტილი, არც მხოლოდ ბუნების მშვენიერებით გატაცებული, მისთვის ინტერესმოკლებული როდი სამყაროს ბედი:

ნეტავ ვიცოდე, რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,
როცა სამყაროს გარს არტყია უკუნი ბნელი,
თუ კი ვერ დაჰხევს ღრუბლის რიდეს, ფენილს ლურჯ თაღზე?!
ნეტავ ვიცოდე რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,
სხივთა მფრქვეველი?!

("ამონაკვნესი").

პოეტს გარკვეულწილად მომავლის დაკარგული რწმენის აღდგენაც უნდა, რომ "დაკოდილ სულის აჩრდილად" მოევლინოს "მგლოვიარე წუთისოფელს", იმედის ვარსკვლავი აუნთოს ლოდინით განაწამებ მებრძოლთ:

ვნახავ სრულყოფას რწმენისას, გონებით მიუწვდომელსა,
ვიხილავ ბრძოლის ახალ ზღვას, სტიქიონს დაუცხრომელსა,
ჩანგზე ავაწყობ სიმღერას, ღვთიური ცეცხლით წრთობილსა,
შიგ ჩავაშუქებ ხსნის იმედს, ოცნების მხარეს შობილსა.

ლექსებში "თავისუფლება", "საგაზაფხულო", "აღდგომა", "მუზას", "ხმა მომავლიდან", "იმედი" და სხვა ვხვდებით ისეთ განწყობას, რომელშიაც გამოხატულია პოეტის "ზეციური წიაღიდან" "ცოდვილ დედამიწაზე" დაბრუნება:

მზის სხივებს ვიჭერ ეთერის ზღვაზე,
გვირგვინს ვწნავ, გვირგვინს უკვდავებისას
და ქერუბინთა გალობის ხმაზე
ჰიმნს ვუთხზავ მყობადს გამარჯვებისას!

კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული პოეტის ამქვეყნიური ყოფით დაინტერესება ლექსში "მუზას". მწუხრის ნისლით დაჩრდილულა მზისკენ მიმავალი გზა. ცის ვეშაპს დაუტყვევებია, ვინც მას უყვარდა - ცის მნათობი. მისი სურვილია, სხვაგვარად ააჟღეროს ქნარი, რომ თავისი პოეტური სიტყვით შეცვალოს უნუგეშო გლოვის ზარი, რომ ქარიშხალის მახარობლად მოევლინოს თავის ქვეყანას, ახადოს შავი ფარდა "ბრძოლის მწარე გამოცანას". ამიტომაც მიმართავს მუზას:

ძალა მომეც, რომ ტკიბილ ჰანგად
ჩავექსოვო ჩემს სიმღერას,
შვების ცრემლად დავეფრქვიო
მიძინებულ მაშვრალთ კერას;
რომ ჩემს ხმაში გაისმოდეს
წარსულ დროთა ბედის წყევა,
აწმყოს კვნესა და მომავლის
საოცნებო სიმთა რხევა.

ლექსში "აღდგომა" პოეტი უშუალოდ გამოხატავს თავის სათქმელს, პოეტურ მისიას: სხვა ხმაზე უნდა ამქუხარდეს დღეს მისი დაფი და ნაღარა. ქება-დიდება მათ უნდა უძღვნას, ვინც "ჩაგრულთ სახსნელად უმანკო სისხლი დაღვარა. რაგინდ პირქუშიც არ უნდა იყოს რეალობა, რაგინდ შავად მოსილი ცის თაღი, "რწმენის ყვავილმა" უნდა იხაროს მაინც, გულში უნდა "მოზღვავდეს წარსულის უმწიკვლო მსხვერპლთა გოდება", "აწმყომ გაშალოს შავი ფრთა - ემბლემა ბნელ-წყვდიადისა", უნდა ირწმუნოს, რომ "ღამის წიაღში მზადდება კვარცხლბეკი განთიადისა". სწამს, რომ ღამეს შუქურ ვარსკვლავთა ციალი ჩაისრავს, ცის ეთერს მზე ააკაშკაშებს, "ვიხილავთ ჩვენსავ გოლგოთას, ჩვენივე სისხლით მორწყულსა", მაგრამ ეს იქნება თავისუფლების გზა. ამ შთაგონებით მიმართავს იგი ადამიანებს:

მაშ ავამქუხროთ, ჩაგრულნო,
დღეს ჩვენი დაფი, ნაღარა!
ვაქოთ, ვადიდოთ, ვინც ჩვენთვის
უმანკო სისხლი დაღვარა!
დღეს მაინც ვიგრძნოთ სიამე
დაკოდილ სულის შვებისა!
ეს ჩვენი დღეა: სიმბოლო
ნათელ-მზის გამარჯვებისა.

პოეტი გრძნობს, რომ დღეს "უძლურია გლოვის ჰანგი", რომ ქვეყანას, აწმყოს "ცეცხლის მგოსანი" ესაჭიროება, ბედის წინაშე ქედუხრელი, ბრძოლისკენ მომწოდებელი:

უძლურია გლოვის ჰანგი,
- ცეცხლის მგოსანს დაუძახეთ,
რომ ქვეყანას მოევლინოს
ბრძოლის სიტყვის მოკარნახედ,
ის მოუხმობს წყევის გრიგალს
კლდის სალტეთა დასამსხვრევად,
ცეცხლს აღაგზნებს, დედამიწის
მფეთქავ ალში გასახვევად.

ცდილობს კიდევაც, ხვედრს არ დაემორჩილოს, წინ წასწიოს ზღვაურს ჩვეული თავისი ნავი, იაროს მომავლის გზით:

ჰაუ, ტიალო ჩემო ხვედრო,
ბედო წყეულო!
ნეტავ შენს ბრჭყალებს, სისხლით ნაღებს
თუ გავეცლები?!
ნავო წინ გასწი, ჩემო ნავო,
ზღვაურს ჩვეულო!
თეთრი ფრინველი წინ მიგიძღვის,
გზას ნუ ასცდები!. . .

პოეტი გრძნობს მტრისთვის თავზარის დამცემი ხმების მოახლოებას, იგი ჯერ ხალხის გულის სიღრმეშია დაგროვილი, მაგრამ ისეთი ძალით, რომ ზღვად ამოხეთქავს, ცხოვრების ახალ ძალად ამოიფრქვევა და დაიქუხებს:

ჰა, ხომ გესმის? - გუთნის კვნესა
შეუერთდა გრდემლის ზანზარს! –
ის ნორჩი ხმა გაიზრდება,
სამშობლოს მტერს დასცემს თავზარს!
ჯერ თუ ჩუმად, ვით ჩანჩქერი,
ხალხის გულში მოჩუხჩუხებს,
დრო დადგება, ზღვად იქცევა
და ზვირთ-ქაფით დაიქუხებს.

მსგავსი განწყობით დაწერილი ლექსები ალექსანდრე აბაშელის პირველ კრებულში არც ისე იშვიათია, ასე რომ არა მართებულია კრიტიკოს ბ. ჟღენტის დასკვნა: "მზის სიცილში" ჩვენ ვერ ვპოვებთ სოციალური სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა გამოხატულებას. მასში სრულიად გამორიცხულია ყოფითი მასალა, საყოფაცხოვრებო სურათები. (ბ. ჟღენტი, "ალექსანდრე აბაშელის თხზულებათა სრული კრებული", ტ. I, 1958, გვ. 16).

როგორც უკვე ითქვა, "მზის სიცილის" პირველი და თანაც დადებითად შემფასებელი გახლდათ ივ. გომართელი. ხოლო მოგვიანებით, უკვე 50-იან წლებში კრიტიკულ წერილში "მზისა და მიწის სიხარულის პოეტი", ალ. სულავა საკმაოდ მკაცრ არაობიექტურ შეფასებას აძლევს ალ. აბაშელის ამ კრებულს.

"ვერ გამოიჩინა რევოლუციური გამბედაობა რეაქციის პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ალ. აბაშელმა. იგი პოეზიაში გამოუცდელი არ მოსულა, მას გავლილი ჰქონდა ციხეებისა და გადასახლების სკოლა, მაგრამ ამასთან ერთად მან თან მოიტანა ის ავადმყოფური განწყობილება, რომელიც რეაქციის პერიოდში მძლავრად განიცადა წვრილბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ.

თუ რევოლუციის პერიოდში წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ტაშს უკრავდა მებრძოლ მუშათა კლასს, მისი დამარცხების შემდეგ, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია პოლიტიკურ-ქამელეონობის გზას დაადგა და მუშათა კლასის წინააღმდეგ სისინი დაიწყო. აბაშელი არ დასდგომია ამ გზას, მას საერთო არაფერი ჰქონია ასეთ მოვლენასთან, მაგრამ იგი თავისი პოეზიით დაცემულობის იდეოლოგიას მაინც გამოხატავდა. იგი რეაქციით შეშინებული ინტელიგენციის ღვიძლი შვილი იყო და მისი სულისკვეთების გამომხატველი, ცხოვრების რეალური სინამდვილიდან გაქცეული, ცის რომანტიკით მოხიბლული". (ალ. სულავა, "მზის და მიწის სიხარულის პოეტი", წერილები, 1957, გვ. 10)

შმდეგ კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ "მზის სიცილს" თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა. მისი აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მას ჰქონდა მოჩვენებითი გამამხნევებელი ელფერი. ის თითქოს მზისკენ მიდიოდა. მზისკენ მოუწოდებდა ხალხს, მაგრამ ამ მოწოდებას თან სდევდა ნაღველი, ცრემლი და უიმედობა.

დ. ბენაშვილის აზრით კი ალ. აბაშელმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება ლექსის ახალი ფორმით. "მართალია, - წერს იგი, - პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა ლექსის კლასიკური ფორმისა, რომელიც შექმნა ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, მაგრამ ამის მიუხედავად, მან ბევრი ახალი

ელემენტით გაამდიდრა ქართული სალექსო კულტურა. ეს შეეხება არა მარტო რითმას (ასონანსებსა და დისონანსებს), არამედ რიტმსაც. გალაკტიონის შემდეგ იგი პირველთაგანი აახლებს ქართული ლექსის შინაგან სტრუქტურას, რომელიც შეესიტყვებოდა ადამიანის ეპოქისეულ სიახლეს. პოეტის რიტმული ჟღერადობა სრულიად ახალია ჩვენს სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში და ამავე დროს ორგანულია ჩვენი ეროვნული პოეზიისათვის".(დ. ბენაშვილი, კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, 1957, გვ. 423).

* * *

პოეტის მომდევნო კრებული "ანთებული ხეივანი" აშკარად გამოხატავს უნდობლობას და ეჭვს ირგვლივ გამეფებული ბრძოლის ხმაურის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, "ძმათა სისხლის დასანთხევად" მძვინვარებს და სასიკეთოს არაფერს მოასწავებს. . . და, "როცა მეხი ძირს დაეშვა ქვეყნის ბოძის შესარყევად, ხმალმა ხმალი გადაჰკოცნა ძმათა სისხლის დასანთხევად, როცა სისხლი მიაფურთხა ამ ქვეყანამ იმ ქვეყანას და ნამგალი ჩაეხვია ნორჩ სიცოცხლით სავსე ყანას! - პოეტის სული განზე გადგა, კვლავ მზისკენ - როგორც მხსნელისკენ, მიაპყრო მზერა:

იქ სისხლია მოღაღადე, აქ კი ცრემლი ღებავს სიმებს,
მე მომბეზრდა სისხლიც, ცრემლიც, მე ორივე სულს მიმძიმებს,
დე, ნურავინ ნუ მომისმენს ნურც იქა და ნუღარც აქა.
ოღონდ ფრთებზე ჩემს სიმღერას ჩამოვბანო სისხლის ლაქა.
("სისხლის ლაქა")

არსებული სინამდვილით გულნატკენი პოეტი ზეცაშიც ვერ პოულობს სიმშვიდეს, საწუთროს განაჩენი ულმობელია, "მიწას გავექეც, ცამ არ მიმიღო და შუაღამის სევდამ მიმიხმო გმირი, დილითვე დამარცხებული" - იტყვის იგი. მისთვის დახშულია მზის წიაღიც, მზეც ჩამქრალა და ფერფლად ქცეულა, სულით ობოლი და განწირულია:

სული ეული, უთვისტომო, კრული, წყეული,
ფრთადაშვებული ლანდად დაჰქრის მიუსაფარი,
მის მქუხარ გრძნობას შავად ბურავს შავ ფიქრთ ფაფარი,
გულის სიმებზე შავ გველებად შემოხვეული.

ლექსი "სულის შემოდგომა" (1916) სათაურშივე გამოხატავს ლირიკული გმირის განწყობილებას. ბედის უმკაცრესი სამდურავი ისმის მასში. წარსულიც უნაყოფო მოსჩანს, აღარც აწმყო და აღარც მომავალი. "ნეტავ არასდროს არ მენახა ზეცა მზიანი! არავინ მექო და არ მეთქვა არც სამდურავი" - წერს პოეტი. სულ სხვა იყო მისი ყრმობის სევდა და სამდურავი: "ეგ იყო სევდა სხვანაირი, სევდა მზიანი, იმედგახსნილი და თვით ცრემლში ხალისიანი", როცა იგი ამაყი სულით ბედს ებრძოდა.

ახლა მაცვია შემოდგომის ტანსაბურავი
და გულს მიღონებს სხვა ნაღველი, სხვა სამდურავი,
და ჩემი დროშაც ძირს აგდია სისხლში მცურავი.

სული შემექმნა უიმედო და ნაღვლიანი.
არ დაბრუნდება სიჭაბუკე ხალისიანი,
არ აყვავდება მეორეჯერ დილა მზიანი.

შემზარავიც კია მისთვის ქვეყნის არსთა ისეთი სხვადასხვაობა, რასაც ირგვლივ ხედავს, შემზარავია, როცა ხედავს, რომ გარსუვლიან და ამშვენებენ რაღაც კოშკს, "მაგრამ ვერ ვამჩნევ: ტახტს თუ კუბოს, რას აშენებენ". თავი მოულოდნელად სხვის მამულში შეჭრილი ჰგონია:

მიკვირს: რა არის? ვის ელიან? რა მზადებაა?
ვისთვის ჰქარგავენ ამ მიდამოს, ზურმუხტით ნაფერს?. . .
და მე არ ვიცი, ახლა ვხედავ სიზმრად ყველაფერს,
თუ ეს ოდესღაც ნახულ სიზმრის განცხადებაა. . .
ჭრელ მოჩვენებად მელანდება მე ეგ სოფელი
და ჩემს არსებას იპყრობს შიში შეუცნობელი.

ეს შეუცნობელი შიში დიდხანს არ სტოვებს პოეტს, ამ წლების ლექსებში ალ. აბაშელი უფრო უახლოვდება ჩვენს ლიტრატურაში გაბატონებულ სიმბოლისტურ მიმართულებას. უფსკრული, კუბო, სასაფლაო, სიკვდილის აჩრდილი იჭრებიან მის ლექსებში.

მხოლოდ სურათი უნუგეშო სასაფლაოსი,
უსიზმრო ძილით შემოსილი უტყვი ქაოსი
და ბნელი სივრცე, ოთხივ კუთხით განუზომელი. . .
. . . . . .
საუკუნენი ფოთლებივით სცვივა სამყაროს, -
და ჩემი სული დაჭკნობისგან რომ დაიფაროს,
თუ ოდნავ მაინც შავი კარი ვეღარ შევაღე?

ამ მწუხარების მიზეზია ქვეყნის მდგომარეობა, ის, რომ "ქვეყნის წარსულმა ცეცხლი ჰპოვა დაუცხრომელი, და მომავალიც დასაწვავად კიდევ წინ არი". . . ასეთივე განწყობის ლექსებია "სევდა", "ცრემლი", "გამოუთქმელი", "დღე და ღამე" და სხვ.

1917 წლის მარტის თვით დათარიღებულ ლექსში "სიხარულის ცრემლი" პოეტი აღტაცებას გამოხატავს მოულოდნელი სასიხარულო ფაქტის გამო, რაც დაკავშირებული უნდა იყოს რუსეთის თებერვლის რევოლუციასთან:

ენა როგორ არ დამუნჯდეს? თვალი როგორ არ გაგიჟდეს, -
მზეს დილითაც არ ელოდე - შუაღამით აგიზგიზდეს?!

პოეტი ლექსში ხმარობს გამოთქმებს: "წითლად მორთული ფიქრები", "წითელფრთიანი დღეები". . .

ამავე წელს, ამავე თვეშია დაწერილი იგივე განწყობილების გამომხატველი ლექსი "კვლავ აენთო ჩემი დილა". მას ახარებს, რომ: "გულში ბოღმად დანაგუბი სულის სწრაფვა ამსხვრევს საკანს და მზის შუქი დასთამაშებს ახალ ქვეყნის მზიურ აკავანს. და იცვლება ბრძოლის ცეცხლში უკუღმართი მონის ბედი, ბნელ წარსულში

განაჭედი". ლექსებში: "მებრძოლს", ცეცხლის მახვილი" ისევ და ისევ აღტაცება და რწმენაა იმისა, რომ სასიკეთოდ გადაწყდება ჩაგრულთა ბედი. სულ ორი თვის - მარტსა და აპრილშია ყველა დაწერილი. შემდგომი ლექსები კი კვლავ გაწბილებას და გულგატეხილობას გამოხატავენ.

ლექსში "ტრიოლეტები" პოეტის შთაგონებას განწირულებისა და სულიერი დეპრესიის განწყობილებანი დაუფლებია. ცხოვრება მისთვის საზარელი საპყრობილეა, სასჯელიც უსაზღვროა. ყოველი არსება ამ მსოფლიო ციხის ტყვეა, საიდანაც თავის დახსნის იმედიც არ ჩანს:

მსოფლიო ციხეა საზარი,
ტყვე არის არსება ყოველი,
და სასჯელს არა აქვს საზღვარი,
მსოფლიო ციხეა საზარი.
დარაჯად სიკვდილი მზად არი.
მის ძახილს ყოველ წამს მოველი.
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.

ყოველგვარი რწმენა ჩამკვდარა პოეტის გულში. ყველაფრის წარმავლობის და ამაოების შეგრძნება გამძაფრებულია:

გავივლი ჩუმად წყნარ ხეივნებს და შევჩერდები,
ირგვლივ ნირვანად გაიშლება ცის მყუდროება,
წაიშლებიან ჩემს ხსოვნაში ყველა ღმერთები
და აენთება ერთი აზრი: "ამაოება".

("ელეგია", 1920წ.)

უნდობლობით, უიმედოდ, ეჭვით და სინანულით შესცქეროდა ალ. აბაშელი იმას, რასაც ჩვენი ხალხის ცხოვრების "დიად გარდატეხად" მიიჩნევდნენ: "უიმედობა, მუდამ იჭვი და სინანული ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას" - ამბობდა პოეტი, რადგან მისთვის სავსებით გაურკვეველი იყო, თუ რას მოიტანდა ეს "დიადი გარდატეხა", როგორი იქნებოდა ხვალინდელი დღე? ეღირებოდა კი ეს მონაპოვარი ამ დაღვრილი სისხლის და ნგრევის ფასად, როგორი იქნებოდა შედეგი ძველსა და ახალ სამყაროს შორის მწვავე ბრძოლისა:

რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი:
იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი.
და ავარდება მიუწვდომელ მზის სინათლეზე
მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალივით, -
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ვეღარ გაარღვევს,
ვერ გადაიტანს ამ ანთებას მიწის სხეული,
და სამუდამოდ დაიმშვიდებს ცეცხლიან ძარღვებს
სადმე მზის იქით ცის უფსკრულში გადამსხვრეული?!

"ბედის საშიშარ ქარებს" უცხო გზით მიჰყავთ იგი, მაგრამ გაურკვეველია, საით. . . კარებიც ყოველმხრივ დაგმანულია, სისხლით დაფერილ მახვილთა ელვარებაში და "საზღვარწაშლილ ვნების ქაოსში" იძირება სამყარო. ჩამქრალ მთვარეზე წითელ დროშბად ჰკიდია მზის ნაფლეთები, იმსხვრევა ძველი ორბიტის რგოლი, მაგრამ, "ვინ

იცის, შორეულ კიდეს ეს გაქანება ნახავს თუ არა! იქნებ მიწის სურვილს უდიდესს სატანამ ადრე გადაუარა. მაშინ ცას დაჰკრავს ძველი თაღები და მზის ამოსვლა დაიგვიანებს, და სხვა ბორკილი, სხვა არტახები შესცვლის აწყვეტილ მერიდიანებს. ვინ იტყვის მაშინ, სად დამშვიდდება რკინის გონება აზავთებული! სად დაემხობა ბრძოლის დიდება და სად ჩაქრება გზა ანთებული". ("შორეული ნაპირი", 1921 წ.). ასეთი დამძიმებული განწყობილებით შეხვდა პოეტი საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას.

რევოლუციის გრიგალმა, როგორც პოეტს მიაჩნია, ულმობელად დაანგრია "ბრძოლის კოშკი", ჰორიზონტის ყვითელ ტილოზედაც სისხლი ყვავის. ცის ნანგრევებით აივსო ცისფერი კოშკი, აღარ არის არსად პოეტის ადგილი:

გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ვეღარ ახელს,
გაბზარულ მიწას ხშირად უვლის ტანს ჟრუანტელი.
შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს,
ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა სანთელი!. . .

"დეკადენტური პოეზიის ბურუსიდან ჯერ კიდევ გაურკვეველი ავტორისათვის - წერს ბ. ჟღენტი - გაუგებარია ის ახალი იდეურ-შემოქმედებითი გზები, რომელიც გამარჯვებულმა რევოლუციამ გადაუშალა პოეტურ შემოქმედებას".

ალ. აბაშელი ჯიუტად იდგა თავის პოზიციაზე, რადგან არსებული სინამდვილის სხვაგვარი გაგება მისთვის ძნელი აღმოჩნდა. 1924 წლით დათარიღებულ ლექსში "უძილო ღამე" პოეტის წუხილის მიზეზი იგივეა.

მძიმე ფოლადის მოვარდა დევი.
სხვა სიხარული, სხვა მწუხარება!
ვერ იტევს მიწა, ბევრის დამტევი, -
და ქვეყნის გული სკდება ღვარებად.

იმდენად ძლიერია ნანახისა და განცდილის გამო ტანჯვა პოეტისა, რომ სიცოცხლესაც მიზანი ეკარგება:

წარმავალია ლხინიც და ჭირიც.
ო, ყველაფერი მიდის და ქრება.
რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს,
თუ არ ხელების გულზე დაკრება.

ასეთ უკიდურესობამდე მისულა პოეტი, რომლისთვისაც სევდა არასოდეს ყოფილა უცხო, მაგრამ არც სიცოცხლეზე ხელის აღების სურვილი გამოუთქვამს ასე გამეტებულად. ადრინდელ წლების ერთ-ერთ ლექსში "სოფელში" სიცოცხლის წყურვილს ასე გამოხატავდა იგი:

მზესთან ერთად ამოვა
მთაზე ჩემი მერანი.
ეჰა, რა საამოა
ეს სიცოცხლე ვერანი.

ახლა კი ”ბევრი რამ აწევს გულს დასანანი”, ყოველი წუთი ოხვრით სავსეა, ”გული მოჰღალა ფუჭმა გოდებამ, ნაღველი უფრო წამოიზარდა” (”თეთრი გვირგვინი”, 1926წ.). ამ წლების პოეტისეულ განცდათა ერთგვარი შემაჯამებელი ლექსია ალ. აბაშელის ”წერილი ნოე ჩხიკვაძეს”. ამ პოეტურ მიმართებაში ისმის უკმაყოფილება იმის გამო, რომ თანამედროვე ცხოვრებაში პოეტის, შემოქმედის ადგილი აღარ არის.

არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, -
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
რომ ყველაფერი არის ამაო.
მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, -
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რათ არ შველის, -
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, -
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისაც!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.

ასეთი პოეტური შეფასება მისცა ალ. აბაშელმა 20-იანი წლების ქართულ პოეზიას და ამიტომაც არის, რომ 20-30-იანი წლების ქართული პოეზიის კვლევისას ხშირად გაიხსენებენ ხოლმე პოეტის ამ სტრიქონებს.

”საქართველოს თებერვლის” ტრაგიზმად მაღიარებელი ალექსანდრე აბაშელი, კონიუნქტურის ზეწოლით, ახალ საქართველოს უმღეროდა თითქოს (”ახალ საქართველოს”, 1941 წ.), ფაქტიურად კი მთელი ტექსტი ოცსტრიქონიანი ლექსისა, ბოლო ორი სტრიქონის გარდა, უანგარო გრძნობაა ”ვეფხის ტყავად დაფენილ, ერთი ხელის დადება” მამულის ნედლ მიწაზე:

მყინვარწვერის თოვლის თეთრი თაველო,
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაზე ასულო,
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო!

გაზაფხულის ოქროვანო წვიმებო,
მზის ყვავილო, ციდან ძირს გადმორგულო,
შოთას ქნარის მოგუგუნე სიმებო
და აკაკის ხმაწკრიალა ჩონგურო. . .

ალ. აბაშელი ავტორია მრავალი მიძღვნილი ლექსებისა, რომლებშიაც ჩანს მისი ადამიანური სახე, მოქალაქეობრივი ღირსება. თავისი თანამედროვენი პოეტს იგონებენ, როგორც უაღრესად სპეტაკ, ნათელ ადამიანს, თანამოკალმეებისადმი

პატივისცემით განწყობილს, სხვისი ჭირის და სიხარულის გამზიარებელს. ყოველივე ეს ჩანს მის ლექსებში, რომელიც ეძღვნება: ი. გრიშაშვილს, გ. ტაბიძეს, ლ. ქიაჩელს, ი. ნიკოლაძეს, ი. ჯავახიშვილს, ი. ევდოშვილს, გ. ლეონიძეს, ნ. ნაკაშიძეს, რ. გვეტაძეს, თ. სახოკიას და სხვ. განსაკუთრებული სითბო და მოწიწება ახლავს მის ლექსებს, რომლები ეძღვნება: ვაჟა ფშაველას, აკაკის, ბარათაშვილს, სხვა ერის ღირსეულ წარმომადგენლებს.

ალ. აბაშელმა, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების გზა და ნათელი კვალი დატოვა თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიაში. ურიგო არ იქნება, თუ მისი თანამედროვის სიტყვებს გავიხსენებთ მასზე: ”ალექსანდრე აბაშელში თავმოყრილი იყო ნამდვილი პოეტისა და სამაგალითო მოქალაქის საუკეთესო თვისებები: ღრმა და ნათელი ინტელექტი, უტყუარი პოეტური ნიჭიერება, იშვიათი უანგარობა და უმწიკვლო ადამიანური ხასიათი. ის იყო კაცი, რომელსაც ერთნაირი გულწრფელობით უხაროდა ქართულ პოეზიაში როგორც პირადი, ისე სხვისი მიღწევები”. (ა. თევზაძე, ლიტერატურული წერილები; 1977, გვ. 46)

ზოია ცხადაია
1997 წ.
შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი.

თემა მოამზადა:
ზაირა ცხადაიამ
ქალაქ ხობის ჟიული შარტავას სახელობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.
მისამართი: ქ. ხობი, თამარ მეფის ქ. №2.
☏: 893 78 27 46.

კონსულტანტი:
ზოია ცხადაია,
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
მეცნიერ_თანამშრომელი.